

652
1974

944955340
20230101033



1

9

7

4

6



პოეზია, პროზა

ფრიდონ ხალვაში — დაღლილი	
არწივი ნოველა	3
მამია ვარშანიძე — საამუშეთი-	
სოფლო ლექსი	7
შაჰრო რიმაინაძე — იმ არყის	
ხმელთა მოთხრობა	10
ნესტორ მაღაშონია — ლექსები	16
რამაზ სურგანიძე — პაპაჩემის	
ხანჟალი დოქუმენტური მოთხ-	
რობა	17
რეზა ართილაძე — ლექსები	25

ნარკვევი

პარმენ ლორია — იმ საღაც	
ფრომის ცეცხლი ანთია	30

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალექსანდრე ჩავლიშვილი —	
ალექსანდრე ყაზბეგის შემოქ-	
მედება და თანამედროვეობა	58

პოლემიკა

ალექსანდრე სამსონია — ერთი	
ფერილის ბავშვ	66

წერილები

იოსებ ბეჟირიშვილი — სხალ-	
თის ტაძარი — ჩვენი სიამაყე	72
შოთა თოღაძე — კროფესიულ-	
ბეჟინიკური განათლების სისტე-	
მაში მომზადებული კადრები	83

წიგნის თარო

მამია კომახიძე — კადრების მო-	
მზადების შესანიშნავი კერა	89

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურობა

საქართველოს საბჭოთა
მწერების კავშირისა და
ახარის განყოფილების
ორგანო

ბ ა თ უ მ ი — 1974

ნომერები—დებამერი

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.12.74. საბეჭდი 6. საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 5096, ემ 01146, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

ზაქორთუ ხალხები

დ ა დ ლ ი ლ ი ა რ წ ი ბ ი

იანვარი ატლანტიკის ტროპიკებში უღრუბლო, მზუთავი სიცხეებით დაიწყო.

ნაშუადღევს მე და კაპიტნის უფროსი თანაშემწე გემის უკანა ერდოზე გავედით, რათა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ისე, თავშესაქცევად, კიჩოს ზემოთ მოფარფატე თოლიებზე გვესროლა. კაი გაყოლა ვუტკაჩუნეთ, მაგრამ მიზანს ვერცერთჯერ ვერ მოვახვედრეთ და უკანვე დავბრუნდით.

შიგა ტრაპზე ბოცმანი შეგვეჩეხა.

თოფი მე შემომრჩა ხელში და ალბათ ამიტომ ბოცმანი სწორედ მე გადამიდგა წინ.

— მათხოვე ერთ წუთს, — შემეხვეწა.

უცბედად შევნიშნე, მას მარცხენა წარბი და ქუთუთო, რომელზეც პატარა ნაიარევი ეტყობოდა, უკანკალებდა. კიჩოსაკენ გაემართა. მეც გავყევი.

გაქიმულ ბაგირს ზურგი მიადო, ფეხები გაჯგჷმა და ორ-სამჯერ ძალიან მონდომებით გაისროლა, მაგრამ მიზანს ვერ მოარტყა და ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია.

თოფი დამიბრუნა.

კაიუტის კარებთან მატროსმა, რომლის სახელიც ჯერ არ ვიცოდი, შემაჩერა და ხმადაბლა მითხრა:

— თქვენ გემზე ახალბედა ხართ. ალბათ არ იცით, რომ ზღვის ტრადიციით მეზღვაურები თოლიას მეგობრად თვლიან. ნუ ესვრით მაგ ფრინველს. თუ შეგნიშნეს, მატროსებს არ ესიამოვნებათ, შეიძლება კიდევ შეგიძულონ ამის გამო.

ჩავფიქრდი. შევწუხდი. თავი დავუქნიე და უსიტყვოდ კაიუტის კარი შევალე.



მეწყინა, რომ ზღვაზე გასვლის პირველსავე დღეებში რიგობა ღვაურისაგან ამნაირი შენიშვნა მივიღე.

ცოტა ხანში ჩემთან იგივე ბოცმანი შემოვიდა. უკვე საღამოობდა. დღიური საქმე მოთავებული ჰქონდა. ამიტომ ეტყობოდა საღაპარაკოდ იყო ენამოღესილი.

— მე ვიცი წელან მატროსმა რა გითხრათ, — აღელვებით დაიწყო მან, — ნუ დაიჯერებთ. რომ შემეძლოს თლა გავუღებდი მაგ კაციქამია თოლიებს.

ხელი მტაცა, ილუშინატორთან მიმიყვანა, მარცხენა წარბზე თითი მიიღო და გააგრძელა:

— ხედავთ ნაიარევს? ეს თოლიამ მიქნა. არ დაიჯერებთ ახლა ამას. აბა მომისმინეთ. ომში დამემართა ეს. ბუქსირი ჩაიძირა და მე უპატრონოდ ზოტივტივე კატარლზე ვეგდე დაჭრილი. სისხლისაგან ვიცლებოდი. კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი იწვა იქით. საიდანლაც დამაფრინდა ამ დროს თოლია, ჩამკრა ნისკარტი თვალში, მკლავი მოვიქნიე და უმაღლვე გაუჩინარდა. ხელი მოვისვი, თვალი ბუდეში იყო, მაგრამ სახეზე უკვე სისხლი ღვარად ჩამომდიოდა. მალე გვიშველეს, თორემ შეიძლება იმ განწირული დაჭრილებისათვის თოლიებს სულ ამოეჭამათ თვალის კაკლები... ჰოდა. ამის მერე თოლიების მტერი ვარ.

მერე თავი ჩაქინდრა, რაღაცა მოიგონა და განაგრძო:

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ფრინველთა ერთ-ერთი გადაფრენის სეზონი იყო. ჩვენი ტრაულერი „ვარსკვლავი“ ატლანტის ოკეანეში ეკვატორს უახლოვდებოდა.

პროდუქტები, წყალი და საწვავი კარგად მომარაგებული გვქონდა, ამიტომ მატერიკისაგან კარგა მოცილებულ კურსს დავადექით.

იმ დღეს ცა ოდნავ მოღრუბლული იყო, მაგრამ ვერ იტყოდი ამინდი ცუდიაო. ქარი თითქმის არ უბერავდა. მატროსები დღიურ საგემბანო სამუშაოს მორჩნენ და ახლა ნელ-ნელა კაიუტკამბანიასა თუ დახურულ ბანებზე იყრიდნენ თავს.

ბოცმანს, როგორც მოგეხსენებათ, საქმე არც დღითა და არც ღამით არ დაეღევა გემზე. ჰოდა, მეც ვტრიალებდი დაბლა კასრებსა და ბადეთა ხვეულებში.

— ბოცმან, გარეკე ფრინველები გემიდან! — გაისმა კაპიტნის ხმა რადიორუბორში. სწორედ ახლა შევნიშნე როგორ მთლიანად გადაემრეშებიათ ხმელეთის ჩიტებს მთელი კიჩო, ანძები, ტრიუმთა თავები, ბაგირები და თითქმის ყველაფერი. ისინი ათასობით ჯდებოდნენ გემბანზე და დიდხანს აღარ აფრინდებოდნენ ხოლმე. ალბათ შორიდან მომავალნი, დადლილ-დაქანცულნი აქ ისვენებდნენ.

კაპიტანი მართალი იყო. ჩიტები ყველაფერს ასკინტლავდნენ და მერე ძნელი შეიქნებოდა გემის გასუფთავება.

ერთი მაგრად შევიყვირე, მუხლებზე ხელები დავიტაკუნე, მაგრამ ახლომახლო მსხდომი რამდენიმე ათეული ფრინველის მეტი ვერ დავაპირე ადგილიდან.

ზემოთ ავიხედე, კაპიტანი ხიდურზე აღარ ჩანდა.

გავჩუმდი. მივეყუდე ქიმს მიმაგრებულ ტრაპთან ბაგირის სახელურს და ჩიტების ცქერით გავერთე.

ამ დროს, ანძაზე კარგა მოზრდილი ფრინველი შევნიშნე. იგი რეიზე, — ანძის წვეროსთან, ჯვარედინად მიჭედო ძელზე იჯდა ღონავ ფრთებ-მოშვებული, თავჩაქინდრული, ნახევრად თვალმოხუჭული და ღინჯად სივრცეს გასცქეროდა.

ეს არ იყო ჩემთვის ცნობილი ზღვის უბრალო ფრთოსანი. გამიკვირდა, თოლიები რომ გემის შორიახლო დაფარფატებდნენ და ჩვეული თავხედობით წვრილი ჩიტების შესასანსლავად ახლოს ვერ მოდიოდნენ.

ისინი ალბათ დიდი ხანია ამჩნევდნენ არწივს და მისი შიშით ვერ ზედავდნენ გემბანზე შემოფრენას.

არწივს მგონი დაღლილობა ეტყობოდა. ვინ იცის მასაც რა შორი ბანძილი გამოეველო. ახლა ჩუმად, მშვიდად იჯდა ანძის რეიზე და თითქოს ვერც კი გრძნობდა ირგვლივ რაც ხდებოდა.

თოლიებმა თანდათან შეამჩნიეს, რომ არწივი საკმაოდ ჯანმიღებული იყო და რომ ფრინველთა მეფეს ადგილიდან დაძვრა ეზარებოდა.

ამიტომ ზოგიერთებმა, ზღვის პირატებივით, მალულად და სულ უფრო ინტენსიურად დაუწყეს პატარა ჩიტებს გვერდებიდან თავდასხმები. თოლიები, ყოველი შეძთხვევისათვის, ჯერ ისევ კარგა მოშორებულზე დაფრინავდნენ, მხოლოდ ზოგი მათგანი თუ მოწყდებოდა ზოლმე გუნდს და გემბანის ამორჩეულ ადგილს ეძგერებოდა, სწრაფად აიტაცებდა ერთ ან ორ ჩიტს და ზვირთებისაკენ გადაეშვებოდა.

არწივი ისევ ისე მშვიდად იჯდა და სივრცეებს გულგრილად გაჰყურებდა.

თავიდან პატარა ჩიტებსაც ალბათ არწივის ეშინოდათ და მისგან მოშორებულზე სხდებოდნენ, მაგრამ ახლა, როცა თოლიებმა ასე გაამწარეს, საცოდავი ნიბლიები უკვე „მეფის“ ახლოსაც ბედავდნენ ადგილის დაჭერას.

ბოლოს თითო-ოროლა ზედ რეიზეც შემოსკუბდა. ამათ სხვებმაც მიბაძეს.

ხოლო თოლიები, ისე გათავხედდნენ, უკვე გუნდებად იწყეს ბანდიტური თავდასხმები და ზოგიერთმა არწივის მაახლობლადაც გაბედა ჩაქროლება.

არწივი კი, მართლაც მტაცებელი და უშიშარი, მიუხედავად შიშისა, ისევ მშვიდად იჯდა.

ამ დროს ერთი თოლია ანძის წვერთან მიფრინდა, აუქროლ-
ლა არწივთან მსხდომ ბელურებს და რა შეატყო არწივი მაინც არ ჯავრო-
ბდა, გაჰკრა და ძირს დაანარცხა ერთი ფრინველი. ეს რომ მეფე-
ამ შენიშნა, ახლა უკვე მეორე გვერდიდან ააცალა არწივს ჩიტი. მესამე
თოლია ამ დროს მალა ჰაერში დასრიალებდა, ალბათ ერთი ჩიტუნია
თავდაც ამოერჩია. უცებ მოწყდა, დაეშვა და სწორედ არწივს შეფარე-
ბულ პატარა ფრთოსანს ეძგერა, მაგრამ არწივმა ელვაზე სწრაფად მოუქ-
ნია მახვილივით მჭრელი ნისკარტი და კისერგაგლეჯილი ფირფატი გემბან-
ზე დაენარცხა. ახლა მეორე მხრიდან მოფრენილ თოლიას გაჰკრა ხმალი-
ვით ალესილი თავისი იარაღი არწივმა და ფრთებდაეცეცილი მსხვერპლი
დაბლა დაუშვა.

თოლიები თანდათან შიშით გაიფანტნენ.

საცოდავი ჩიტუნები, ალბათ მადლობის ნიშნად, საამოდ აჟიჟივდნენ
და არწივის გარშემო მოგროვდნენ. აჯდებოდნენ ყველაფერს, ბაგირებს,
სახელურებს, ბრეზენტის ნახევებს, ანტენებსა და კასრებს.

შორი გზიდან მომავალ არწივს მართლაც დიდი დაღლილობა ეტყო-
ბოდა (ვინ იცის, იქნებ იგი კარგა დაბერებულიც იყო), მაგრამ ამ ყია-
მყრალი თოლიების თავგასულობამ ისე გამოიყვანა მოთმინებიდან, რომ
ველარ შეძლო თავის შეკავება.

შევეყურებდი და მიხაროდა, რომ ჩემი ტრაულერის ანძაზე დაღლი-
ლი არწივი იჯდა და ისვენებდა.

არ მიყვარს ეს გათახსირებული თოლიები, — დაასრულა ზიზღით
ბოცმანმა.

იანვარი, 1974.

ინდ. ოკეანე.

ს ა დ მ ფ უ თ ი ს ო ფ ლ ო

აი, მეჩეთი, —
 აღმა მიჰქრის მდინარე მისი,
 აი, ტაძარი, —
 ქვე მიჰქრიან მისი ჩანჩქრები.
 როგორ დაკორტნე დედაჩემი, —
 ადინე სისხლი,
 ნახევარმთვარე,
 მძულდა
 და მძულს შენი გამჩენი.
 აი, მეჩეთი, —
 ვარსკვლავები ცაზე აწყვია,
 ალლაჰის ხელით დაწმენდილი და მოკრიალე.
 ვით გემონე და
 ვით მოგანდე სული ყმაწვილმა,
 სული მეზნებარე,
 ზე მლტოლველი და მომკივანი.
 არ გახსოვს განა ვინ წამართვი ყრმას პირტიტველას,
 ღმერთო, ეს შენ ქმენ,
 და გამიპე სული მე ორად?!
 აღარ გიწამებ არასოდეს,
 და ვეტყვი ყველას...
 „ინანებ ბაღლო!“
 ხვამ მზარაგმა გამიმეორა.
 ტაძარმა მიხმო.... სული ჩემი მას მივაბარე.
 „მომენდე ყრმაო!“ —
 ხმა ჩამესმა წმინდა, დედური.
 ასე დავტოვე ალლაჰი და ნახევარმთვარე,
 ასე დავტოვე ყურანი და...

ბედს არ ვემდური.
ჟამნი წკრეულან...

ლექსით ვლოცავ ჟამთ მიმოქცევას,
დიად სიბრძნეთა ჩემი ქვეყნის ვდგავარ ტარიგად,
და ვარსკვლავეთში იფურჩქნება ჩემი ოცნება,
ქაჯეთის ციხე ჩვენც დავლენეთ, ჩემო ტარიელ!
...აი, მოხუცნი, —

ჰგვანან ხეებს ფესვებ შემომხმარს,
მთრთოლვარე ხმებით შეყუჟულან გულში ზეჩეთის...
ჰე, მეგობარო,

ცივი გულით აქ თუ შემოხვალ,
შენ არ აგცდება სიძულვილის მკაცრი ბეჭედი...
აგერ, გრიალებს,

ზღვა გრიალებს მეტად მშფოთვარე,
თრთოლვით უცქერენ: — „ყოველივე ღმერთის ნებაა!“
რასმეს ჩიოდნენ,

და გულისას რასმეს მოთქვამდნენ,
ძრწოდნენ ღვთის წინა,

მათი სული ვით ღმერთს ებარა.
ჰეი, მოხუცნო,

განა რომელს არ უფიქრია
ამ მშვენიერთა არსების სად არის სათავე.
საუკუნენი მიჰქრიან და

სადღაც მიჰქრიან,
ამ ჩემს სამყაროს, ფერად-ფერადს, რა გაათავებს!
ცვალებადობას არ აქვს ბოლო,

თქვენ რა გადარდებთ,
თქვენ ნუ გაშინებთ მრისხანება ქვესკნელ-ზესკნელის,
წაართმევს რაღაც,

და მშვენიერებას ისევ გადასდებს,
მზე ჩაინთქება...

და ხვალ ისევ დიად მზეს ველით.
ჰეი, მოხუცნო,

სუნთქეთ ლაღად და ილაღობეთ,
არა, არ არის სხვა სამოთხე, არ დაგაჯერონ.
ჰეი, მოხუცნო,

გაუსწორეთ თვალი მაღლობებს,
დღეს სამეუფო საბრძანისზე ჯდება ანჯელო.
ყელსახვევების ალის ბრიალს,

სიმღერის გუგუნს
ყური მიუგდეთ...

თქვენც ანთეთ სიბრძნის ლამპარი,
პეი, მოხუცნო,

შეუერთეთ ყაყაჩოთ გული,
და დაიბრუნეთ გაზაფხული; — ფერთა ზღაპარი.
პეი, მოხუცნო,

მარადისად იბრწყინებს მზე და
მარადიულად იბიბინებს კორდები მწვანე,
ხელაყრობილნი რად შესცქერით მუდარით ზენას,
საწუთროს ჩვენის სილამაზის სიბრძნე იწამეთ.

ჭექა-ქუხილიც იქნება და

თოვლი და წვიმა,
წარღვნაც იქნება, — დაეშვება მთიდან შვავები.
მარად იქნება, რაიც გაჩნდა ტყუბად და წყვილად,
არ შეიძლება დედამიწა მარად შავებით,
არ შეიცვლება კოსმოსური რიგი და წესი,
და ნულარ ჰმონებთ ცას ბავშვური აკანკალებით!..
მე განმირიდეს, —

განახლების მეტრფე და მწყემსი,
და საღვთიუროს ჩურჩულით და წყლიან თვალებით,
ლოცვად აღზევდნენ,

გულით წმინდით უმხურვალესით.
მე კი გვალობდი საამსოფლოს გულით და ლექსით.

შაქრო აომანაძე

ომ ანუ მის ხმის თან

ავტომანქანაში ოთხნი ვისხედით: პოლკოვნიკი, უმცროსი ლეიტენანტი, მძღოლი და მე. პოლკოვნიკი ჯმუხი, მკვრივად ნაგები კაცი იყო. პირზე ერთთავად ღიმილი დასთამაშებდა. იგი ორი თვის წინათ დაგვინიშნეს პოლკის პოლიტგანყოფილების უფროსად. მზით გარუჯულ, პირტიტველა მძღოლის გვერდით იჯდა, მე და უმცროსი ლეიტენანტი კი უკანა სავარძელზე ვისხედით.

პოლკოვნიკი უადრესად გულისხმიერი, კეთილი ადამიანი იყო და ამ ორი თვის განმავლობაში, რაც იგი ჩვენს ნაწილში მოვიდა, ერთბაშად შეიყვარეს ჯარისკაცებმა, თითქმის მთელი პოლკი პირადად იცნობდა და ძალიანაც აფასებდა. იმ ბატალიონში, სადაც მე ვმსახურობდი, პოლკოვნიკი პირველად მოვიდა, თან ახლდა უმცროსი ლეიტენანტი, პოლკის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი.

ისინი ჩვენთან ორ დღეს დარჩნენ და, რომ იტყვიან, ძირფესვიანად შეამოწმეს ბატალიონი, გაიგეს ვინ რითი სუნთქავდა.

მეორე წელია ჩვენი ბატალიონი პოლკში საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულის სახელს ატარებს და ახლაც ასეთი შეფასება მოგვცეს.

და აი ახლა ისინი კმაყოფილი ბრუნდებოდნენ პოლკის შტაბში.

ჩვენი „ვილისი“ უკრაინის გაშლილ ველზე, ზღვასავით მობიბინე პურის ყანაში გამავალ, ისარივით გატყორცნილ გზაზე მიჰქროდა.

მოულოდნელად პოლკოვნიკი მომიბრუნდა და მითხრა:

— ამხანაგო ვერულიძე, ბატალიონში, სადაც თქვენ მსახურობთ, უდიდესი ნდობა გამოგიცხადეს — პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად აგირჩიეს. მე იმედი მაქვს, ამ დიდ ნდობას გაამართლებთ. რიგითი ჯარისკაცი ხართ, მაგრამ კომუნისტის საპატიო სახელს ატარებთ...

თქვენ ახლა მარტო საკუთარ თავზე კი არ უნდა აგოთ პასუხი, არამედ მთელ ბატალიონზე.

პოლკოვნიკი ლაპარაკობდა, მე კი განაბული ვუსვამდი ყურსენიან გიგლიძეს.

ერთ პატარა სოფელში შევედი. სოფლის ცენტრში, გზის პირას, ხეზე ზურგით მიყრდნობილი კაცი დავინახეთ, რომელიც ყავარჯენს დაყრდნობოდა და გარინდებული ჩასცქეროდა მიწას.

პოლკოვნიკი მანქანიდან გადმოვიდა, იმ კაცს მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და მოიკითხა... მალე მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— სად დაკარგეთ ფეხი?

— ომში.

— სად იბრძოდით?

კაცმა რაღაც უპასუხა. კარგად ვერ გავარჩიე რა უთხრა.

— ჰო, ყველაფერი გასაგებია! — ხმამაღლა თქვა პოლკოვნიკმა, ჩამოართვა ხელი, გამოეთხოვა და მანქანისკენ წამოვიდა. გზა განვაგრძეთ. რამდენიმე კილომეტრი ისე გავიარეთ, პოლკოვნიკს ერთხელაც არ გაუღია ხმა, იჭდა თავჩაქინდრული, შუბლშეკრული და დუმიდა.

„ნეტავი რა დემართა?“ — გავიფიქრე და ჩემს გვერდით მჯდომ უმცროს ლეიტენანტს გადავხედე.

თითქმის განაფიქრს მიმიხვდაო, უმცროსმა ლეიტენანტმა შემომხედა, მერე პოლკოვნიკს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ცუდად ხომ არ ხარ?

პოლკოვნიკმა მოაბრუნა თავი, დაღლილად შეხედა და ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— გული მტკივა...

— თქვენ და გულის ტკივილი? — გაეღიმა უმცროს ლეიტენანტს. — აბები გაქვთ?

— გულის წუხილის? — ნაძალადევად ჩაიღიმა პოლკოვნიკმა, — არა, წამალი ვერ მიშველის ახლა... წარსული გამახსენდა და იმიტომ ამტკივდა გული.

ამის შემდეგ კარგახანს არცერთს არ ამოგვიღია ხმა. ჩვენ-ჩვენს ფიქრებში ჩავიძირეთ.

მანქანა ამჯერად არყის ხის ხეივანში მიჰქროდა. მძღოლმა, აქაო და ჩაფიქრებული პოლკოვნიკი არ შევაწუხო, სვლას უკლო. ნელა მიმავალი მანქანიდან ახალგაზრდა ქალ-ვაჟი შევნიშნეთ, რომლებიც ხელიხელ ჩაკიდებულნი ტკბილად მისაუბრობდნენ. პოლკოვნიკმა თვალი გააყოლა მათ, მერე რატომღაც ჩემსკენ შემობრუნდა.

— ეტყობოდა, ბედნიერი წყვილი იყო, როგორ მისაუბრობდნენ, არა? შეყვარებული ხომ არ გადარდებს, ჯარისკაციო?

გავწითლდი, თვალი ავარიდე და წყნარად ვუთხარი:

— იმდენად არა, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— ახალგაზრდობა, სხვა რომ არაფერი, მარტო იმისთვისაა, რომ შეგიძლია შეიყვარო. სიყვარული კი კარგი რამაა, კარგი მძღოლმა ჩაიღიმა და მხრები აიჩეხა.

პოლკოვნიკი კი განავრძობდა: — თქვენ მალე მოიხდით სავალდებულო სამხედრო სამსახურს, წახვალთ სახლში და... მე არასოდეს გისურვებდით, თოფი აგელოთ ხელში...

— თუ სამშობლოს დასჯირდა?

— თუ სამშობლოს დასჯირდა... — გაიმეორა პოლკოვნიკმა და მოულოდნელად იფეთქა: — საქმეც მანდაა, რომ სამშობლოს, სამშობლოს არ უნდა დასჯირდეს, ჩვენს სამშობლოს არ სურს ომი და სისხლისღვრა, ჩვენს გვეყვანას მშვიდობიანად სურს იცხოვროს, ჩვენ ვცდილობთ მსოფლიოს ომის საფრთხე ავაცილოთ. აი რატომ არ გისურვებთ ხელშეკრულებას სურს არმიასი.

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო.

იგი მცირე ხანს სდუმდა, მერე მკითხა:

— შენი შეყვარებული კარგი გოგონაა?

— ამ მოულოდნელმა შეკითხვამ, ცოტა არ იყოს, დამაბნია.

— ისე რა, ამხანაგო პოლკოვნიკო, მე კი მომწონს და...

— მოგწონს არა? — გაეცინა მას, — მუშაობს?

— არა, სწავლობს.

— შინ რომ დაბრუნდები, ალბათ, იქორწინებთ... ბედნიერებას გისურვებთ.

— გმადლობთ, ამხანაგო პოლკოვნიკო.

ამის შემდეგ ერთხანს ისევ მდუმარედ განვაგრძობდით გზას.

— შეაჩერე მანქანა! — მოულოდნელად გავიგონეთ პოლკოვნიკის ხმა და შევკრით.

მძღოლმა გზიდან გადაუხვია და მანქანა ვეება ხის ძირას შეაჩერა.

პოლკოვნიკი მანქანიდან ჩამოვიდა და ტყეში შემავალ ბილიკს გაუყვა.

მანქანიდან ჯერ უმცროსი ლეიტენანტი ჩამოვიდა, მერემე მე და მანქანის გასწვრივ ბოლთის ცემა დავიწყეთ. მე სიგარეტს მოვუკიდე. უმცროსმა ლეიტენანტმა გაზეთი გაშალა. კარგახანი რომ გავიდა და პოლკოვნიკი არ გამოჩნდა, უმცროსმა ლეიტენანტმა მკითხა:

— რამე ხომ არ უჭირს, ნეტავი? წავიდეთ, ვნახოთ, იქნებ უჭირს რამე.

ჩვენ აჩქარებული ნაბიჯით წავედით იმ მიმართულებით, წელან პოლკოვნიკი რომ წავიდა. სამიოდე მეტრი რომ გავიარეთ, თვალი მოვკარი პოლკოვნიკს, იგი ერთ, ქოლგასავით გაშლილ, ვეება მუხის ძირას იდგა,

ხელები გულზე დაეკრია და დაბინდული თვალებით იცქირებოდა ღამის
ღამის შორს.

ფეხის ხმაზე მოიხედა, ახალგაღვიძებულივით შემოგვხედა და
რად იკითხა:

— თქვენა?

— რას უტყერდით ამხანაგო პოლკოვნიკო? — ჰკითხა უმცროსმა
ლეიტენანტმა.

— აქ ერთ დროს გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკი იყო. აქ, ამ
ტყეში ვერ ნახავდით ვერც ერთ ხეს, ტყეით რომ არ ყოფილიყო დაკო-
დილი, თუმცა ხეს ვინ ჩივდა, როცა ადამიანები სიცოცხლეს კარგავდნენ...
1942 წლის აპრილში ცხარე ბრძოლებით ავიდეთ ეს მიდამოები და საკო-
ნცენტრაციო ბანაკიდან გერმანელები გავრეკეთ. მაშინ შეგზარავდა ამ
ტყეში შემოსვლა. გერმანელი ფაშისტები რომ საზიზღარი მხეცები იყ-
ვნენ, ეს კი ვიცოდით, მაგრამ მაინც... ყოველ ხეზე, ყოველ ტოტზე ჩამოხრ-
ჩობილი ადამიანი ეკიდა და ქარი არწევდა გვამებს.

მე და უმცროსმა ლეიტენანტმა ჯერ ერთმანეთს გადავხედეთ, მერმე
კი შეთანხმებულივით დავხარეთ თავი.

პოლკოვნიკი კი განაგრძობდა:

— თითქოს მე ვიყავი ყველაფერში დამნაშავე, თვალი ვერ გავუსწო-
რე ვერცერთ ხეს, ვერცერთ ჩამოხრჩობილს. მივდიოდი მთვრალივით, ბა-
რბაცით, თავდახრილი.

არ ვიცი რამდენით ჩამოვრჩი ჩემს ამხანაგებს, რომლებიც მიცვალე-
ბულებს პატრონობდნენ. ახლა განცალკევებით მინდოდა ყოფნა და ჩემს
ფიქრებთან მარტოდ დარჩენა. მოულოდნელად ვიღაცა შემეხო მხარზე.
გერმანელი მეგონა. მაშინვე გამოვფხიზლდი, მოვტრიალდი და რის გერ-
მანელი! ჩემ წინ წელში მოხრილი, შიმშილისა და ტანჯვისაგან ჩონჩხად-
ქცეული მოხუცი იდგა.

— შეილო, ვინ ხარ შენ? — მკითხა ჩავარდნილი ხმით.

— ვინ ვიქნები? რუსი ვარ, რუსი!

— რომელი რუსი? ზოგიერთი რუსი მტრის მხარეზეა და...

— მე საბჭოთა ჯარისკაცი ვარ.

— ჰო, ფორმა კი გაცვია, მაგრამ... ადამიანები აღარ ინდობა, ვის რა
გული აქვს, რას გაიგებს კაცი.

— არა ბაბუა, მე საბჭოთა ჯარისკაცი ვარ, საბჭოთა ჯარისკაცი და
მტერს ვანადგურებ.

ბოლოს მოხუცმა დამიჯერა.

— ჩემი ყოფილხარ, ჩემი, — გულზე მიმიყრდნო და ატირდა.

— დამწვიდდი ბაბუა, დამწვიდდი! — შევეცადე მის დაწყნარებას, —
საიდან გაჩნდით აქ, ასე მოულოდნელად? ან რას დაეძებთ?



ქართული
საქონე

— მე პარტიზანი ვარ, — თქვა მან ყოყმანით.

— პარტიზანი ხართ?

— ჰო, უფრო სწორი იქნება, ვიყავი მეთქი, თუ ვიტყვი, ცოცხალი რომ გადავრჩი და სული მიდგას... გერმანელების შტაბი ავაფეთქეთ და გაქცევა ვერ მოვასწარი. ორივენი დაგვიჭირეს.

— ორივენი? — შევაწყვეტინე მე, — მეორე ვინ იყო?

— მეორე? მეორე კაცია იყო, ჩემი შვილი კაცია!

— რაო? საკუთარ ყურებს არ დაუვჯერე და შევატყვე როგორ გავფითრდი. მოხუცს ჩავაჩერდი. ღმერთო ჩემო, როგორ, როგორ გამოცვლილა ორ წელიწადში! მე კარგი, ვერ ვიცანი, მაგრამ მან, მან როგორ ვერ მიცნო? ნუთუ მეც გამოვიცვალე? ასე შევიცვალე ვითომ? ომი რომ დაიწყო, კაცია ფრონტიდან საკმაოდ დაშორებით, დეიდასთან დავტოვე ერთ-ერთ სოფელში, მერე კი რა მოხდა, არ ვიცი, ფრონტი თანდათან მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ, ორჯერ ვიწექი ჰოსპიტალში, კაციას არაფერი გამიგია, წერილებს ვწერდი, პასუხი არ იყო.

— შვილო, ვალოდია! — მხოლოდ ახლა მიცნო მოხუცმა და ხელმეორედ გადამეხვია, ასლუკუნდა.

— კარგი მამა! — დავამშვიდე იგი. — კაცია, კაცია სად არის?

მოხუცმა თვალი ამარიდა, მალულად მოიწმინდა ხელით და სასოწარკვეთილი ხმით მითხრა:

— კარგი, ბიჭო, ნუ გამახსენებ იმ ამბებს, ნუ!

— არა, არა, უნდა მითხრა, მამა! — ჩავაცივდი მე.

მოხუცი იძულებული გახდა განეგრძო:

— შენ რომ ფრონტზე წადი, ერთი კვირის შემდეგ კაცია ბავშვით ჩემთან დაბრუნდა. ორი კვირის შემდეგ კი, როცა ჩვენს სოფელში გერმანელები შემოვიდნენ, ვისაც თოფის ალება შეეძლო, ყველანი ტყეში გავიდნენ პარტიზანებთან. კაციამ ბავში დეიდას წაუყვანა და ჩვენთან, ტყეში დაბრუნდა. მერე ის იყო გერმანელთა შტაბი ავაფეთქეთ პარტიზანებმა. მე და კაცია ჩავვარდით. საკონცენტრაციო ბანაკში გავგიყვანეს, ორი კვირა გვაწამეს, მაგრამ პარტიზანთა ადგილსამყოფელი მაინც არ გავთქვით. მერე, როცა იმედი გადაუწყდათ, კაცია არყის ხეზე მიაკრეს თოკით და ჩემს თვალწინ დაცხრილეს ტყვიებით...

პოლკოვნიკმა წამით შეისვენა, ჩაფიქრდა და მერე ხისკენ გაიშვირა ხელი: — აი, ამ ხეზე მიაკრეს კაცია, ამ ხეზე მიახვრიტეს.

მე და უმცროსმა ლეიტენანტმა ძლივს გავუსწორეთ თვალი იმ ხეს და მერე ისევ დავხარეთ...

პოლკოვნიკმა განაგრძო:

— მოხუცი ყველაფერს მომიყვა, მე უხმოდ, უტრემლოდ ვტიროდი. ტიროდა ისიც. მერე ვკითხე: — შენ როგორ გადარჩი?

— მე? აბა რა ვიცი. რამდენჯერ ვინატრე სიკვდილი... ალბათ ღმერთმა
ვერ გავუძლებდი, თქვენ რომ არ გაგენტავისუფლებინათ ბანაკიდან. ^{მეც ვიფიქრებდი}
ერთი საათი რომ დაგგვიანებოდათ, ვერცერთ სულიერს ვერ შეგუდებოდა
ღით აქ. გერმანელებმა გამორეკეს ბანაკიდან დასუსტებული, დაუძლურე-
ბული ტყვეები და ჩამოახრჩვეს...

მოხუცი იქ, გაუქმებული საკონცენტრაციო ბანაკის ღია ჭიშკართან
გამომეთხოვა და დამპირდა, მართალია, კაცია აღარ არის, მაგრამ ვიდრე
შემეძლება შენს შვილს ვუპატრონებო. მან მართლაც შეასრულა თავისი
სიტყვა.

...უკან გამოვბრუნდით. მოწმენდილ, უღრუბლო ცაზე მზე ჩახჩახებ-
და, ირგვლივ იდგა სიწყნარე, რომელსაც ჩიტების ჭიკჭიკი არღვევდა.

* * *

ზღვის პირას ვხედავ ნაციხარს,
ახლა ქვევად რომ ყრია.
— ამიხსენ, ძველი კაცი ხარ,
აქ რა სულ ჰყვავის ია?

მოხუცმა თავი ასწია,
კითხვაც ეამა თითქოს:
— თამარი მდგარა აქ, ძიავ,
პირმზე თამარი თვითონ.

რა დრო, რა ხანი დასძლია,
ახლაც სულს და გულს გვითბობს...
სახელი დიდი განძია,
მაგრამ დიდ ფასსაც ითხოვს!

* * *

თითქოს გატეხილა
ცაში დევის კოკა.
მე აქ, ბუხრის პირას
ვზი და ფიქრმა მომკლა:

— გზაში რამდენ ყმაწვილს
მოუსწრო და აწვიმს!
— თუ ზვავია მთაში?
— თუ ზვავშია ბავშვი?..

რეზიუმე სუბიექტური

განცხადების სანჯალა

გურიის 1841 წლის ცნობილი გლეხთა აჯანყება რომ ჩააქრო, მეფის ხელისუფლება შეუდგა მოთავეებთან და მონაწილეებთან ანგარიშის გასწორებას. ჯანყში აქტიურად მონაწილეობდნენ ასკანელი გლეხები მამუკა და ალექსანდრე ანთაძეები. პირველს, შპიცრუტენებით დასჯის შემდეგ, სასამართლომ 10 წლით ბობრუსკის პატიმართა ასეულში გაგზავნა მიუსაჯა, ხოლო მეორემ თურქეთში გაქცევით უშველა თავს.¹

ცხადია, ცარიზმი არც აჯანყების მონაწილეთა ოჯახების მიმართ დარჩენილა გულგრილად. მათ ხშირი ეგზეკუციით ავიწროებდნენ, ზოგს გადასახლებაში და ფიზიკური მოსპობითაც ემუქრებოდნენ, რის გამო ბევრი მემბოხის აწიოკებული ცოლ-შვილი იძულებული გახდა საქართველოს მიუვალი კუთხეებისათვის შეეფარებინა თავი. ზოგი რაქა-ლენხუმში და სვანეთში გაიხიზნა, ზოგმა კი მეზობელ აქარას შეაფარა თავი.

ახალციხელ ათაბაგთა უკანასკნელი მოჰიკანის იესე ჯაყელის შვილი-შვილი ზვიადი ჰელიმ-აღა სახლის აივანზე იჯდა, ყალიონს აბოლებდა და კალოზე პურის მღეწავ გლეხებს ადევნებდა თვალს, რომ ეზოში გაქაფული ცხენი შემოაგელვა მხედარმა.

— ლაშას ტყის ბოლოს, ვანგეშას ტბასთან უცხო ყმაწვილი ვნახეთ, აღავ. აქაური არ უნდა იყოს. შიმშილისა და უძალობისაგან ლაპარაკის თავიც აღარ აქვს.

1 ი. სიხარულიძე, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს. ბათუმი, 1956. გვ. 81-82. (საქ. ცსია ფ. 548, ს. 708, ფურც. 73).



— აქეთ მომგვარეთ! — ბრძანა ჯაყელმა და გლეხებმა ჩვილმცხოვრე წლის, ტანსაცმელშემოძარცული, თმაშუჭუჭა, ფერმკრთალი ბიჭი შემოიყვანეს ეზოში. დაგლეჯილი სამოსის შიგნით დასისხლიანებული კისრის მკერდით მოუჩანდა.

ბიჭი დააპურეს, დაბანეს. ტანსაცმელი გამოუცვალეს. ექიმბაშმა მესხიშვილმა იარებზე მაღამო წაუტეხო და შეუხვია.

ნაშუალამევს სტუმარი გონს მოვიდა. ოთახში მყოფნი სმენად იქცნენ. აქვე იყო ჰელიმ-ალაძე.

— ვისი გვარისა ხარ, შვილო! — ჰკითხა მან მოულოდნელობით გავიკრებულ ახალგაზრდას.

ჰაბუკმა თავი ასწია, ირგვლივ მიმოიხედა, ყველანი შეათვალიერა და გაუბედავად თქვა:

— მე ჰელიმ-ალას პირადი სტუმარი ვარ, ბაბუ!

ოჯახის უფროსმა თვალთ ანიშნა იქ მყოფთ. ყველანი გავიდნენ. სტუმართან მარტო ჰელიმ-ალა დარჩა.

— სოფელ ასკანიდან ვარ ალა-ბატონო, ალექსანდრე ანთაძის შვილი. სახელად ესტატეს მეძახიან. მამაჩემი გლეხების ჯანყს თავკაცობდა. მთავრობამ ხალხი გაჟლიტა, სახლები დაგვიწვა, ბაბამ ოსმალეთში გაქცევა მოასწრო. ჯარისკაცებმა ჩვენი ოჯახები ააწიოკეს, სიკვდილით გვემუქებოდნენ. ვიცი, რომ თქვენ დიდი კაცი ბრძანდებით, თავადი... — ჰაბუკმა ნერწყვი გადაყლაპა — მაგრამ გულმა მაინც სანდო მეზობლებისაკენ გამომიწია. იქნებ აქედან მამაჩემის კვალსაც მივაგნო და თავიც გადავირჩინო...

მასპინძელი ერთხანს დუმდა. შემდეგ ლტოლვილს ალმაცერად შეხედა, გრძელ უღვაშზე თითები გადაისვა და ბიჭს უთხრა:

— ხელმწიფის წინააღმდეგ ხელის აწევა კანონითაც ისჯება და ღმერთითაც, ახალგაზრდავ. ჩემმა გლეხებმა რომ ის ჩაიღინონ, რაც მამაშენმა და მისმა მეზობლებმა, — ხმას აუმაღლა ალამ, — დედაბუდიანად ამოვუჯუჯავ ყველას. ყმა და გლეხი იმისთვისაა გაჩენილი, რომ ბატონს ემსახუროს. შენ დილეგში ჩასაგდები ხარ, მაგრამ, — თვალი თვალში გაუყარა ჰაბუკს, — ჩემთან იცხოვრებ, ხელს ვერავინ დაგაკარებს... ჩვენთანაც არიან ასეთი ურჩები... ჰოდა თუ ამ გლეხებთან მოიწადინებ დაახლოებას, შენი მოჭრილი თავი პერანგას სერიდან ასკანაში ჩასვლამდე იგორებს.

* * *

იცხოვრობდა ტატე (ასე ეძახდნენ მას) ჯაყელებთან სოფელ ჭალაში. ჰელიმ-ალა ფრთხილად ადევნებდა თვალს ხიზანს. მაგრამ არაფერი შეუმჩნევია მისთვის საეჭვო, ყველა ოჯახი საპატიო წევრად თვლიდა. არავის მოსვლია აზრად მისი წყენინება, ზრდილობიანი ყმაწვილი იყო.

ორიოდე წლის შემდეგ აჭარაში სულთნის შიკრიკმა ახალი ამბავი გავრცელდა: ხონთქრის ბრძანებით შემოღებული იქნება გადასახადის ახალი წესი — თანზიმთი, გარდა ამისა აჭარამ ოსმალის ჯარში ახალგაზრდობის დასაწყისი და გაგზავნოსო.

ამ ამბავმა გლეხებში ჩუმი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, სოფელ დანდალოში კი საკმაო ხმაური ატყდა. მღელვარება ჰვანის ხეობასაც მოედო, შემდეგ მთელი ზემო და ქვემო აჭარა მოიცვა. ქვემო აჭარაში თანზიმთის საწინააღმდეგო მოძრაობას ცნობილი სელიმის შვილი ქორ-ხუსეინ ხიმშიაშვილი, მერისელი ჯინქოროღლი და დანდალოელი სული ბეგი ჩაუდგნენ სათავეში. აჯანყებულებს შეუერთდა შავშეთ-იმერხევის მოსახლეობაც, რომლის საერთო რიცხვმა ათი ათასს მიაღწია. მათ ხელმძღვანელობდა ქორ-ხუსეინის ძმის აბდის შვილი სელიმ-ბეგი² (მეორე).

აჯანყებამ პირველ რიგში დააფრთხო ბეგები და ალები. გლეხობა მათ სიკვდილით და სახლ-კარის დაწვით ემუქრებოდა. გამძვინვარებულმა ათაბაგმა ჰელიმ-ალამ საეჭვო გლეხები და ესტატე ანთაძე მუამბოხეებთან დაკავშირების შიშით დილეგში ჩამწყვდედნა. აღას შიში უსაფუძვლო როდი იყო. ამბოხებულნი გურიასთან კავშირის დამყარებას სწორედ ესტატე ანთაძის მეშვეობით ვარაუდობდნენ.

აჯანყების ერთი მეთაური, ვინმე აბდულა ჰელიმ-ალას ბადიშს სოფელ ძენწმანში გულა სურმანიძეს თხოვს, თუ მოხერხდება, როგორმე შემახვედრეო ეს ახალგაზრდა. აი ამ წერილის შინაარსი: „ხუსეინ სურმანიძის შვილო, პატივცემულო გულა-ალა! მე მჯერა შენი გულკეთილობისა და დამედებული ვარ, რომ თუ საჭირო იქნება, სამსახურს გაგვიწვევ. როგორც კი ამ წერილს მიიღებ, ის ახალგაზრდა, თუ კი სიტყვა გაგივა, თან წამოიყვანე, ცოტა ხნით ჩვენთან დარჩეს. ამისათვის გაწუხებ, აუცილებლად იმ ახალგაზრდის ერთად ჩვენსკენ შემოიარე. აბდულა, 1844 წ.“³ როგორც ვიცით, ეს ახალგაზრდა ამ დროს დილეგში იჯდა და მისი შეხვედრა ამბოხების მეთაურთან არ მოხერხდა.

აჯანყებულებმა ბევრ ადგილას დაუგეს მახე ჰელიმ-ალას, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა. ბოლოს იგი თავის მჯდმივ მხლებელთან ბუქალი ბაირალტართან ერთად სოფელ ტაკიძეებში მიიპატიჟეს. დაწოლის წინ ბუქალის ფხიზელ თვალს არ გამოპარვია, რომ კარის შიგნითა საკეტები დახსნილი იყო.

— აქედან თუ არ გავიპარეთ, ცოცხალი ვეღარ გავალთ, ჰელიმ-ალა, — უთხრა მან ჯაყელს, მაგრამ...

2 Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии. Тифлис. 1876, стр. 71, 72.

3 წერილის დედანი ინახებოდა სოფელ ჭალაში, ღურსენ სურმანიძის ოჯახში, რომელმაც 1967 წ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა და აქამადაც აქ ინახება.

— მე ამას ვერ გამიბედავენო, — თქვა ალამ და მშვიდად დაიძინა.

შუალამე გადასული იქნებოდა, როცა ათამდე კაცი შეიჭრა ხასტიანობითაჲში, მათ ლოგინებზე ხმლები დაატრიალეს და უმაღლვე გაუჩინებდნენ. განთიადისას ერთმა დაჭრილმა თვალი გაახილა, სხეული მოისწვწა, წამადგომა სცადა. ეს ბაირალტარი იყო. როცა დარწმუნდა, რომ ჰელიმ-ალა ცოცხლებში აღარ ერია, იგი სახლიდან გაიპარა, თან თავისი 13-მასრიანი თოფიც წაიღო. დილით მკვლელებმა დახვერეს დანაშაულის ადგილი და ბაირალტარი რომ არ დაუხვდათ, დაჭრილს სისხლის კვალზე გამოედევნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ბრილის მცხოვრები, მეტსახელად ხმიადი, სოფლის ბოლის, სამზიარის სათიბებთან ბუჩქებში მიმაღულმა, ჭრილობებისაგან დაუძლურებულმა ბაირალტარმა მიზანში ამოიღო საყაერისა წყაროსთან მოახლოებული მკვლელთა მეთაური, ჩახმაზი მოზიდა და... თავგახვეტილი ხმიადი იქვე ძელივით გაიშოტა. ამის შემდეგ მდევრებმა კელარ გაბედეს დაჭრილზე გამოედევნება, ისინი ჭვანაში გაბრუნდნენ. აქ ძალზე გაუხარდათ ჯანყის მოწინააღმდეგე ჰელიმ-ალას თავიდან მოშორება. ჭვანელმა ჭყონიამ მკვლელებს 12 კაცი ყურძენი მიაართვა.⁴

სისხლისაგან დაცლილმა ბაირალტარმა სოფელ ჭალამდე ამოაღწია. მან დიდი გონიერება გამოიჩინა, თავის სახლში ხალხს მოუყარა თავი და გადასცა თითქოსდა სიკვდილის წინ ჰელიმ-ალას ნათქვამი: დილეგიდან გაენთავისუფლებინათ ყველა ტუსადი, პირველ რიგში გურული ბიჭი და გეგზავნათ სულთანთან მოციქული მოსალაპარაკებლად. ხალხმა ყურად იღო ბუქალის ნათქვამი და მართლაც გაგზავნეს სულთანთან კაცი. ეს იყო ჭალელი ქურა ეფენდი. მალე აჭარის მაშინდელმა მმართველმა ახმედ ფაშის ქვრივმა დუდიხანუმმა სულთნისაგან მიიღო ფირმანი, რომლითაც შემცირდა გადასახადი, ხოლო აჭარელთა ჯარში გაწვევა გაუქმდა. აჯანყებულები სახლებში დაბრუნდნენ.⁵

* * *

უძეო ჰელიმ-ალას ოჯახს გადაშენების საფრთხე ელოდა, მაგრამ დაკრძალვაზე ამოსულმა ქალიშვილმა ხატიჯემ, რომელიც სოფელ ძენწმანში სურმანიძეზე იყო გათხოვილი, თავისი ორივე ვაჟი გულა და სელიმი მამის კერიაზე სოფელ ჭალაში საჯაყელოს უბანში დააფუძნა.

ესტატე ღვიძლი შვილივით შეიყვარა გულა სურმანიძემ და არც ფიქრობდა მის დაბრუნებას გურიაში, მაგრამ მალე კავკასიის მეფისნაცვალმა

4 ვ. იაშვილი — აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი, 1948, გვ. 100. ავტორის აზრით ჰელიმ-ალას მკვლელობა ახმედ ფაშას დროს მოხდა, რაც არ არის სწორი. ახმედ ფაშა 1836 წელს გარდაიცვალა, ეს ამბები კი 1844 წელს მიეკუთვნება.

5 შ. მეგრელიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 85. (საქ. სცია, ფ. 16. საქ. 8085, ფურც. 36, 37).

გურიის ჯანყის მოთავეებს აპატია დანაშაული. თურქეთში გაქცეულები, მათ შორის ალექსანდრე ანთაძეც მშობლიურ კერას დაუბრუნდა. გურულების ჯარში ჩაეწერა და დახმარებას უწევდა რუსეთის მხედრობას. ოსტატეც ასკანაში დაბრუნებისთანავე გურიის მილიციაში გაამწესეს. იგი მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. აქ გამოჩენილი მამაცობისათვის ესტატე ანთაძე ნადავლი ხმლით დააჯილდოვეს, რომელზედაც არაბულად ლეკი ხელოსნის სახელი იყო ამოტვიფრული „ლელაიმ მუხამედ“, რაც ქართულად „ოსტატ მუხამედს“ ნიშნავს.

1853-1856 წლებში ესტატე ანთაძე რუსეთ-თურქეთის ფრონტის წინა ხაზზე ჩანდა, მან აქაც ისახელა თავი და გიორგის ჯვარი დაიმსახურა. რუსეთის მხედრობამ იგი გურიის მილიციის მედროშედ დანიშნა.

* * *

1878 წლის 29 აგვისტო, რუსეთის მხედრობა გენერალ ტრეიტერის მეთაურობით ზედიზედ ათავისუფლებს ოსმალეთის მიერ სამი საუკუნის წინ მიტაცებულ ქართულ პროვინციებს. რამდენიმე ასეული გოდერძის უღელტეხილით ახალციხიდან გადმოვიდა, ნაწილი აჭარისწყლის ხეობას გაჰყვა, ნაწილი კი ხულო-ნიგაზეულის და ღორეჭედის გადავლით ჭვანის ხეობისაკენ გაემართა. ასეულში ქართველ რეგულარულ ჯარისკაცებთან ერთად შავშეთ-იმერხეველი და აჭარელი ახალგაზრდებიც ერივნენ. რაზმის მედროშეებს თეთრ ცხენზე კოხტად მჯდომი ჭალარა წვერ-ულვაშიანი კაცი მიუძღოდა. როცა ჯარი სოფელ ჭალაში შემოვიდა, ოთხმოც წელს მიღწეულმა გულა სურმანიძემ უმცროსი შვილი, 17 წლის რამიზი მოიხმო:

— ჩვენი ბედი, შვილო, როგორც ეტყობა, საბოლოოდ გადაწყდა, გვეყო რაც ვიტანჯეთ უცხო ხალხის ხელში. ეს ჯარი — მოხუცმა ხელი მახარაულის ლელისაკენ გაიწვდინა და ერთრიგად მომავალ ცხენოსნებზე ანიშნა — ჩვენი ძმების, მეზობლების და ახლობლებისაგან არის შედგენილი. იმეფია, მათი მოსვლით დაგვიბრუნდება ჩვენი ძველი სახელი და დიდება; სჯადრისად დახვდით, შვილო, სალდათებს. ბელელი გააღეთ, რაც რამ გავგაჩნია მიართვით, დაკრიფეთ ხილი, მსხალი, ქლიაფი... აბა თქვენ იცით.

რამიზსაც არ დაუყოვნებია, მეზობლის ბიჭებს თავი მოუყარა და სამ ცხენებიდან ჩამოქვეითებული ჯარისკაცები საჯაყელოს მიაღწევდნენ, ჯისპირი გოდრებითა და კალათებით გაივსო. ბედზე ჯარის მეთაურმაც მცირე შესვენებისათვის სწორედ საჯაყელო ამოირჩია, რითაც რამიზს საშუალება მიეცა ყველას გამასპინძლეობდა.

სოფლის მოსახლეობა ჯერ გაუბედავად შორი-ახლოდან ადევნებდა ოჯალს ჯარის მოძრაობას, შემდეგ თითო-ოროლა ახლოს მოვიდა, მალე კი მთელი სოფელი ჯარისკაცებთან ერთად მხიარულობდა.

გვერდზე მჯდომ გულას მისი თანატოლი მოხუცები შემოხვედნისა — მე ჩემი ცხოვრების გზა თითქმის გავლიე, — თქვა მხოლოდ, — დღევანდელი დღე ამათ ეკუთვნით, — მან ხელი ახალგაზრდებისათვის გაიშვირა, — ჩვენ კი თუ ცოცხალი ვიქნებით, გავიხარებთ ახალ ცხოვრებაში, საუკუნეებით მოწყვეტილ ძმებთან შეხვედრით, გავიზიარებთ მათს ბედნიერებას, ამოვუდგებით გვერდით ჭირსა და ლხინში. აი აგერ ჭასთან სალდათებში რომ ტრიალებს და უმასპინძლდება, ჩემი უმცროსი ვაჟია, რამიზი, სახლში ძლივს ვამაგრებდით, გოდერძის უღელტეხილამდე უნდა ავიდევ, იქ უნდა შეეხვდე ჯარსო. ძველი ომების ამბები გაუგონია, ახალგაზრდები 14-15 წლის ასაკიდან ხმალშემართული იგერიებდნენ მტერს, ანთავისუფლებდნენ თავიანთ მიწა-წყალსო. ჩვენ რა ჯაელები ვართ, თუ განმათავისუფლებელ ჯარში არ ვიბრძოლებთ, ან რიგიანად მაინც არ შევხვდებითო.

ოტა ხნის შემდეგ გენერალმა ტრეიტერმა ერთი ქართველი ოფიცერი მოიხმო და რამიზის მოყვანა უბრძანა. დარცხვენილი ახალგაზრდა უფროსის წინ დამნაშავესავით თავჩალუნული გაჩერდა.

— ჩვენს მეთაურს — თქვა ოფიცერმა, — შენთან სერიოზული საქმე აქვს. იცნობს თქვენს გვარეულობას, მამათქვენს, ნაწილობრივ თქვენზეც იცის... სურს ბარათაულისა და ჭვანის უბანში დაგინიშნოს მამასახლისად, ხელმწიფის კაცად.


გაოგნებულმა ახალგაზრდამ პასუხის თქმაც ვერ მოასწრო, როცა მეთაურმა ჯაჭვი აიღო, კისერზე ჩამოკიდა, ხელი ჩამოართვა და სანამ დაჯდებოდა, მთელმა ჯარმა სამჯერ „ურა“ დაიძახა.

როცა ეს ცერემონიალი დამთავრდა, ოფიცერმა რამიზი გვერდზე გაიხმო:

— დიდი საქმე დაგავალეს ძმობილო, მაგრამ შენი ენერგიისა მჯერა. იყავი მართალი, გულისხმიერი და მამასავით პატიოსანი, სხვა არაფერი გინდა. ამ სიტყვებთან ერთად მოვერცხლილი ხანჯალი შეიხსნა და რამიზს გაუწოდა.

— ეს ორღესული შამილთან ბრძოლის დროს ნადავლიდან მერგო საჩუქრად. მასზე ხელოსნის წარწერა იყო და იმ დღეების მოსაგონრად დავტოვე, მაგრამ სახლში დაბრუნების შემდეგ ჩემი სახელგვარიც წავაწერინე მჭედელ ქერქაძეს. თქვენების საპატივცემლოდ ესტატეს მაგივრად ტატე წავაწერინე. შვილო, მიიღე ჩემგან საჩუქრად, იმის სახსოვრად, რომ შენს ასაკში ცოცხალმკვდარს სიცოცხლე შენმა წინაპრებმა შემინარჩუნეს. 30 წელზე მეტია იგი არ შემიხსნია და როგორც თილისმა მიფარავდა ყოველგვარი ხიფათისაგან. დაე, შენც ასე გემსახუროს და გახდეს ჩვენი ძმობისა და მეგობრობის სიმბოლო.

— დიდი მადლობა, ტატე ბიძა, შევეცდები ვიყო თქვენი ღირსი ძმა და მეგობარი — უთხრა რამიზმა და გადაეხვია.



სამიოდე წლის შემდეგ ერთხელ კიდევ გაიელვა საჯაყელოზე, ^{ეხიკაშვილის} ანთაძის სახელმა. პეტრე უმიკაშვილს აბდულ მიქელაძისთვის ^{ქობულეთის} წიგნები გამოეგზავნა. აბდულ მიქელაძემ ერთი ცალი ჭვანის ხოჯას ახმედ ეფენდი შარაშიძეს გადასცა, რომელიც შეგიძრდებს ჩუმ-ჩუმად ქართულ წერა-კითხვასაც ასწავლიდა.⁶ პატარა წიგნს ყდაზე „ომიანობის ლექსნი“ ეწერა. იგი 1880 წელს დაებეჭდათ თბილისში. წიგნში ორი ლექსი იყო მოთავსებული. ერთი მათგანი ეხებოდა ქობულეთსა და მუხანგატატიში მომხდარ ბრძოლებს. მისი ავტორი **ესტატე** ანთაძე გახლდათ.⁷

ოცი წელი ატარა რამიზმა მამასახლისის ჯაჭვიც და ასკანელი ძმობილის ნაჩუქარი ხანჯალიც. როცა **მეფის** პირისსახლიანმა სატრაპმა გოლიცი-ნმა ქედაში უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ილიას ხილაძე ჩამოახ-რჩო, ხელმწიფის სამსახურში **მყოფმა** ბევრმა ადგილობრივმა მოხელემ პროტესტის ნიშნად უარი თქვა **სამსახურზე**. პირველ რიგში ამის მაგალითი მათ ქედის მაზრის უფროსმა **თუფან** შერვაშიძემ მისცა: მან თავისივე სურვილით აიყარა ჩინ-მედლები და უარი თქვა დიდ პოსტზე. რამიზმაც მამასახლისის ჯაჭვი მოიხსნა, მაგრამ ტატეს ხანჯალი სიკვდილამდე არ მოუშორებია.

* * *

— ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო მამა, როცა იგი საოფლემ იმსხვერპლა, — მიამბობს მამაჩემი. სამი თვით **ადრე** დედა გარდაიცვალა, მე ცხრა თვის დამტოვა, ხუთი ობოლი დავრჩით; **საჯაყელოს** კვლავ გავერანება დაემუქრა, მაგრამ მამიდამ, აჭარის მმართველის **შერიფ-ბეგ** ხიმშიაშვილის ნაცო-ლარმა რუხსეთმა კერა არ გააცივა. მე აღსაზრდელად მასთან დავრჩი, ხო-ლო ჩემი ოთხი დაი სრულსაკოვნობამდე ნათესავებთან იზრდებოდნენ. როცა წამოვიზარდე, სახლში ვეღარ მაჩერებდნენ, მოჯამაგირედ მიმაბა-რეს, ოჯახის მთელი ქონება გარეშე ნათესავებმა გაინაწილეს... მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ხანჯალიდა შემრჩა მამისაგან დანატოვარი, ისიც მამიდა-ჩემის წყალობით. დიდხანს ხელუხლებლად ეკიდა სახლში. პირველად 1921 წელს ჩამოვიღე. ეს ის დრო იყო, როცა ახალგაზრდა საბჭოთა ხე-ლისუფლებას საბოტაჟს უწყობდნენ. ბანდიტები ანადგურებდნენ ახალი ცხოვრების მომხრეებს. მე სახალხო მილიციაში გამამწესეს და ბანდიტე-ბისაგან ხულოს მაზრის დაცვა დამავალეს. 86 შეიარაღებული მილიციელი

6 „ივერია“, 1892, წ., № 196.

7 ე. ანთაძე, „ომიანობის ლექსნი“, ტფილისი, 1880.

მყავდა. მრავალი შეტაკება მოგვიხდა შავბნელ ძალებთან, ხანჯალი ქარქაშ-
ში არ ჩამივარდა... ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდით.

უკანასკნელად ტატეს ხანჯალი 1924 წელს გამომადგა. მეჩვენეს, რომ
გან მოგზავნილმა ბანდიტებმა ბახმაროდან გადაწყვიტეს საბჭოთა ხელი-
სუფლებზე შემოტევა. ბათუმში საგანგებოდ შექმნილმა მილიციის სამმა-
რთველომ თავისი რაზმები გამოგზავნა ჭვანის ხეობისაკენ. ჩვენც მათ შე-
ვუერთდით. ბანდიტები იმდენად გააქტიურდნენ, რომ ოზურგეთში ჩამო-
სულ ფილიპე მახარაძეს გომის მთის მხრიდან ჭვანაში და ბათუმში წამოსა-
სვლელი გზა გადაუღობეს. გაიმართა სასტიკი ბრძოლები, ბანდიტები უკ-
უვაქციეთ. ამხანაგი ფილიპე მახარაძე ბახმაროში ამოვიდა, იქედან ჭვანა-
ში ჩამოვაცილეთ, ხოლო შემდეგ მშვიდობიანად ბათუმში გავამგზავრეთ.

საბჭოთა ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარდა.

ხანჯალმაც დაისვენა.

— ამის მეტი მამაჩემისაგან არაფერი დამრჩენია — გამიმეორა მამა
ჩემმა ახალიწლის წინა ღამეს — მოუარე მას, გიყვარდეს, პატივი ეცი არა
მარტო როგორც ნაჩუქარ ნივთს, არამედ დიდი ამბების მომსწრეს, ამბები-
სა, რომელსაც გვირგვინად სახალხო ხელისუფლების მზე დაადგა თავზე.

საიდან იწყება სამშობლო

«С чего начинается Родина...»

სიმღერის.

მზიანი, ფრთიანი ბავშვობა
ამნაირ ფიქრებში გავიდა —
საიდან იწყება სამშობლო.
საიდან, საიდან, საიდან.

ფიქრები, ფიქრები თამაში, —
დავითი, შოთა თუ თამარი,
რა არის ამქვეყნად მთავარი.
რა არის, რა არის, რა არის!

სად არის ის ოქროს საწმისი.
სიცოცხლე ლეგენდის სადარი,
სად არის სამშობლოს საწყისი,
სად არის, სად არის, სად არის!

საიდან იწყება სამშობლო,
საიდან, საიდან, საიდან —
მზიანი, გვიანი ბავშვობა
ამნაირ ფიქრებში გავიდა.

ბავშვობის ოცნებას გავშორდით,
ვიპოვეთ ის ოქროს საწმისი,
ვიპოვეთ პასუხი —
სამშობლო
თვით არის ყველაფრის საწყისი.

სამშობლოს გარეშე არ ხარობს
სიცოცხლე, სიკეთე, ღირსება,
თვით უსასრულო სამყაროც
სამშობლო მიწიდან იწყება.



მეციხოვნე ვანისა

ოთარ ლორთქიფანიძეს

ნამეხარი, ნასეტყვი,
ნაწვიმარი, ნაქარი,
აი სწორედ აქ არი
ვანის ნაქალაქარი.

ახდენილი ოცნება,
ახდენილი სურვილი,
მზემ ჩრდილები მოცელა,
მზეა ოქროცურვილი.

ჩვენი ძველი ღიდება,
ძველისძველი კარიბჭე,
რამდენ რამეს გვპირდება,
რამდენ რამეს გვანიჭებს.

ძველი ფოლიანტები
ისე გრძნობით შრიალებს,
ისე გოლიათდები,
ტანში გაგაჟრიალებს.

ბევრი მტერს შეეწირა,
დავიწყებამ დანისლა,
აქ წევს მკერდშელეწილი
მეციხოვნე ვანისა.

თითქოს იმ ღროს იხსენებს
შეჭურვილი ცხედარი,
წევს და მშვიდად იხვენებს
ტანმორჩილი მხედარი.

ისტორია გრძელდება,
ისტორია ცოცხლდება,
ამეტყველდნენ ცხედრები
აწყობილი ჩონჩხებად.

გრძნობა ისე გაჭარბდა,
ლამის ცაში აიჭრეს,
ქარავნები ვაჭართა
მოადგება კარიბჭეს.

სურვილების სირუხეს
ცვლიან კოლხურ ქარვაზე,
სიზღიდრე და სიუხვე
ავსებს ვანის ქარვასლებს.

ღმერთებს ლურჯი სივრციდან
მზე ამოაქვთ ხელებით
და იღვრება სიცილად
მშვენიერი ხმელეთი.

მზე სუყველას სულს უვსებს,
ჩრდილი გდია სახლის წინ,
სადღაც აქვე ფუსფუსებს
ვანის დიასახლისი.

ცახცახებდა პაერი
ზეთისხილის ტოტივით,
ჩაგვძახოდა ხმა ერის —
ძველისძველი მოტივი,
ძველისძველი მოტივი
მშობლიური მოტივი.

თვალებს არც კი უჯერი
და სიზმარი გგონია,
არნახული, უჩვევი
ეს რა განძი გვქონია.

ქვიმასავით ულევია,
უთვალავი ფერები,
ყრია სამკაულები,
ოქროს დიადემები.

ყველაფერი ქართული
ყველაფერი კოლხური,
რა გვემართა უცხოთა,
რა გვემართა მომხდურის.

გულით გასახარელო,
გულო გულით ამღერდი,
ვანის ქალაქს მფარველობს
გამარჯვების ქალღმერთი.

ვაზის ფოთლით მოსილა
ყველას მოსალხენადა,
და ზეიმზე მოსულა
მშვენიერი მენადა.

მზით ივსება მათარა,
მზე იცინის,
ცა ტირის,
სიხარულით დამთვრალა,
სიყვარულით დამთვრალა,
ნეტარებით დამთვრალა
ახალგაზრდა სატირი.

ერთმანეთზე მიყოლით
მივუყვებით ფილაქნებს
კიდევ რამდენს ვიპოვით,
კიდევ რამდენს მივაგნებთ.

შეგძრავს სულის ფსკერამდი
ჰანგი ნატრულ მოტივის,
შემოდგომა ფერადი
იდგა ნატურმორტივით.

გვითხარ ოთარ ბატონო,
გახსენ დროის სარკმელი,
რამდენია საპოვნი,
რამდენია საკვლევნი.

თვალებს არც კი უჯერი
და სიზმარი გგონია.
უთვალავი, უჩვევი
ეს რა განძი გვქონია.

გულო. გასახარელო,
გულო გულით ამღერდი.
საჭართველოს მფარველობს
გაზარჯეების ქალღმერთი.



პაჩეხე ღოჩია

იმ საღაც შრომის ცაცხლი ანთია

ერთ დღეს შემოქმედებით მივლინებაში წასვლა და მხატვრული ნარკვევის დაწერა რომ შემომთავაზეს, მე პასუხის გაცემა გამიჭირდა.

— არა, ჩემო მამია, სადა მაქვს ამ ხანდაზმულ ადამიანს იმდენი შესაძლებლობა, რომ რაიონებს ჩამოვუარო ადრინდელად და ნარკვევები, მოთხრობები და ნოველები ვწერო. — ვუთხარი, მაგრამ თან გული მეტკინა, რომ ამ კეთილშობილურ დავალებაზე უარი ვთქვი.

— არა, არა, შორს წასვლას არ გთხოვთ. აქვე, რომელიმე მახლობელ რაიონში, მანქანასაც მოგცემთ, მეგზურსაც გაგაყოლებთ. — უფრო და უფრო მაქეზებს იგი.

— რა გაეწყობა. თანახმა ვარ. მივიღებ ამ დავალებას, მაგრამ...

— ჰოდა, ყველაფრით ხელს შეგიწყობთ. ნუ ყოყმანობთ! რასაც გვთხოვ...

— არა, არაფერსაც არ გთხოვთ. არც გამყოლი მინდა. არც მანქანა, არც ვინმეს შეწუხება და შეწრიალება.

— ძალიან კარგი, როგორც გენებოს. აირჩიე რომელი რაიონიც გსურდეს!

და მეც ავირჩიე.

ხელვაჩაურის რაიონი აქვეა ახლოს. ჩაის მოსავლითაც ქებულია, ციტრუსებიც ბლომად მოჰყავთ, ბაღებიც აქვთ, აგარაკებიც, სამკურნალო წყლები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები. მოსახლეობა ხომ...

რომელი ერის წარმომადგენელი გინდათ აქ რომ არ ნახოთ, რომელ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს არ შეხვდებით, აქა-იქ რელიგიური ფანატიზ-

მით შეპყრობილსაც ნახავთ, მაგრამ სამშობლოსა და თავისი ქვეყნის მტერს ვერ იპოვნით. აქ, ამ რაიონში განსაკუთრებით შეიმჩნევა სოციალისტური ქვეყნის სიყვარული და დიდი პატრიოტიზმი.

ქვეყნის
ეროვნული
მშვენიერება

დიახ, აქ, ამ რაიონში, რომლის მოსახლეობასა და მკვიდრთ დავალებული აქვთ არა მარტო მაღალხარისხიანი მოსავლის მიღება, არა მარტო ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების მოშენება, მოვლა და პატრონობა, არამედ ჩვენი ქვეყნის სახელოვან მესაზღვრეებთან ერთად სახელმწიფო საზღვრების დაცვა...

ჰოდა, მეც ამ სახელოვანი რაიონის სოფლებს ჩამოვუვლი ერთხელ კიდევ და აქაურ მშრომელთა საქმიანობას მოვაველებ თვალს.

დავიწყებ აღმოსავლეთიდან, იქიდან, საიდანაც ამ რაიონის გასაცნობად მოსული მგზავრი შემოდის ხოლმე.

აქაურობის სილამაზეს ვერც ერთი მხატვარი, ვერც ერთი მწერალი ვერ დახატავს და აღწერსო, — თქვა ერთხელ რუსმა მწერალმა ნოვიკოვ პრიბოიმ, როცა ბოტანიკური ბაღი დაათვალიერა.

„არგონავტებმა კოლხებს ოქროს საწმისი მოსტაცეს, ქვეყანა დააღარიბეს, მაგრამ მე ვიტყვოდი, რომ ამ დაკარგულ სიმდიდრეს მას ბათუმის ბოტანიკური ბაღი დაუბრუნებსო“ — წერდა 1912 წელს ამ ბაღის ერთ-ერთი დამაარსებელი და გამშენებელი რუსი ბოტანიკოსი და გეოგრაფი ა. ნ. კრასნოვი.

დიახ, იმ წლებში მეც მიხდებოდა ამ ბაღის გაშენების დროს აქ თოხითა და ბარით მუშაობა.

ჰო, აქაურობას მისი გამშენიერების დაწყების დღიდან ვიცნობ. შემდეგ კი კალმითაც მივსულვარ აქაურობის აღსაწერად და ცოტა რამ გამიკეთებია ნარკვევის სახით.

მართალია, ახლაც ვალში ვარ მასთან, უფრო მეტი უნდა დამეწერა მასზე და მის მშრომელებზე.

ყველაფერი შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ახლა, ამ პერიოდშიც შემეძლო გამეხსენებია იქაურობა, მაგრამ...

მოდი, აღსაზრდელებიდან, მომავალი თაობის წარმომადგენლებიდან დაიწყეო, — მირჩია ერთმა მეგობარმა და, მეც ჰკუთაში დამიჯდა.

ერთია დასრულებული ადამიანის ლტოლვა, შრომა და მისწრაფება და მეორეა მომავალი თაობის აღზრდა, გაწვრთნა, შრომაში ჩაბმა და გზაზე დაყენება.

პირველის გაცნობა, შესწავლა და აღწერა არაა ძნელი და რთული საქმე, მაგრამ მოზარდის გულში რომ ჩაიხედო, მის სულიერ სამყაროს ჩასწ-

ვდე, იქიდან გასაშლელად მომზადებული კვირტების მომავალი ვაიოვალის-
სწინო, აღწერო და დახატო იგი, მეტად სერიოზული საქმეა.



მე მაინც აქედან დაწყება გადავწყვიტე.

ნორჩები, პატარები, აღსაზრდელები...

მომავალი მეცნიერები, ხელმძღვანელები, ლიტერატურისა და ხელო-
ვნების მუშაკები, მებრძოლეები, სარდლები, მფრინავები, მეზღვაურები,
აღმზრდელები, მკურნალები, ოსტატები, აგრონომები, ტექნიკოსები, კოლ-
მეურნეები, ბრიგადირები და თავმჯდომარეები...

დიახ, ახალი ქვეყნის, სოციალისტური სახელმწიფოს ერთგულნი და
მშენებლები...

ჰოდა, მე ჩემი შემოქმედებითი მივლინება აქედან დავიწყე. მძლოლს
მისამართი მივეცი და გზას გავუდექი.

რამდენად შევძლებ ალებული ვალდებულების შესრულებას. ამაზე
ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, უთუოდ ბევრი რამ გამომრჩება, ბევრს
ვერ შევამჩნევ, იქნებ ბევრიც შევცოდო, გადავაჭარბო, ან დავაკლო, მაგ-
რამ იმედი მაქვს ჩემი მკითხველები მაპატიებენ, შემისწორებენ, მიმითი-
თებენ, ჩემ მიერ შეუძმჩნეველს თვით შეამჩნევენ, ხოლო გადაჭარბებულ-
სა და გაზვიადებულს აღნიშნავენ...

მაშ, მე მივდივარ იქ, სადაც მელოდებიან.

საიგელო თაობა

როცა შეკრების ხელმძღვანელმა ერთ-ერთი მხატვრული ნაწარმოების
განსახილველად მომხსენებელს სიტყვა მისცა, დარბაზში ჟრიაბული შეწყ-
და და სიჩუმე ჩამოვარდა.

სცენაზე ტანმორჩილი თხუთმეტი-თექვსმეტი წლის გოგონა გამოვიდა,
რვეული, რომელიც ხელში ეჭირა, მაგიდაზე დადო და მოხსენების კითხვას
შეუდგა.

ლაპარაკობდა დინჯად, გარკვევით, გამართული ლიტერატურული ქა-
რთულით. ჩანაწერებს იშვიათად იშველიებდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლი-
და საკუთარი აზრი მკაფიოდ და გასაგებად გამოეთქვა. ბევრს შეეხარბე-
ბოდა მისი მოსაზრებები, დასკვნები, შედარებები, თავთავის ადგილას ჩა-
რთული აფორიზმები და ხალხური თქმები.

— ჩვენი ბავშვთა სახლის აღსაზრდელია. — წამჩურჩულა ყურში
ამ სახლის სასწავლო ნაწილის გამგემ, რომლის ინიციატივით ტარდებოდა
ეს ღონისძიება. — მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს.

— თქვენს ბიოგრაფიაზე საინტერესო?

— ნამდვილად. — მიბასუხა მან და დარბაზს მოავლო თვალი.

მე ამ პედაგოგი ქალიშვილის ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცნობდი, რომ იგი წარმოშობით სოფელ ვერნებიდან არის. მისი სახელია ლამარა, გვარი აბაშიძე. ორი ვაჟი და სამი ქალი დარჩა მის მშობლებს. მათში უფროსი ლამარა იყო, ყველაზე უმცროსი ერთი წლის, დანარჩენები ერთმანეთზე მიყოლებულნი.

დიახ, დარჩნენ ობლად, უღედმამოდ, მაგრამ მზრუნველი და პატრონის ხელი არ მიჰკლებიათ.

ასაკის მიხედვით სხვადასხვა აღსაზრდელ ადგილას მოხვდნენ პატარები; ლამარა — მახინჯაურის აღსაზრდელ ბავშვთა სახლში. მან აქედან დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, აქ გახდა კომკავშირელი, აქედან მოეწყო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ კვლავ თავის აღმზრდელ სახლს დაუბრუნდა და ამჟამად ამ სახლის დირექტორის მოადგილეა სასწავლო ნაწილში. ლამარას გავლილი გზა მოკლეა, მაგრამ საკმაოდ რთული, მძიმე და ძნელი. ლამარა მზრუნველობდა თავის უმცროს დედმამიშვილებს. შესძლო მათი ერთად თავმოყრა.

მეტად საინტერესოა ლამარა აბაშიძის წარსული, მისი ბიოგრაფია. მასზე სქელტანიანი წიგნი დაიწერება, ვრცელი მოთხრობა.

ჰოდა, ასეთი წიგნის დასაწერად მას მასალები შეკრებილი აქვს და გვპირდება მის გამოქვეყნებას, რასაც ჩვენ დიდი სიამოვნებით შევეგებებით.

მომხსენებელი გოგონა ამთავრებს მოხსენებას. ტაშით ხვდებიან, უწონებენ, ხელმძღვანელი შუბლზე ეამბორობა. მოხსენებაში გამოყენებულ ჩანაწერებს ართმევს და საქალაქოში ინახავს.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოდიან ამ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ნაზი გოგიძე, ანგელინა ევსტინიგევა, რომან ჯანაშვილი და სხვები. მერმე გამოდიან მათი აღმზრდელები მარიამ ტუსკაძე, ეთერი ქლენტი, თამარა ჩესნაკოვა...

— გესმით, როგორი წმინდა ქართულით ლაპარაკობს ეს რუსი ქალიშვილი! — ჩესნაკოვაზე მანიშნებს ლამარა. — ჩვენი სახლის პიონერული რაზმის ხელმძღვანელია, აქტიური კომკავშირელი, ჩვენი რაიონის კომკავშირის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად აირჩიეს ახლახან. — და ამ გოგონას ბიოგრაფიას მიყვება.

თამარა ჩესნაკოვა ქალაქ ომსკში დაიბადა. პატარა იყო, მამა რომ გარდაეცვალა, დედამ იგი საქართველოში ჩამოიყვანა, ერთხანს ბორჯომში ცხოვრობდნენ, შემდეგ ბათუმში ჩამოვიდნენ. აქ კი დედამ გოგონა მახინჯაურის ბავშვთა აღსაზრდელ სახლში მიაბარა და თვითონაც ამ სახლში

დაიწყო მუშაობა. ამჟამად დედა-შვილი ერთად ცხოვრობენ. თამარა /დას-
რულებული ქალია, მიღებული აქვს საშუალო განათლება და განაგრძობს
სწავლას ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსრულებელ განყოფილება-
ბაზე.

— თუ ჩვენი აღსაზრდელების ბიოგრაფიით დაინტერესდებით, ერთი
და ორი მოსვლითა და გასაუბრებით ვერას გახდებითო, — მეუბნება სას-
წავლო ნაწილის გამგე და მეც ვეთანხმები.

მართალი ხარ ჩემო ლამარა, მე უკვე დამაინტერესა ამ სახლში შეკ-
რებილი ახალგაზრდების ცხოვრებამ. ბავშვებზე და მოზარდ თაობაზე ძა-
ლიან ცოტა რამ დამიწერია, ბავშვთა აღსაზრდელი სახლების შესახებ ხომ
ერთი სიტყვაც არ მითქვამს.

არა, უნდა გავცნო მე ამათ ბიოგრაფიას, აი, თუნდაც იმ შევევრემან
გოგონას, ამხანაგებში რომ ჩამჯდარა და საუბრობს.

— აჰ, ეს ჩვენი ზინაიდა იანაგოვაა. — მეუბნება ლამარა. — აქტიური
კომკავშირელი, ეროვნებით ბერძენი. მამით ობოლია. ექვსი წლის წინათ
ჩამოიყვანა დედამ ბორჯომიდან.

— რასაკვირველია, თქვენ ყველას ავ-კარგი გეცოდინებათ — ვეუბ-
ნები მე და ვთხოვ რამდენიმე აღსაზრდელი პირადად გამაცნოს.

— სიამოვნებით. — და მალე ჩვენს ირგვლივ ვარსკვლავებით აცი-
მციმდნენ ნორჩთა თვალები.

როგორც ვატყობ, ყველას უნდა გახდეს ჩვენი ყურადღების ობიექტი.
მივცეთ შეკითხვა, გავცეს პასუხი, მოგვიყვეს საკუთარი თავგადასავალი
და გავვაცნოს თავისი ბიოგრაფია.

— ტოროსიანია ჩემი გვარი, — გვპასუხობს თორმეტ-ცამეტი წლის
ლამაზი ბიჭი, — მიხეილი მქვია. — ეროვნებით სომეხია. ექვსი წლის იყო
დედამ რომ აქ მოიყვანა. მაშინ ცრემლები არ შორდებოდა მის თვალებს,
მაგრამ შემდეგ შეეჩვია, ამხანაგები და მეგობრები გაიჩინა და დღეს კმა-
ყოფილია. წარსულის მოგონება მაინც უჩუყებს გულს კეთილ ბიჭუნას.
დედა ებრალება, დედა, რომელიც მუდამ თავის პირმშოზე ფიქრობს და
დარდობს.

მანანა დავითის ასული გუსოევა ეროვნებით ოსია, ქ. გორიდან, მას
მშობლები ჰყავს, მაგრამ მდგომარეობამ აიძულა იგი და სამი მისი ძმა აქ
მოხვედრილიყვნენ. ორი უმცროსი ძმა აქვე იზრდება, მესამე კი ჯარშია გა-
წვეული. იგი ხშირად იწერება წერილებს, კითხულობს აქ დარჩენილ დედ-
მამიშვილების ამბავს და სიყვარულით იგონებს ამ სახლში გატარებულ
დღეებს.

დღეშეთის რაიონიდან არიან ძმები მერაბი და იური ძავაშვილები. ერ-
ოვნებით ესენიც ოსებია, მაგრამ...

— აქ ერთი ოჯახია, ერთი მზრუნველის მეთვალყურეობის ქვეშ მოქცეული და აბა ვინ არჩევს ეროვნულ წარმოშობას. — მეუბნება აქაური ახალგაზრდების მზრუნველი თამარ ჩესნაკოვა.

— მართალია. — უდასტურებენ ნათქვამს პიონერხელმძღვანელებსა სხვები.

დიახ, მართალია. აქ ყველა ერთმანეთის და-ძმა, ამხანაგი და მეგობარია. ისინი სხვადასხვა მდგომარეობამ შეჰყარა ამ სახლში. მათ ასწავლიან არა მარტო წერა-კითხვასა და სხვადასხვა მეცნიერებას, არამედ შრომასა და კოლექტიურ ცხოვრებას. ერთმანეთის სიყვარულსა და ინტერნაციონალიზმს, რაც ყველაზე ძვირფასი იარაღია ქვეყნად მეგობრობისა და მშვიდობის დასამყარებლად.

ერთხელ მისვლითა და ერთი თვალის გადავლებით აბა როგორ შეისწავლი და გაეცნობი ასი აღსაზრდელისა და მათი აღმზრდელების ცხოვრებასა და საქმიანობას! ამ სახლსაც ხომ თავისი წარსული და ისტორია აქვს.

* * *

...მახინჯაური ძალიან მოეწონა მეფის მთავრობის განებივრებულ არისტოკრატიასა და დიდგვაროვანთა წარმომადგენლებს, ჩინოვნიკებსა და ახალფეხადგმულ კაპიტალისტებს.

აქ შეიძლება გაშენდეს ბაღები, აგარაკები, სანატორიუმები და დროს გასატარებელი სასახლეებიო.

ვინმე მდიდარი კაცის ქვრივმა ქალმა ფესენკოვამ განიზრახა ერთ-ერთ მწვანე გორაკზე სასახლე აეგო და მალე ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

აავო სამსართულიანი სახლი, იშვიათი არქიტექტული გაფორმებითა და ჩუქურთმებით.

— მაგ ჩუქურთმებისა და გაფორმების ავტორის შვილიშვილი ამ ჩვენს აღსაზრდელ სახლში იზრდება. მისი გვარი პოლონიკაშვილია. — მეუბნება ამ სახლის ისტორიით დაინტერესებული ლამარა აბაშიძე, რომელიც ყოველ ღამეს ჩანაფიქრს მაშინვე ხვდება.

— აჰ, იმ პოლონიკაშვილის ნახელავია? გასაგებია. მასზე ბევრი კარგი მსმენია. მაშ, გენადი პოლონიკაშვილის ბაბუას მიუღია მონაწილეობა ამ სახლის გაფორმებაში?

ჰო, პატარა გენადი ერთხელ ოჯახში მესტუმრა. მამამისი ინვალიდია, ბავშვობიდანვე დაჩაგრული. ერთხელ ქუჩაში შემხვდა და ვთხოვე შვილი გამოეგზავნა ჩემსას.

და ერთ დღეს მესტუმრა პატარა გენადი. ვესაუბრე, ველაპარაკე, გამოთხოვებისას წიგნი ვაჩუქე და გავისტუმრე.

ამ სახლის შესახებ ჩვენი ქალაქის ხანდაზმული მოქალაქენიც მკაცრი-
თხრობენ. მაგალითად, პენსიონერი კ. დოლიძე კარგად იცნობდა ამ სახ-
ლის პატრონს მარია ნიკოლოზის ასულ ფესენკოვას. მდიდარი ქალაქელი,
ამ შესანიშნავ სახლთან ერთად მშვენიერი ბაღიც ჰქონდა, რამდენიმე პეტ-
ტარი ეჭირა მანდარინისა და ფორთოხლის ნარგავებს, რომლის მომვლე-
ლად სამი აგრონომი ჰყავდა დაქირავებული. კაკო დოლიძე და რამდენიმე
მისი თანასოფელი ქაბუკი დღიურ მუშებად ითვლებოდნენ და ლუკმა-
პურის ფასს შოულობდნენ.

შემდეგ?

პირველი იმპერიალისტური ომი გამოცხადდა, დოლიძე და მისი თანა-
ტოლები ჯარში გაიწვიეს, ქვეყანა აიწეწ-დაიწეწა, ხოლო როცა ყველაფე-
რი დამშვიდდა, ქარიშხალი ჩადგა...

— ათას ცხრაას თვრამეტ წელს, როცა ბათუმში თურქები შემოვიდ-
ნენ, სახლისა და მამულის პატრონი ქვრივი ქალი მოკლული იპოვნესო, —
უთხრეს დოლიძეს.

მას შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა ქვეყნად და ცხოვრებაშიც. ამ
სახლში ახალი დროის ადამიანები მოვიდნენ და აქაურობა მომავალი ბედ-
ნიერი თაობის აღსაზრდელ კერად აქციეს.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან დაიწყო აქ ეს ახლებური სუნ-
თქვა და ცხოვრება. ამ პერიოდში ბევრი სახელოვანი ქაბუკი და ქალიშვი-
ლი აღიზარდა ამ სახლში და სამოღვაწეოდ მოეფინა ჩვენს დიდ ქვეყანას.

აქ მიიღო წრთობა ცნობილმა იურისტმა და მწერალმა იუსუფ ფაღა-
ვამ, აქ შეისწავლა წერა-კითხვა და დაეუფლა ჟურნალისტის რთულ პრო-
ფესიას ჯემალ შამილაძე. ამ სახლში დაზრდილები და აქედან აფრენილები
არიან ტაისა რამაზანოვა, რომელმაც ოდესაში დაამთავრა მუსიკალური სა-
სწავლებელი და დღეს ამ დარგის ცნობილი ხელმძღვანელია, ედიკა კაკა-
ბაძე, მეზღვაურობა რომ აირჩია პროფესიად, ეროვნებით ბერძენი სიმელა
ნეზიროვაც აქედან მოეწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის
წარჩინებით დამთავრების შემდეგ წალკაში გადავიდა სამუშაოდ და, რო-
გორც კარგი და გულისხმიერი ექიმი, ქებას იმსახურებს. ვლადიმერ კისე-
ლიოვი მფრინავი გახდა, ამჟამად იგი ლენინგრადში ცხოვრობს და თავის
წარმატებებზე ხშირად წერს მის აღმზრდელებს. გალინა კაპლენკომაც ასა-
ხელა აღმზრდელები, მან დაამთავრა ლენინგრადის ლომონოსოვის სახე-
ლობის უნივერსიტეტი, შემდეგ ასპირანტურა და მოღვაწეობს ლენინგრადის
ერთ-ერთ ინსტიტუტში. ასეთები არიან აგრეთვე ლამარა ტაბლაძე,
პეტრე შუქრიძე და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვან-
და. მათ მიერ გამოგზავნილ წერილებს აქ სათუთად ინახავენ.

„საყვარელო ბიძია ალიოშა, საყვარელო აღმზრდელებო“.

„ტკბილად მოსაგონარო... ჩვენო მშობლებო და მზრუნველებო“.

ასეთი სიტყვებით იწყება და უღრმესი მადლობით მთავრდება თქვენი
გული მათგანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღმზრდელი ყველა საყვარელია, მასწავლებელი ყველა კეთილად მო-
სახსენებელი, მაგრამ სულ სხვაა უღედმაოდ დარჩენილი ნორჩი თაობის
მიმხედვისა და პატრონის სიყვარული. ასეთი მიმხედვა და პატრონი
მშობლებზე მეტად საყვარელი და დასაფასებელია. აბა ცამეტი წლის ნაზი
ნაგერვაძეს, რომელსაც მშობლების ერთმანეთთან გაცილების გამო ჯერ
ზუგდიდის საბავშვო სახლში მოუხდა ყოფნა, ხოლო იქიდან მახინჯაურის
აღსაზრდელ ბავშვთა სახლში გადმოიყვანეს და მშობლიურად მიიღეს, რა-
ტომ არ ეყვარება მშობლებზე უფრო აქაური აღმზრდელები და ხელმძღ-
ვანელები? მკვიდრი მშობლების უღირსი საქციელის გამო რამდენი ცრემ-
ლი დაუღვრია პატარა ნაზის, რამდენი ოხვრა აღმოხდენია, რამდენჯერ მი-
აღერსებია სიზმრად ნახული დედისა და მამის აჩრდილს. აქ კი კეთილმა
ადამიანებმა მას დედის ალერსიც მიაშველეს, მამის მზრუნველი ხელიც,
ცრემლიც შეაშრეს და ოხვრაც გადაავიწყეს.

ერთი და ორი როდი არის ნაზის ბედის თანაზიარი. მშობლების არა-
კეთილშობილურ საქციელს ბევრი მოუყვანია ამ სახლში.

„ჯერ კი დავღონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
სხვები ღვინობდნენ, და მე კი ღული
ცრემლისა თვალზე არ მშორდებოდა“.

დიდი ილიას პოემიდან იგონებენ სტრიქონებს ამ სახლის შვილობი-
ლები და კმაყოფილი არიან, რომ მათი ბედი სრულიად არ დაემსგავსა პო-
ემის გმირების ბედს.

„ალიოშა ბიძია, ამ წერილს გწერ ყოფილი აღსაზრდელი შუქრიძე...
ხშირად ფიქრებში ვარ და ვიგონებ იმ დროს, რომელიც გავატარე მაქ,
თორმეტი წლის განმავლობაში. ხშირად ვიგონებთ თქვენ, რომელსაც დი-
დი ღვაწლი მიგიძღვით ჩემს აღზრდაში... დიდი მადლობელი ვარ თქვენ
და ბავშვთა სახლის პედაგოგიური კოლექტივისა. არასდროს არ დამავიწყ-
დებით... ერთი კვირის შემდეგ ვამთავრებ სამხედრო სამსახურს... ნახვამ-
დის ძია ალიოშა. ნახვამდის ჩემო აღმზრდელო!“

ასეთივე სიყვარულით და სიტკბოებით აღსავსე წერილებს ღებულო-
ბენ ყოფილი აღსაზრდელებისაგან აღმზრდელები და პედაგოგები ეთერ
ბერიძე, ვახტანგ კონცელიძე, მარიამ ტუშკაძე და სხვები, რომლებიც ამ
სახლში აღსაზრდელად შეკრებილ მომავალ თაობას უძღვებიან და წვრთ-
ნიან.

აღბათ აქ შევწყვეტდი ამ სახლის ამბავს. მაგრამ... ჩემი ბინის შტატი
აწკრიალდა.



— შეიძლება?

— მობრძანდით.

ოთახში ორი ბავშვი შემოდის.

— მე ჯუმბერ გორაძე ვარ.

— მე ამირან ჯაბნიძე.

— ორივე სოფელ ახალშენიდან ვართ.

— მაგას მამა არა ჰყავს, მე დედა. — ერთმანეთს არ აცლიან ბიჭები.

— მერე? — მეღიმება მე.

— ორივე მახინჯაურის ბავშვთა აღსაზრდელ სახლში ვიზრდებით.

— მეშვიდე კლასელები ვართ.

— სასიამოვნოა. — ხელს გართმევთ ერთმანეთს.

— თქვენ ხომ იყავით ჩვენთან...

— დღეს ჩვენ მოვედით თქვენს გასაცნობად.

— მადლობელი ვარ. დაბრძანდით, ვისაუბროთ.

სხდებიან. ვსაუბრობთ. მიყვებიან თავიანთ ამბავს.

ძნელია უმამოობა, უდედობა კიდევ უარესი. პატარას ორივე უნდა ჰყავდეს, მაგრამ ბედი როდის ანებივრებს ადამიანს ასე. ის კი არა, ზოგიერთს სულ უპატრონოდ და უთვისტომოდ სტოვებს.

ჩემი სტუმრები ბევრ საჭირბოროტო საკითხში ერკვევიან. ბევრი რამ კიდევ სურთ იცოდნენ. ჩემთან მოსვლის მიზანი იყო ჩემი სამუშაო დაზგის გადახედვა, ჩემი, როგორც მწერლის ახლოს გაცნობა.

— ჩვენი სურვილია კიდევ გვესტუმროთ, კიდევ მოაწყოთ ისეთი სალამოო. — მთხოვენ, შევპირდი. შემდეგ ცოტა ხანს კიდევ წავისაუბრეთ და ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

და ერთ დღეს, როცა ჩემი ახალგაზრდა სტუმრებისათვის მიცემული პირობა გამახსენდა, ავისხი ჩემი განუყრელი იარაღი და გზას გავუდექი. მახინჯაურამდე ავტობუსით ვიმგზავრე, შემდეგ კი...

ქვეითად სიარული მარგებელიაო, ამბობენ და ამ რჩევის მიხედვით მეც შევყევი სიმწვანეში ჩაფლულ გორაზე მიმავალ შარავზას.

— თქვენ ჩვენს სახლში ხომ არ მობრძანდებით? — მეკითხება ათი-თორმეტი წლის წითური ბიჭი, რომელიც სწორედ იქ შემომხვდა, სადაც გზა იყოფოდა და მე არ ვიცოდი რომელს გავყოლოდი.

— რომელია ბიჭიკო თქვენი სახლი?

— აი, თქვენ რომ ერთი თვის წინათ იყავით. მე იმ სახლის აღსაზრდელი ვარ. თუ ჩვენი სტუმარი ბრძანდებით, ამ ბილიკით წამობრძანდით, უფრო ახლია.

— ახლო კია, ბაბუა, მაგრამ... კარგი, გამიძეხი წინ. — არ გავამოცანე ჩემი გულისა და მუხლების შესაძლებლობა. ერთხანს უხმოდ მივდიოდით, შემდეგ შევჩერდი და ვინაობა ვკითხე.

— ჯემალ კარლოს ძე წითელაძე გახლავარ, სოფელ ახალშენში. გამეცნო ჩემი თანამგზავრი. იგი თორმეტი წლისაა, მაგრამ ბევრად უხნევი სი ყმაწვილის ცოდნასა და გამოცდილებას ამჟღავნებს.

ჩვენ სახლის წინ ეზოში შევჩერდით. აქ არიან ჩვენი ნაცნობები ლამარა, თამარა, ბიძია ალიოშა, მისი მეგობრები და თანამებრძოლები, მოზარდი და მოზარდი ვაჟები და გოგონები. ამ სახლის მთელი კოლექტივია აქ წარმოდგენილი.

იმ დღეს საზეიმო შეხვედრა გვქონდა, მოხსენება, სიტყვები, დეკლამაციები, ლექსები, სიმღერები, დღეს კი ჩვენ უფრო შინაურულად ვხვდებით ერთმანეთს, მეგობრულად, ამხანაგურად. პატარა აღსაზრდელები ეთერი კონცელოიდის ირგვლივ ჩამომსხდარან სკამებზე და ამ კეთილშობილი ქალის საუბარს ისმენენ. ეთერის წაკითხული და მოყოლილი ზღაპრები ხიბლავს პატარებს. ჩვიდმეტი წელიწადია ეთერი აქაურ აღსაზრდელებს ემსახურებაო, მეუბნება ლამარა. იგი ერთ-ერთ საუკეთესო აღმზრდელად თვლის კონცელოიდს.

აგერ ერთი ჭაბუკი ჩამომჯდარა და ტანკენარ, შევგვრემან გოგონას რაღაცას ელაპარაკება. გოგონა სიყვარულით უცქერის ახალგაზრდას და თან სინანულითა და სევდით ევსება გული. ეს სევდა თურმე მისი დედამამიშვილების დაშორების მოლოდინით არის გამოწვეული. ვაჟი, რომელიც მას ესაუბრება, მკვიდრი ბიძაშვილია, იგი სვანეთიდან ჩამოსულა, რათა ამ სახლში მყოფი ორი პატარა აღსაზრდელი წაიყვანოს ამ არდადეგების დროს სოფელში მამასთან. ის აღსაზრდელები კი ამ გოგონას დედამამიშვილებია. ორი ძმა და ორი და იზრდება მასთან ერთად ამ სახლში. ახლა კი მხოლოდ ორი ბრუნდება მშობლიურ სოფელში ამ არდადეგებზე. თინა ჭკადუას კი ეძნელება დედამამიშვილების დაშორება.

ნეტავი მეც მათთან ერთად მივდიოდეთ, ფიქრობს.

— ნახვამდის ბიძია ალიოშა.

— ნახვამდის დეიდა ლამარა.

— ნახვამდის ჩვენო ძმებო და ამხანაგებო!

უქნევენ ხელს ერთმანეთს წამსვლელები და გამცილებლები. ხშირი და ჩვეულებრივია ასეთი წასვლა და გაცილება. ჩვეულებრივი, მაგრამ სხვადასხვანაირი. ზოგი სევდიანია, ზოგი ნალვლიანი, ზოგს კი ცრემლებიც ახლავს.

სევდიანია დროებით ერთმანეთის დაშორების მომენტი, ნალვლიანი კი უფრო ხანგრძლივი დაშორება, ხოლო ცრემლები მოსდევს ერთმანეთ-

თან საბოლოოდ დაშორებას, ცრემლები, მაგრამ არა მწუხარებისა და გასაჭირის. ასეთის მოლოდინშია ყველა აღსაზრდელი და მოუთმენლოდ ელოდება იმ ბედნიერ დღეს, როცა იგი დასრულებული და დაგეგმიური მადლიერების გრძნობით გამოეთხოვება თავის აღმზრდელებს და ცხოვრების ახალარჩეულ გზას დაადგება.

ჰო, სახლში ასი ტახტი დგას სუფთად აღაგებული ლოგინით. ასი ტახტი, ასი აღსაზრდელისათვის, აქედან ორმოცამდე გოგონებისათვის არის განკუთვნილი და ცალკე გამოყოფილ ოთახშია დადგმული, დანარჩენი ვაჟებს ეკუთვნის.

მართალია, აქ ყველაფერი ლამაზია და მიმზიდველი, ბევრს შემუშრდება აქ ცხოვრება და მოსვენება, მაგრამ...

პირველად მოყვანილ აღსაზრდელს საპატიმროდ ეჩვენება აქაურობა. სევდა აწევბა და ცრემლებით ნამავს სუფთა ბალიშს.

მაგრამ ცრემლი და ნღველი დრომ გაიყოლია. მშობლიურმა მოპყრობამ და მზრუნველობამ ახალმოყვანილ აღსაზრდელს გული გაუთბო, ცრემლი შეაშრო და სწავლა და შრომა შეაყვარა.

უბედობასა და ობლობას აღარ უჩივის ახლა კომკავშირელი გულნარა ტაკიძე, რომელიც თავის ძმასთან ერთად ამ სახლში იზრდება და იწვრთნება.

არც თოთხმეტი წლის ზაურ ნაკაშიძეა უკმაყოფილო აქაურობით. არც მისი ძმა ხასანი ამბობს საყვედურს ბედზე, რომელმაც ორივე აქ მოიყვანა და ამ კოლექტივის წევრი გახადა.

ნარგიზ კოჩალიძე სულ პატარა იყო აქ რომ მოიყვანეს. იგი მალე შეეჩვია და შეეგუა ახალ გარემოს, აქ გაიარა პიონერული ლამაზი თავსატეხითა და წითელი ყელსახვევით და კომკავშირის რიგებში მომზადებული შევიდა.

რომელ ერთსა და ორზე დავწერთ, რომელი ერთი და ორი მოვიხსენიოთ. აქ ყველა საყვარელი და სასურველია, ყველა ერთნაირად შესამკობი და შესაქები...

ჰო, მართლა, იმ მომხსენებელ გოგონაზე რომ არაფერი მითქვამს!

„მე ის ლიანა კასოვეა ვარ, იმ საღამოზე მოხსენება რომ წავიკითხე“. მიწერილი ჰქონდა ბარათს, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე. ლიანა კასოვეა...

„ეროვნებით იეზიდი ვარ, მაგრამ თავს ქართველად ვთვლი“. იეზიდი...

ჰო. ამიერ-კავკასიაში ცხოვრობენ იეზიდები. განსაკუთრებით ქ. თბილისში. საქართველო ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის კერაა და რა გასაკვირია იეზიდების, ამ უცხო ტომის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ აქ. მაგრამ...

„სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ“...

„მე ქართველი ვარ და ვის ესურვება მიწოდოს“...

და მეც ქართველი ვარო, ამბობს მახინჯაურის ბავშვთა სახლს შეც-
რე კლასელი აღსაზრდელი გოგონა ლიანა კასოევა.

რა ვუყოთ მერე, რომ ეროვნებით იგი იეზიდია, სარწმუნოებით მისი წინაპრები მუსულმანები იყვნენ! ქურთების მონათესავე ტომს ეკუთვნოდნენ. შემდეგ ხომ მიატოვეს აღზრდილი სამშობლო და სხვა ქვეყანაში გადასახლდნენ. მეტმა ნაწილმა სომხეთი და საქართველო აირჩია საცხოვრებლად და რამდენიმე ხნის შემდეგ ეს რესპუბლიკები აღიარეს სამშობლოდ.

ლიანა კასოევას მშობლები არ ჰყავს. დედა ექვსი წლისას გარდაეცვა-
ლა. იგი განათლებული ქალი იყო, ზოოვეტერინარული განათლება ჰქონდა მიღებული. მამა მტვირთავად მუშაობდა. მეუღლის სიკვდილის შემდეგ მან სამი მცირეწლოვანი უდედმამო ბავშვთა სახლს ჩააბარა. იქიდან გაანაწი-
ლეს პატარები, ექვსი წლის ლიანა ბავშვთა აღსაზრდელ სახლში გაგზავნეს, მისი ოთხი წლის ძმა და ორი წლის და სხვა ადგილას გადაიყვანეს.

„ამის შემდეგ მე არც და მინახავს, არც ძმა, თუმცა ძალიან მინდოდა მათი ნახვა.“ წერს თავის ბიოგრაფიაში ლიანა. მამას ორჯერ მიუკითხავს შვილისთვის, მაგრამ მალე იგივე გამოსაღმებია წუთისოფელს.

„შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ აღმზრდელებისა და დირექტორის სიტბოს ვვრძნობდი. და-ძმის ასავალ-დასავალი არ ვიცოდი. ლამარა დეიდა ყველაზე უფრო შედიოდა ჩემს მდგომარეობაში და მოშველებას ცდილობდა“.

და გასული წლის (1973) სექტემბერში მოხერხდა ლიანას და-ძმის მოძებნა.

„და დღეს ისინიც ჩემთან არიან“. — კმაყოფილი და გახარებულია ლიანა კასოევა და თავის მიზნებსა და მისწრაფებებზე გვესაუბრება.

იგი ნიჭიერი გოგონაა. მეოთხე კლასში იყო, რომ ჩეხოსლოვაკიაში გაგზავნეს მოსწავლეთა ერთ ჯგუფთან ერთად, როგორც კარგი მომღერალი. სხვა ქალაქებსა და ქვეყნებშიც უმოგზაურია.

ლიანა ლექსებს წერს, მოთხრობებსაც. სურვილი აქვს გახდეს მწერალი, დაწეროს აღსაზრდელებზე, აღმზრდელებზე, ისეთ გულთბილ ხელმძღვანელებზე, როგორიც...

„ბიძია ალიოშა“.

როგორიც ამ სახლის დირექტორი და ხელმძღვანელი ალექსანდრე ზე-
დანიია. დაიხ, მასზე ყველა ამ სახლში აღზრდილს თუ აღსაზრდელს სურს თქვას თავისი სიტყვა, სიტყვა მადლობითა და ღრმა პატივისცემით გამო-
ბარი.

მახინჯაურის ბავშვთა აღსაზრდელი სახლის სიკეთე სწორედ ეს არის, რომ მას თავიდანვე შერჩეული ხელმძღვანელი და ადამიანები გაუჩნდა.

აწ განსვენებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სერგო ბოლქვაძე, რომელსაც წილად ჰქონდა ამ სახლის პირველი დირექტორი ყოფილიყო, ძალიან ბევრი კეთილშობილი თვისებებით გამოირჩეოდა.

სერგოს გვერდით ედგა და მასთან ერთად მოღვაწეობდა კარგი პედაგოგი და აღმზრდელი მარო ცქვიტიშვილი.

გავიდა დრო. ადრინდელმა ხელმძღვანელებმა და აღმზრდელებმა დაუთმეს ადგილი ახალგაზრდობას, გაიყოლიეს აღზრდილებისა და დავაუკაცებელი ადამიანების მადლობა, სიყვარული.

1952 წლიდან ამ სახლის აღსაზრდელთა ხელმძღვანელობა, მათი მოვლა-პატრონობა და მათზე მზრუნველობა ახალგაზრდა პედაგოგსა და ცხოვრებაში კარგად ჩახედულ კომუნისტს ალექსანდრე ზედანიას დაევა. აღსაზრდელები პირველად დადონებული და ცხვირჩამოშვებულნი შეხვდნენ ახალ უფროსს, მაგრამ ორ დღესაც არ გაუვლია, რომ ეს ახალმოსული დირექტორი „ბია ალიოშად“ იქცა.

„ძვირფასო ბიძია ალიოშა“...

იწერებიან სხვადასხვა კუთხიდან და ქალაქებიდან ამ სახლში აღზრდილ-დავაუკაცებული ადამიანები, მათ შორის სწავლულები, ექიმები, ინჟინრები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

...დილაა, მზეს ჯერ არ ამოუწვევრავს. აღსაზრდელები ჯერ კიდევ არ ამდგარან, ტკბილ ძილს ვერ შელევიან. ალიოშა ბიძია კი კარგა ხანია ფეხზეა, სამზარეულოს ათვალიერებს, სურსათსა და გამზადებულ ულუფას ამოწმებს. მართალია, ამ საქმეში მას მისებრ ერთგული და პატიოსანი თანაშემწეები ჰყავს, მაგრამ ზედამხედველობა და ყურადღება მაინც საჭირო და აუცილებელია.

დილა ეძალება. ასი საწოლიდან ასი აღსაზრდელი წამოიწევს ასადგომად. ზოგი ზღაპრითა და ზმორებით გადმოდის ტახტიდან, ზოგი სწრაფად ჩამოხტება, იცვამს, საწოლს ალაგებს და ხელპირის დასაბანად მიეშურება.

საჭიროა ყველაფერი დროულად და სწრაფად გაკეთდეს.

დილის ვარჯიში, საუზმე, წიგნების ჩალაგება და...

ეზოში ავტობუსი ელოდება. კილომეტრიც არ იქნება სკოლამდე, პირდაპირი ბილიკით ნახევარზე ნაკლებიცაა, მაგრამ აღსაზრდელებისათვის საკმაოდ დიდი ავტობუსია გამოყოფილი.

სკოლიდან დაბრუნებულ აღსაზრდელებს ხომ კიდევ მიხედვა უნდა, სუფრის გაშლა, სადილი... შემდეგ კი რამდენი რამეა საჭირო.

— აღზრდაში ჩვენ სამი რამ გვესმისო, — ამბობს კარლ მარქსი, გონებრივი აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და ტექნიკური სწავლება; რომელიც ბავშვს თუ მოზარდს აძლევს ყველა წარმოების უმარტივესი ლევის მოხმარების ჩვევებსო.

მახინჯაურის ბავშვთა აღსაზრდელი სახლის ხელმძღვანელობას კარგად გაუგია მარქსის ეს მითითება. აქ ბავშვებს მარტო სასკოლო სახელმძღვანელობით კი არ კვებავენ, მარტო მხატვრული ლიტერატურის კითხვას კი არ აჩვენებენ...

— აქ სავარჯიშო მოედანი უნდა მოვაწყოთო, — გვეუბნება ხელმძღვანელი და სახლის ერთ მხარეს მუშაობაში გართულ ჭაბუკებზე გვანიშნებს.

ერთმანეთს ეჯიბრებიან ახალგაზრდები, მანქანით მოზიდულ ხრემს ცლიან, ასწორებენ... ხტიან, მღერიან, ჟრიამულობენ.

სიცოცხლეა, ნამდვილი ხალისიანი სიცოცხლე.

სხვა საქმე და სამუშაოც ბევრი აქვთ აღსაზრდელებს: ბოსტანი, ციტრუსებისა და სხვა ხეხილის ბაღი-ნაშენი. სკოლიდან თავისუფალ დროსა და არდადეგებს მათ მოვლას ანდომებენ.

სწორად იქცევა ბავშვთა სახლის ხელმძღვანელობა, როცა მოზარდთაობას გონებრივთან ერთად ფიზიკურ შრომასაც აჩვენებს. აღსაზრდელების გაკეთებულია ის მაკეტები და ორნამენტები, დახატულია და მოქარგულია ის სურათები და მოზაიკები, ამ სახლის მუზეუმს რომ ამშვენებს. ამ მუზეუმისა და აქ გაშლილი აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ბევრი წერილი, მხატვრული ნარკვევი, ჩანახატი და სტატია გამოქვეყნებულია ჩვენს პრესაში.

მახინჯაურის ბავშვთა აღსაზრდელი სახლის მსგავსი სახლები ძალიან ბევრია ჩვენს ქვეყანაში, არის სახლები უფრო პატარებისათვის, სავსებოთ ნორჩებისათვის, რომლებმაც ისე დაჰკარგეს მშობელი, რომ მისი აღერსიც არ უგვრძნიათ, დედის მკერდის სიტკბო და სითბო არ ღირსებიათ.

ჯერ კიდევ გვხვდებიან დედები და მამები, რომლებიც შვილებისა და მომავალი თაობის აღზრდას, მათ ბედნიერებას პირად ინტერესებს ანაცვლებენ. ზოგი დედა მორთულობასა და სამკაულს მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე შვილის მოვლასა და აღზრდას...

„როდესაც (კორნელია გრაკხუსის) მეგობარი ქალები, მდიდარ რომაელთა ცოლები, ერთიმეორეს თავიანთი ძვირფასეულობითა და მორთულობით ეტრაბახებოდნენ და კორნელიასაც სთხოვეს ეჩვენებინა თავისი სამკაულები, მან გამოუყვანა თავისი შვილები და უთხრა „აი, ჩემი სამკაულები და მორთულობანიო“.

ეს ძველი თქმულებაა, ძველი ამბავი, მაგრამ განა დღეს არ გამოდგე-

ბა კეთილი და გულისხმიერი დედის დასახასიათებლად! ადამიანი, რომელიც ხელს ჰკრავს, მოიცილებს და უყურადღებოდ მიატოვებს, ატოვებს კუთარ შვილს, იგი საზოგადოების სამართლიან გაკიცხვას ღირს.

მაგრამ არიან სხვა მიზეზებითაც დაჩაგრული და შეწუხებული პატარები, უსუსურები, უძლურები, რომლებმაც უდროოდ დაჰკარგეს მშობლები, არა ჰყავთ მოკეთე და ნათესავი.

და რომ ასეთებმა არ იგრძნონ უდედმამობა, უპატრონობა, რომ არ მოაკლდეთ ალურსი და მზრუნველობა, არ დარჩნენ მიუხედავი და უსწავლელნი, ამიტომაც მიუქცევია ჩვენს პარტიასა და ხელისუფლებას დიდი ყურადღება ასეთი აღსაზრდელების თავშესაფარისა და საბუღაროს მოსამრავლებლად. ასეთი თავშესაფარნი, ასეთი აღსაზრდელი სახლები და საბუღაროები ძალიან ბევრია ჩვენს ქვეყანაში.

დიდია ზრუნვა ამ საბუღაროებში თავმოყრილი მომავალი თაობის მოვლასა და აღზრდაზე. ამ საქმეს ემსახურება საქმაოდ დიდი არმია ჩვენი საუკეთესო პედაგოგებისა, აღმზრდელებისა, მომვლელებისა და ხელმძღვანელებისა.

ამ სახლებში იზრდებიან, იფურჩქნებიან და იწრთობიან ჩვენი ქვეყნის მომავალი მშენებლები.

და იმ მრავალ სახლს შორის ერთ-ერთი მოწინავეა მახინჯაურის აღსაზრდელ ბავშვთა სახლი, რომლის ამავსა და მზრუნველობას სამარადჟამოდ შემოინახავს ამ საბუღარიდან აფრენილი საიმედო თაობა.

დიდია ჩვენი ოჯახი

შრომით ფასდება ადამიანი

განიერ შარაზე მომავალი მანქანა ორსართულიანი მაღალი სახლის წინ გაჩერდა, იქიდან რამდენიმე მგზავრი გადმოვიდა და შენობის წინ შეკრებილ ხალხს შეუერთდა.

შეკრებილთ შორის იყვნენ ქალები, კაცები, მოხუცები და ახალგაზრდები. ყველას მოხდენილად და კარგად ეცვა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი სამუშაოდან პირდაპირ აქ მოსულიყო.

რამდენიმე ქალს სოციალისტური შრომის გმირის ხუთქიმიანი ოქროს ვარსკვლავი უმშვენებდა მკერდს, ლენინის ორდენოსნებიც საქმაოდ იყვნენ, შრომის წითელი დროშისა და სხვა ორდენების მქონეთა რაოდენობაც არ იყო მცირე.

— არ დავანებებთ და ისაა! — მტკიცედ თქვა ერთ ჯგუფში გაჩერებული ახალგაზრდამ.

— სწორია! — დაუდასტურა მას ხანდაზმულმა კაცმა, რომელიც ისე ათვალისწინებდა აქ შეკრებილთ, თითქოს მათი განწყობილებების შესახებ მათთვის სურსო.

— მაგის ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ რაც გავგაჩნია და ახლა...

— ოცდაათ წელზე მეტია თავს დაგვტრიალებს... — არ დაამთავრებინა სიტყვა ერთმა შუახნის მანდილოსანმა შუახნის მამაკაცს.

— დაწინაურება გვინდაო, უთქვამთ, უფრო დიდი საქმე უნდა მივანდოთო.

— დასაწინაურებელი და კარგი თუა ჩვენ გვინდა. ამაზე დიდი საქმე რა უნდა მიანდონ.

— ასე იცინ, თუ კაცმა ერთ ადგილას თავი გამოიჩინა, სხვაგან გადაისვრიან. ვითომ მინისტრობა რომ მისცენ, უკეთესი იქნება მისთვის?

— აქ ყველა მადლიერი ჰყავს.

— ასეთი მართალი და პირდაპირი კაცი იქ იმდენ მომდურავს გაიჩენს, რომ...

— პენსიაში გასვლის შემდეგაც არ ეყოლება ხმის გამცემი და მოსაუბრე.

ასეთი მსჯელობა-კამათი ჰქონდათ იმ დღეს, როცა აქ ერთი მეტად საკირო საკითხის გადასაწყვეტად ორი სოფლის მოსახლეობას თავი შეეყარა.

სოფლის თავკაცის სხვა, უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაყვანის საკითხი იდგა.

ხალხით სავსე კლუბის დარბაზი უქმყოფილად შეხვდა ამ ცნობას.

და როცა შეკრების ინიციატორთათვის ცხადი გახდა, რომ მამობრივი მზრუნველის მოშორება არავის სიამოვნებს... დარჩეს, ემსახუროს სოფელსო — თქვეს და აღტაცებულმა ტაშის გრიალმა ასწია შენობის ჭერი.

* * *

გუშინ, ივნისის მიწურულს, საღამო ხანს დასავლეთიდან მოწოლილმა ქარმა შავი ღრუბელი გამოჩეკა, მას ელვა-ჰეჰა მოჰყვა და ზღვისპირა ბაღში ნარგავების მოსარწყავად გასული მანქანები უკან გამობრუნდნენ.

ბაღში და ზღვისპირას გასულმა დამსვენებლებმა სახლებისა და თავშესაფრისაკენ მიაშურეს.

ნაგვალავმა მიწამ სული მოითქვა და მცენარეების შემღრალმა ფოთლებმაც ცქვიტეს ყური.

მთელი ღამე განუწყვეტლივ წვიმდა, დილით გამოიდარა, მზემ ღრუბლებიდან გამოიხედა.

კარზე ზარი აწკრილდა.

ისკენდერ მაგლობლიშვილი მოსულიყო. ჩვენ გუშინ შეთანხმებით ერთად წავსულიყავით მის სოფელში და იქაური მშრომელებსა და მოსახლეობას გავცნობოდით.

ისკენდერი ხშირად კისრულობს ჩემს მეგზურობას. სად არ ვყოფილვართ ერთად, ვინ არ გვინახავს, ვის არ გავცნობივართ. ერთ გაზაფხულზე მთელი ქობულეთის რაიონი ჩამოვიარეთ. ძალიან არეულ-დარეული თავგადასავალი აქვს ისკენდერს, არც თუ ისე სახარბიელო წარსული, მაგრამ ერთ-ერთი მოთხრობის მსგავს ნარკვევში მე მაინც აღვწერე მისი თავგადასავალი.

დღეს ისკენდერი ხანდაზმული კაცია, ჰყავს ცოლ-შვილი, ბაღიშები, აქვს კარგი ოჯახი და ბედით კმაყოფილია.

მობრძანდით-მეთქი, სახლში შემოვიპატიჟე, მაგრამ არ დამეთანხმა, აქ დაგიცდი, ჩაიცვი და წავიდეთო.

დავეთანხმე.

მანქანას მივაღექით, მძღოლს მისამართი მივეცით და გზას გავუდექით.

როცა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ჩავუარეთ, მაშინ მომავგონდა ამ ორმოცდაშვიდი წლის წინათ როგორ მოვდიოდით აქ სამუშაოდ შაბათობაზე და მიწას ვასწორებდით, ორმოებს ვთხრიდით, თხრილები გაგვყავდა, სამშენებლო მასალას ვეზიდებოდით.

დიახ, ასე ახალგაზრდაა ჩვენი ქარხნები.

მე კი მოხუცებულობის პენსიაში ვავედი.

ჰო, სულ ახლა, ჩვენს მახსოვრობაში მოხდა ეს ყველაფერი. ჯერ კიდევ ამ ქარხანაში მუშაობენ მისი მშენებლები, მისი დაბადების მოწინი.

ერთ-ერთი მოწმე მეცა ვარ მათ შორის და მიხარია, რომ იმ ადგილას სადაც ერთ დროს ჩემი რომანის „შვილების“ გმირს რამინ ცისკარაძეს სათრიელა ურემით შეშა მოჰქონდა, დღეს სასახლეებია აგებული და ურიცხვი მანქანები დასრიალებენ.

იმ რომანის შექმნის პერიოდში ხშირად დავდიოდი მე აქ და ყოველი კუთხე და ადგილი ნაცნობია ჩემთვის, მაგრამ ეს ისე, მოგონების ჩრდილმა მომაძალა და ეს სტრიქონები დამაწერინა.

ჩვენი მანქანა მიჰყვება შარას. მიიწევს წინ. ეხედავ სალიბაჯრის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, საქართველოში ჩაის კულტურის პირველ კერას, სადაც ჩინელმა სპეციალისტმა ლაუ-ჯონ-ჯაუმ ჩაის პირველი ჭანჭიკი აგება საზოგადოებას და შემდეგ მისი ღირსება თანდათან ასწია. 1900 წელს პარიზში საერთაშორისო გამოფენაზე აქაურმა ჩაიმ მიიღო დიდი ოქროს მედალი წარწერით „კავკასიის ჩაის, მსოფლიოში უკეთესი ხარისხისათვის“.

ესეც ძველი ამბავია და ამ მგზავრობის დროს ვიხსენებ.

მაშინ სხვას ეკუთვნოდა იგი. სალიბაური და მწვანე კონცხიც, მახინჯი ჯაჭური და ორთაბათუმი, ეს მთები და ეს გორაკები, ეს დაბლობები და ეს ვაკეები, ყველაფერი, ყველაფერი სხვისი იყო და მშრომელ ხალხს მათი წილი არ ედო.

— ხელაე რა სახლები წამოჭიმეს ახლახან ქედისა და ხულოს რაიონიდან ჩამოსახლებულმა გლეხებმა! — მახლობელ გორაკისაკენ მანიშნებს ჩემი თანამგზავრი.

მართლაც, სახლები კი არა სასახლეებია. ძალიან მშრომელი ადამიანები ყოფილანო, მეუბნება ისკენდერი.

ჩვენმა მანქანამ მწვანე ხეივანში კიდევ რამდენიმე კილომეტრი გაიარა, ცალ მხარეს შეჟარა და ორსართულიანი შენობის წინ გაჩერდა.

აქ არის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი, ფოსტა-ტელეგრაფი, შემნახველი საღარო, ბიბლიოთეკა, თვითმოქმედი წრეების სამეცადინო ოთახები, შენობის გვერდით ფეხბურთის მოედანი, ფიზკულტურის მოყვარულთა სხვადასხვა სავარჯიშო მოწყობილობანი.

შენობის წინ პატარა მოედანია აუზით, სახლის ირგვლივ კი სხვადასხვა ჯიშის ხეებია გაშენებული.

ასეთია აქაურობისა და ამ შენობის გარეგნული სახე-ფასადი.

მაგრამ ჩვენ უფრო გვინტერესებს ხალხი, ადამიანები.

— მობრძანდით, ბატონო, ყველას გაგაცნობთ, — თითქოს მიგვიჩვენა გუმანს ერთი შუახნის კაცი.

— თქვენ...

— კოლმეურნეობის ბრიგადირი ავთანდილ ასანიძე გახლავართ. — გვეუბნება იგი და ხელს გვართმევს.

ავდივართ მეორე სართულზე, სადაც კოლმეურნეობის კანტორაა. მაგიდებს შიშვდარი მუშაკები საქმით არიან გართულნი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე რაიკომის ბიუროზე ყოფილა წასული და მასთან გასაუბრება დღეს არ მოგვიწევს, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცნობ მამიას. მასთან საუბარიც მქონია, პურ-ღვინოც მიგვიღია ერთად, მისი თაოსნობით გაკეთებული საქმეც მინახავს. კაცი, რომელიც თითქმის ოცდათხუთმეტი წელია ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას და მასზე საყვედური არავის დაცდენია. ლენინის ორი ორდენი მიუღია, მედლები, ქების სიგელები, მრავალი ჯილდო.

მის შესახებ ყველაფერი ვიცი და გამიგია.

ისევ სხვას გავესაუბრები, ქვევიდან დავიწყებ.

— მე ეკონომისტი გახლავარ, ლევან წილოსანი. — ცნობისმოყვარეობით შემოგვხედა მაგიდასთან ჩამჯდარმა ახალგაზრდამ. — ექვსი წელია

აქ ვმუშაობ, ჩვენი კოლმეურნეობის ავ-კარგი კარგად გამეგება. — და მოკლედ გვიყვება.

კოლმეურნეობა ას ორმოცდაათამდე ჰექტარ ჩაის ფარდობის, სამოცდაორ ჰექტარამდე ციტრუსია, რამდენიმე ჰექტარი ტუჩუნი, დაფნა და სხვადასხვა ხეხილი. თესენ სიმინდსაც, ცოტას, ფართობის სიმცირის გამო.

აქვე ვეცნობით კოლმეურნეობის მთავარ ბუხჰალტერ აიშე სარჯველაძეს. იგი ერთ დროს არსებულ აჭარელ ქალთა სკოლის ყოფილი მოსწავლეა. მოწაფეობის დროს ხშირად მოდიოდა ხოლმე მწერალთა კავშირში და ჩვენს ახალ-ახალ ნაშრომებს ეცნობოდა.

— თქვენი გვარი, თქვენი მოვალეობა? — ვეკითხები ახალგაზრდას. რომელიც საანგარიშოს დაჰყურებს და იქ მიღებულ რაოდენობას სწელ დაეთარში იწერს.

— დოლიძე გახლავარ, ზაქროს მეძახიან.

— დოლიძე... — მეღიმება მე. — საქართველოში ეს დალოცვილი გვარი იმდენია! გურიიდან იქნებით!

— არა. ქედის რაიონიდან.

— მერისიდან ხომ არა?

— დიახ, მერისიდან. კარგა ხანია ჩემი მშობლები ჩამოსახლდნენ აქ.

— იმის ბიჭი გახლავს, ჩემს ოჯახში რომ შეგახვედრე ერთხელ. — მეუბნება ისკენდერი.

— აჰ, იმის ვაჟი?..

და ახლა კვლავ უკან ვიხედები და ორმოცდაერთი წლის წინანდელ ამბავს ვიგონებ.

ჩვენმა მხატვრულ-ლიტერატურულმა ბრიგადამ, რომელიც მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ინიციატივით იყო გაგზავნილი მთიანი აჭარის სოფლებში აგიტმასობრივი მუშაობის ჩასატარებლად, შემოიარა ზემო აჭარის სოფლები, ვიყავით ღორჯომში, რიყეთში, დიოკნისში, დანისპარაულში, ხიხაძირში, ვერნებში, სხალთაში, ჭვანაში, ფურტიოში, უჩამბაში და ჩამოვედით ქედის რაიონში. აქ პირველი სადამო-წარმოდგენა გამართეთ ზვარეში, ქედაში, ალიქოღლებში და ვესტუმრეთ მერისს. აქ ძალიან კარგად შეგვხვდნენ, სკოლის დარბაზში სცენა მოგვიწყვეს, ფანრებით შენობა გაანათეს, ხოლო სადამოს დამთავრების შემდეგ ღამის გასათევად ოჯახებში გაგვანაწილეს. მე და ჩემი ამხანაგი ჟურნალისტი კომანდო დობოროჭვინიძე ერთმა კოლმეურნე გლეხმა წაგვიყვანა ოჯახში. მართალია, ღარიბად ცხოვრობდა, მაგრამ კარგად გაგვიმასპინძლდა, ნავახშმევს ცალკე ოთახში ლოგინი გაგვიშალა და მოსვენება შემოგვთავაზა

მოსვენება კი შემოგვთავაზა, მაგრამ მისმა მოკლედ მოყოლილმა ბავშვმა მთელი ღამე არ მოგვასვენა. ჩვენი ბრალი კი იყო. ვკითხეთ, ენა ახალგაზრდა კომუნისტი კაცის სიკვდილის შესახებ. მაშინ ეს ამბავი გვითხრობდა. რა მოხდა, რამ მოჰკლა ასე ახალგაზრდა პარტიული მოღვაწე ერთ-ერთ აქტიურ მუშაკად ითვლებოდა ქედის რაიონში, სადაც არც ისე ბლომად გვყავდა ადგილობრივი კადრი.

— იგი ჩემი ძმა იყო. — ნაღვლიანად ამბობს მასპინძელი. — ბევრს არ მოსწონდა მისი საქციელი, განსაკუთრებით სარწმუნოების მიმდევართ. ხოჯა-მოღვბი ზომ სულ ვერ იტანდნენ. დასანახადაც ეჩავებოდათ პატიოსანი და მტკიცე კომუნისტი.

და ერთ ღამეს, როცა სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, საფრთხობელა სამოსით ზღაპრული ქაჯის მსგავსად მორთული ვიღაცა გადაუდგა გზაზე და შეუტია. ვერ შემაშინებთო, დაიძახა მომავალმა და იარაღიც მოიწველია, მაგრამ იარაღმა უმტყუნა, რამაც შიში გააძლიერა.

— რაღაცა რომ დაგორდა და კედელს მოასკდა, მაშინ გამოვცვივდით გარეთ და ვნახეთ ჩემი ძმა უგონოდ კედელთან დაგდებული. გონზე რომ მოვიდა, ყველაფერი გვიამბო. ჩემი გადვლება მოინდომესო, თქვა. მართალია, ამ შემთხვევის გამო იგი არ გაგიჟებულა, მაგრამ ძალზე დასნეულდა და ხელიდან გამოგვეცალა.

მასპინძელმა ამბავი დაამთავრა. გავიდა, მაგრამ ჩვენ მთელი ღამე არ გვეძინა.

ეს ამბავი უფრო ვრცლად მოყოლილი მაქვს ჩემს რომანში „დელი მურადი“ („განთიადი ხევში“).

— დიან, მაშინდელი თქვენი მასპინძელი მამაჩემი გახლავთ. — მეუბნება კოლმეურნეობის ახალგაზრდა ბუხპალტერი ზაქრო დოლიძე.

გასაგებია. მერისიდან გადმოსახლებულ ღისა დოლიძის ვაჟთან მქონია საცხარი.

ეს ჩვენი შეხვედრა შემთხვევით მოხდა, მაგრამ ორივეზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩვენს საუბარში კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ზაქრო ბერიძეც გამოჩნდა და ახლა მის კაბინეტში გადავინაცვლეთ.

ამხანაგი ბერიძე გვესაუბრება კოლმეურნეობის პარტორგანიზაციისა და კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

— კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში ასოთხი პარტიის წევრია და შვიდი პარტწევრობის კანდიდატია. — ამბობს ბერიძე. — ამათ შორის ოცდაშვიდი ქალია, რომელთაგან სამი სოციალისტური შრომის გმირია. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გაერთიანებულია კომკავშირში. მათ ნოდარ კოჩალიძე ხელმძღვანელობს.

ხელვაჩაურის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებებს მოწმობს ის მაღალი ჯილდოები, ორდენები და მედლები, რომლებითაც დამსვენებულია კოლმეურნეთა უმეტესობის მკერდზე. კოლმეურნეობის მიღწევებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი დამსვენებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მაღლობისა და ქების სიგელებით.

ადამიანის აღზრდა, ჩამოყალიბება და სწორ გზაზე დაყენება წიგნების საშუალებით ხდება. დედაენიდან იწყება წიგნის კითხვა და სიყვარული და გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე. უწიგნოდ ძნელია, ამბობს ლენინი. უდიდესი ზეიმია კარგი წიგნი, გვასწავლის გორკი.

ჰოდა, ამ კოლმეურნეობის ბიბლიოთეკა-წიგნოსაცავშიაც საჭიროა შევიხედო.

— მობრძანდით! — გვეპატიჟება კოხტად მორთული ლამაზი ქალიშვილი.

მოზრდილი დარბაზი წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებითაა სავსე. ცალკე დგას სააბონენტო მაგიდა და წიგნების ამრჩეველთა ჩამოსასხდომი სავარძლები.

ბიბლიოთეკა ერთი შეხედვით უბრალო რამეა. მისი მართვა და ხელმძღვანელობა თითქოს ყველას შეუძლია; შეიძინოს, მოიტანოს, დაალაგოს, გასცეს, ჩაიბაროს, მაგრამ...

დახედეთ ბიბლიოთეკიდან წამოღებულ წიგნს რამდენი სხვადასხვა ნომერი ახის, რამდენი ნიშანი აქვს დასმული. აბა მოსინჯეთ ახალმიღებული ლიტერატურის დანომრვა და დაჯგუფება!

ამ საკოლმეურნეო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, საშუალო სკოლა-დამთავრებული გოგონა ნათელა ხალვაში, გამოცდილი ბიბლიოთეკარის ცოდნას ამჟღავნებს. უსათუოდ საჭიროა მისი ამ ცოდნის უფრო გაღრმავება და გამდიდრება, მაგრამ ასეთი მოცულობის ბიბლიოთეკისათვის ნათელას ცოდნა, რაც თანდათან გამოცდილებითა და დაკვირვებებით იკვებება, სავსებით საკმარისია.

ბიბლიოთეკაში ათიათასამდე წიგნია, ჰყავს ექვსასამდე მუდმივი მკითხველი, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნი ყველაზე დიდი იარაღია ადამიანისათვის და ამ იარაღით უფრო კარგად უნდა აღვჭურვოთ იგი. კოლმეურნეობაში, რომელშიაც ასოთხმოცამდე კომკავშირელია, საკმაო ძალაა ახლახან შექმნილ წიგნის მეგობართა საზოგადოების აქტივში.

კულტმასობრივი მუშაობის გაშლის საქმეში დიდი როლის შემსრულებელია კლუბი და მასში გაერთიანებული თვითმოქმედი წრეები. ამ მხრივ ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის კლუბი ცოტა საქმეს რო-

დი აკეთებს. კლუბის გამგე ვახტანგ თავდგირიძე ახალგაზრდა კაცია, მაგრამ აგერ ხუთი წელია ამ დარგს ხელმძღვანელობს. კლუბთან ჩამოყალიბებულია რამდენიმე თვითმოქმედი წრე — ავიტ-მხატვრული, დრამატული, ჯიხა-კერვის. ჩამოყალიბების პროცესშია ინსტრუმენტული სპეციალისტების წრე და სხვ., მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ამ წრეების მუშაობა გაზაფხულზე და ზაფხულის ამ პერიოდში შენელებულია.

კლუბის ფოიეში გამოფენილია სამამულო ომში დაღუპულ აჭაურ მკვიდრთა სურათები. დიდი ადგილი უჭირავს სტენდს, რომელიც დამუშავებულია მოწინავე ადამიანების, კოლმეურნეობის საუკეთესო წევრების პორტრეტებით.

თვითონ კლუბი და მისი მორთულობა...

ჩვენი სახელმწიფო თეატრისათვის ვინატრებდი ისეთი მოცულობის დარბაზსა და ისეთ სავარძლებს, რომელთა რიცხვი შევიდასორმოცდაათს შეადგენს.

კარგია, ლამაზია, მიმზიდველია აქ ყველაფერი.

ალბათ იმიტომ იყო რომ...

გავიხსენოთ ამ წერილის პროლოგი. ხომ არ არის რაიმე მსგავსება იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და...

თუმცა ვინ იცის, იქნებ წერილის ავტორს არც ისე უცნობი პიროვნება ჰყავს დახატული...

რაც უნდა კარგად გაწვრთნილი ჯარი იყოს, კარგ სარდლობას მოკლებული გამარჯვებას ვერ მოიპოვებსო, ნათქვამია.

* * *

მძლოლი მანქანისა, რომლითაც მე მივედივარ, საკმაოდ ცნობისმოყვარე გამოდგა. დაინტერესდა ამ კოლმეურნეობაში ჩემი მისვლის მიზეზით. და როცა ვუთხარი, ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის საქმიანობას უნდა გავეცნო-მეთქი, მაშინ იკვით შემომხედა, გაზეთიდან ხომ არ ხართ, კორესპონდენტის დაწერა ხომ არ გსურთო. ჩვენს რაიონში ერთ-ერთი მოწინავეთაგანია, ხელმძღვანელობაც კარგი ჰყავს, წევრებიც საგანგებოდ შერჩეული გეგონებათ, ისეთი მშრომელებიაო.

— ვნახოთ, ვნახოთ. — გავუღიმე მე. — თუ ასეა...

— თუ კი არა, ნამდვილად ასეა ბატონო. იქაურობას მე ძალიან კარგად ვიცნობ. მეც ამ კუთხიდან ვარ, აჭაური.

და რამდენიმე წუთის შემდეგ კოლმეურნეობის კანტორის წინ შემოაბრუნა მანქანა და გააჩერა.

ცხელა, საშინლად ცხელა. მოწმენდილ ცაზე მოელვარე მზე კაშკაშებს. მუდამ ჩამოხურული მთა მტირალაც კი წვეროვებში შვლებულია. რაც იშვიათი მოვლენაა წლის ამ პერიოდში.

შევდივარ შენობაში. აქ საკმაოდ გრილა და კარგი სურნელები დევას, რომელიც ღია კარ-ფანჯრებიდან შემოდის.

ამჯერად გამიმართლა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ^{ეროვნული} ^{მეცნიერება} თამაზა მისი ცნობა ცოტა არ იყოს გამიჭირდა. მან კი დანახვისთანავე მიცნო და კაბინეტში მიმიწვია.

ჩვენი საუბარი, დიპლომატების ენით რომ ვთქვათ, გულითად მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. ჯერ ერთმანეთის ოჯახური მდგომარეობა მოვიკითხეთ. მასპინძელი შთამომავლობით ბედნიერი ყოფილა, ხუთი შვილის მამა, 1918 წელს დაბადებული ვაჟკაცი უკვე ბადიშის პატრონია, ბაბუაა, პაპაა. შეძლებული და კარგი ოჯახი აქვს. ბედს არ ვემდურით. მე კიდევ ჩემი ამბავი მოვუყევი და შემდეგ საერთო საკითხებს შევეხეთ.

როგორ სრულდება მიმდინარე წლის ვალდებულებები, გასულ წლებთან შედარებით ხომ არაფერში ჩამორჩება კოლმეურნეობა და სხვა ასეთი კითხვებით დავინტერესდი.

— არა. ჩამორჩენას ჩვეული არ ვართ. ჩემო კარგო. — მოკლე პასუხს იძლევა ჩემი მასპინძელი. ჩამორჩენა კი არა წელს კიდევ უფრო უნდა გავზარდოთ გეგმის შესრულების მაჩვენებლებით.

მართალია, უამინდობამ წელს ბევრ რამეში შეუშალა ხელი კოლმეურნეობას, მეტი და უფრო დაძაბული მუშაობა დარჩა საჭირო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, წელსაც გამარჯვებული გამოვა.

ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს მიეკუთვნება, იგი ორ სოფელს — კაპრეშუმსა და წინსვლას (ყოფ. ჩელტას) აერთიანებს. კოლმეურნეობის წევრთა შემადგენლობა ეროვნების მიხედვით ინტერნაციონალურია. ქართველებს გარდა არიან რუსები, ბერძნები, აფხაზები და სხვ., მაგრამ ამ ერთ დიდ კოლექტიურ ოჯახში გაერთიანებულნი მეგობრულად და ძმურად ცხოვრობენ.

აქაურ მშრომელთა შვილების აღზრდის საქმეს ორი არასრული და ერთი საშუალო სკოლა ემსახურება. საკმაოდ არის სავაჭრო ქსელიც გაშლილი. ასე რომ, ერთი უნივერსალი და შვიდი სავაჭრო მაღაზია ყოველდროს მზად არის მომხმარებელთა მისაღებად.

შემდეგ თავმჯდომარე ცნობილ მეჩაიე ქალებზე ლაპარაკობს. ბევრი ორდენოსანი ქალი ჰყავს კოლმეურნეობას, ხოლო ზუნუ კორძაის, ასიე ბერიძესა და ზერა შარაშიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება აქვთ მიკუთვნებული.

ბევრია, ძალიან ბევრი ხელმძღვანელი თუ რიგითი კოლმეურნე მოსახსენებელი და შესაქები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ მოწინავე ბრიგადირები გივი თედორაძე, ნური ჩამბა, ომარ ხალვაში, სულეიმან სარჯველაძე და სხვები.

კოლმეურნეობას კარგი აქვს გზა, განათება, წყალი, უზრუნველყოფილია სამკურნალო დაწესებულებებით, ორი საექიმო პუნქტი აქვს. თუმცა, როგორც ამბობენ, მკურნალი ექიმების ნაკლებობას განიცდიან. კოლმეურნეობას საკმაოდ აქვს საბარგო და მსუბუქი მანქანები, ტრაქტორები, სამუშაო იარაღები და დამხმარე ხელსაწყოები.

— გმადლობთ. ნება მომეცით გამოგეთხოვოთ. — ვეუბნები მე და ჩემს მასპინძელს ხელს ვუწვდი.

— ასე ჩქარა? მართალია, ძალზე ცხელა, მაგრამ გაგვევლო, დაგვეთვალიერებია ზოგი რამ. იქნებ მე ზოგ რამეში ვცოდავ სინამდვილეს. — ღიმილით მეუბნება თავმჯდომარე.

— თქვენს დაუსწრებლად მაქვს შემოწმებული ყველაფერი. — ღიმილითვე ვპასუხობ მე. — თითქმის რამდენიმეჯერ ვარ ნამყოფი თქვენს სოფელში.

— მაგრამ მე მაინც ვერ დაგიჯერებთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმა გენახათ.

— მესაქონლეობის?! განა მესაქონლეობასაც მისდევთ? ამ ჩაისა და ციტრუსების ბაღებსა და ხეივნებში, ამ ხეხილის ნარგავებში, ამ...

— დიახ, ამ ბაღებსა და ხეივნებში, ამ ბაღჩებსა და ნარგავებში... წამობრძანდით, დაათვალიერეთ ჩვენი ფერმაც.

და მეც თავმჯდომარის სურვილს ვემორჩილები.

მესაქონლეობის ფერმა მდინარის პირასაა, მოედანზე. აქ რამდენიმე შენობა აუგიათ. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს.

— აი, აქ გვემის მიხედვით ასორმოცი ძროხა უნდა გვყავდეს, ფაქტიურად კი ასსამოცდათხუთმეტი გვყავს. — მეუბნება თავმჯდომარე და ერთ განიერ შენობაში შევყავარ.

— თითოეული ძროხის წლიური წველადობა ორიათასხუთასი ლიტრიდან ოთხი ათას ლიტრამდე აღის. — იძლევა ჩემს შეკითხვაზე პასუხს ფერმის ერთ-ერთი მუშაკი.

მამაჩემს ერთი ძროხა ჰყავდა და მთელი ოჯახი გადაყოლილი იყო. ამდენ მეწველს...

— თერთმეტი კაცი ემსახურება მხოლოდ. — მაძლევენ პასუხს.

ადამიანებს გარდა ტექნიკაც ემსახურება ამ საქმეს.

— საკვები რუსეთიდან მოგვაქვს. სპეციალურად გვყავს მივლინებული კაცი და იგი გვაწოდებს. — გვეუბნება თავმჯდომარე.

გასაგებია. ყველაფერი გასაგებია, მაგრამ... არა, ვითომ ხომ არ აჯობებდა სადაც საკვებია იქ გაეშენებინათ ასეთი ფერმები? აქაურობა კი იმ კულტურებისათვის დაეთმოთ, რომლებიც სხვაგან არ ხარობენ?

ეს კითხვა მხოლოდ ჩემ თავს მივეცი და სხვისთვის არ გამიმხელია. მაგრამ როცა კარგად დაუფიქრდი...

პირუტყვი ხომ მარტო რძეს არ იძლევა. მართალია ამ გერმანულ-ბის მესაქონლეობის ფერმა წამგებიანია, ფულად შემოსავალს ვერავის შეახარბებს, მაგრამ შემოსავალში ჩაუწერელი სარგებლიანობა მაინც კარგი მოაქვს. თუნდაც ორგანული სასუქი.

ფერმაში, ყველგან შესანიშნავი წესრიგი და სისუფთავეა. ყველაფერში იგრძნობა დიდი მზრუნველის ხელი და ყურადღება.

კოლმეურნეობას მეღორეობის ფერმაც ჰქონია.

ფერმების ეზოში და ახლო-მახლო მარად მწვანე ხეები დაურგავთ და აქაურობა დაუმშვენებიათ.

— რას ემდურით, რა გაკლიათ, რა საქმეში მოითხოვთ მოშველებას და დახმარებას? — ვეკითხები ამ დიდი საერთო კოლექტიური ოჯახის მეთაურს გამოთხოვებისას.

— არაფერში. ჩვენ ვიკისრეთ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და წარმატებით შესრულება. და ამ პირობას გავანადღებთ, — მტკიცე პასუხს იძლევიან კოლექტივის ხელმძღვანელები.

* * *

ამ დღეებში მე აქ სულ სხვადასხვა დროს დავდიოდი, დილით, როცა მოსახლეობა სამუშაოდ გამოდიოდა, საკარმიდამო ნაკვეთში მუშაობდა, ქალები, კალათებით ხელში ჩაის ბუჩქებს რომ თავს დასტრიალებდნენ და ახალამოყრილ ქორფა ყლორტებს აცლიდნენ.

შუადღისას, როცა მესაქონლეობის ფერმის მუშაკებს პირუტყვი გარეთ გამოჰყავდათ და ბაგა-ბოსელს ასუფთავებდნენ, როცა ბოსელში საკვები შეჰქონდათ და ანაწილებდნენ.

სალამო ხანს, როცა კოლმეურნეობის კლუბის წინ შეკრებილი ახალგაზრდობა კინოსურათის სანახავად მიიჩქაროდა.

შევსწრებივარ იმ დავა-კამათსაც, რომელიც სასპორტო მოედანზე გაემართათ და ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებსა და მათ გულშემატიკვრებზე მსჯელობდნენ.

ამ ჩამოვლისას მე მასპინძლებს არ ვხვდებივარ, არც კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მინახავს, არც პარტორგანიზაციის მდივანი, არც რომელიმე ბრიგადის მეთაური. წარმოიდგინეთ რიგითი კოლმეურნეც არ შემიწუხებია, მაგრამ უფრო მეტი გავიგე და დავინახე, ვიდრე სხვა დროს.

მანქანა, რომლითაც მე მივდიოდი, სავსე იყო ამ კუთხის ადამიანებით, ისინი თავისუფლად საუბრობდნენ ურთიერთშორის, არავისი არ ერიდებოდათ.

— ეჰ, ძიავ, ამათ რა უშავს, არაფერი არ აკლიათ, ყველაფერი გე-
გებათ, მდებარეობაც კარგი აქვთ და...

— მთავარი ხელმძღვანელობა და ენერგიული შრომაა. ^{ენერგიული}
ნებს ხანში შესულ კაცს ახალგაზრდა, რომელმაც ის იყო ადგილი დაუთ-
მო უფროსს და თვითონ კედელს მიეყრდნო.

— ენერგიულადაც ვშრომობთ მაგრამ... — წამოიწყო მესამემ, რო-
მელსაც სურსათით სავსე კალათი იქვე კუთხეში მიედგა და ფანჯარაში იყ-
ურებოდა. ის საკმაოდ ხანდაზმული ჩანდა.

— მერე, საყვედურობ რამეზე თუ? — შემოხედა მას მეორე მოხუც-
მა. — იმ სიმაღლე სასახლე წამოჭიმე, იმდენი ბაღვები დაზარდე, იმდენი...

— ჰოდა, არ მეტყვი მერე, იმდენ ბაღვებში რამდენი მიდგას გვერ-
დით და მეხმარება? — ქუდი შეისწორა პირველმა.

— თუ გსურდა გვერდით გყოლოდა, არ გაუშვებდი სასწავლებლებ-
ში. — ახლა სხვა ჩაერია საუბარში.

— აბა უწიგნურს დავტოვებდი ბაღვს თუ, რას ჩივი ჰოვ?

— უწიგნურს არა. მაგრამ...

— უნივერსიტეტი და ინსტიტუტები რა საჭირო იყო?

ვილაცამ გაიცინა. ვილაცამ რაღაც ჩაიბუტბუტა. მე კი ენა ჩავიგდე და
სმენად ვიქეცი.

მეზავრმა, რომელსაც ასეთი კამათი გაუძარტეს, გაიღიმა და გადმოგ-
ვხედა:

— რაც მართალი მართალია, — თქვა მან. — მადა ჭამაში მოდიხო,
ნათქვამია. ჩემმა ვაჟმა საშუალო რომ დაამთავრა, ჩემთვის არც უკით-
ხავს ისე წავიდა თბილისში, ოქროს მედალოსანი ვარ, უნივერსიტეტში
უნდა მოვეწყობო და შეასრულა კიდეც. არც მეორე ჩამორჩა მას, ოქროს
მედალი არ მიუღია, ვერცხლის მისცეს, მაგრამ არც იგი დამიდგა სახლში.
ინჟინერი უნდა გაეხდეთ და... ერთი გოგოი მყავდა და იმის შენარჩუნება
კი მინდოდა, მაგრამ იგიც გამიშვა ხელიდან.

— იმანაც ისწავლა? — ხუმრობით შეეკითხა ერთი ჭაბუკი.

— ისწავლა, ისწავლა, საექიმოზეა, ორ წელიწადში დაამთავრებს, მა-
გრამ...

— მეტი რაღა გინდა ჩემო ძამია. — ვერ მოვითმინე მე. — შვილები
დაგიზრდია, ალბათ რომელიმე დაოჯახებულიც გეყოლება, ბაბუა იქნები...

— მართალი რომ გითხრათ, არაფერი არ მინდა, არაფერიც არ მაკ-
ლია, მაგრამ... — კვლავ ქუდი შეისწორა და გაიღიმა. — მე და ჩემი დე-
დაკაცი რომ მარტო ვართ იმხელა სახლში, ეს არაფერია? პატარა ხნის კი
არ ვართ.

— ჰო, მოხუცებულობის წამალი ძნელი საშოვარია. — ჩაილაპარაკა ერთმა მანდილოსანმა.

— სიბერე მჭირს, ჭირზე უფრო ძნელიო. შოთა რუსთაველი თქვამი. — წამოილაპარაკა ერთმა გოგონამ, რომელსაც იდლიაში ახალი წიგნები ამოედო.

გზადაგზა ჩვენი ავტობუსის მგზავრთა შემადგენლობა შეიცვალა, ნაწილი სალიბაურის მეურნეობასთან ჩამოვიდა, ნაწილი ზემო გადასახვევთან. ჩამოსულები ამოსულებმა შესცვალეს და საუბარმაც იცვალა სახე. ახლა უფრო ამინდის უცნაურობის შესახებ ლაპარაკობდნენ. ასეთი გაზაფხულისა და ზაფხულის მომსწრე არ ვარო, ამბობდა ერთი მოხუცი. არც ასეთი გვალვა მინახავს, არც ასეთი ქარიანი და წვიმიანი დღეებით.

მართალს ამბობდა მოხუცი. მართლაც ორი დღის წინანდელი ცხელი მზიანი დღეები ისე უეცრად შესცვალა ამ მოძალებულმა წვიმიანმა ამინდმა, რომ უსაწყიმროდ ქუჩაში გავლა შეუძლებელია.

— მიწისთვის ძალიან კარგია ძიავ, ასეთი წვიმები.

— მიწისთვის კია, მაგრამ მოსავლისთვის?

— მოსავალსაც არ აწყენს.

— რა მოსავალი უნდა იქნეს თუ თავის დროზე ვერ დავამუშავებთ ნათესებს?

ძნელია ადამიანის გულის მოგება. ერთს რომ მზიანი დღეები და მთვარიანი ღამეები მოსწონს და უყვარს, მეორე გრილსა და წვიმიან ამინდს არჩევს.

დღეს ძალზე ძლიერი წვიმაა. ჩვენი მანქანა აინუნშიაც არ აგდებს ამ უამინდობას, მისრიალებს მოასფალტებულ შარაზე და მიყავს ამდენი მგზავრი.

ჩვენ უკვე გავცდით კოლმეურნეობის კანტორას, მივყვებით ხევში შეჭრილ შარას და მივიწვევთ წინ.

დიდი ხანია არ გამოვილა აქეთკენ. ორთაბათუმის სოფლსაბჭოში შედიოდა მაშინ აქაური სოფლები. ახლა ჩაისუბანს უწოდებენ. ერთ დროს აქ ქვეითად ჭირდა გავლა, ორ-სამ წესიერ მოსახლესაც ვერ დაინახავდით, აბა სავაჭრო ქსელსა და სამკურნალო-საექიმო დაწესებულებებზე ლაპარაკიც ზომ არ შეიძლებოდა.

ჰო, ეს იყო დიდი ხნის წინათ, როცა ახალგაზრდა მებრძოლნი ამ ხევში შემოჭრილ ჩეთნიკებს ვებრძოდით.

ჩაისუბნის სოფლსაბჭო ორსართულიან შენობაშია მოთავსებული, იქვეა კოლმეურნეობის კლუბი, კანტორა და სამრეწველო საქონლის დიდი მაღაზია.

ჩემი თანამგზავრი, იუსუფ კობალაძე, რომელიც ამ კუთხის მცხოვრები ყოფილა, ბევრ საინტერესო ამბავს მიყვება. იგი რამდენიმე წლიწინათ ჩამოსახლებულა ქედის რაიონიდან, მშვენიერი ოდა-სახლში, ზალი-ბახჩა გაუშენებია, შვილები დაუზრდია.

მშობლიური მიწის სიყვარული მაინც იზიდავს მიწასთან შეზრდილ ადამიანს.

ჩაჭი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადი იქ არისო, არის ნათქვამი.

-- არ ვიციწყებ მშობლიურ კუთხეს. — მეუბნება იუსუფი. — ხშირად ავდივარ. ვნახულობ ჩემიანებს.

ჩვენი მანქანა ღრმა ხევში შეიჭრა, მდინარე ყოროლისწყალის ნაპირებს გაჰყვა და ერთ ადგილას გაჩერდა. ეს არის ბოლო სადგური. აქედან კარგად მოჩანს ხევს გაღმა-გამოღმა ფერდობებზე აგებული მაღალი, ორსართულიანი სახლები, მრავალნაირი ხეხილით დამშვენებული ეზოები, ჩაის პლანტაციები.

მანქანიდან გადმოდიან აქაური მგზავრები, კალათებითა და ჩანთებით სახლებისაკენ მიიჩქარიან, მათ ადგილს ახალმოსული მგზავრები იკავებენ და მობრუნებული მანქანა ბათუმისაკენ მოეშურება.

ამით მთავრდება ჩემი შემოქმედებითი მივლინების პირველი პერიოდი.

ადექსანდრა ჩავჭიშვილი

ალექსანდრა ყაზბეგის შემოქმედება და თანამედროვეობა

ყოველი ნიჭიერი მწერალი ადამიანთა სულის აღმზრდელია. წარსულ დროთა ლიტერატურის კლასიკოსები დღესაც დგანან ჩვენს შორის და ჭკუას გვასწავლიან, გვარიგებენ, მოგვიწოდებენ. ისინი მარად უკვდავნი არიან მით, რომ თანამედროვე ცხოვრების მღელვარე საკითხებს ეხმაურებიან.

ერთ-ერთი ასეთი მწერალია ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ალექსანდრე ყაზბეგი.

ალ. ყაზბეგის შემოქმედება და თანამედროვეობა ერთობ საინტერესო საკითხია. ამ საკითხზე პასუხმა ნათელი წარმოდგენა უნდა მოგვცეს, თუ რა არის მწერლის შემოქმედებაში ისეთი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა; რა არის ის წარუვალი ყაზბეგის შემოქმედე-

ბაში, რაც დღესაც გვაგრძნობინებს ესთეტიკურ სიამოვნებას?

ჩვენ გამოვყოფთ იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც გაშუქებულია ყაზბეგის შემოქმედებაში და ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობას.

ასეთი საწყისები მოიპოვება ყაზბეგის ბიოგრაფიაშიც და შემოქმედებაშიც.

ბიოგრაფიიდან მხოლოდ ორ ფაქტს დავასახელებთ.

ალ. ყაზბეგის ცხოვრება იძლევა იმის შთამაგონებელ მაგალითს, რომ პიროვნება ყოველთვის უნდა იბრძოდეს ცოდნის შეძენისათვის, არაფერს არ უნდა ზოგავდეს განათლების მისაღებად.

ამაზე მეტყველებს ყაზბეგის ბიოგრაფიის შემდეგი ფაქტი. ალ. ყაზბეგი დაიბადა 1848 წლის 8 იანვარს (ძველი სტილით). იგი სწა-

ვლობდა თბილისის კერძო პანსიონებში. ბოლოს თბილისის გიმნაზიაში მიაბარეს და აქ სწავლობდა 1863-1865 წლებში, შემდეგ კი მშობლებმა ერთადერთი შვილი შინ დაიტოვეს. ამაზე ალექსანდრე ზუღამ საყვედურობდა მშობლებს — „გვერდიდან არ მიშორებდით და თქვენი მიზეზით გიმნაზიაში სწავლა დავკარგეო“.

მამის გარდაცვალების შემდეგ კი სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვს გაემგზავრა და უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 1867 წელს. მოსკოვში ალექსანდრე დიდი მონდომებით მეცადინეობდა და ამ მხრივ მისი ბიოგრაფია თანაზღვროვს სტუდენტებისათვის შესანიშნავი მაგალითია. მოსკოვიდან ალექსანდრე დედას სწერდა: „გამუდმებულად ვსწავლობ. ასე რომ, დღეში ორი საათი მოცლა არა მაქვს, არც კვირაობით და არც ისე დღეობით... მე და ჩემმა ამხანაგებმა ასე გადაწყვიტეთ საქმე: რაკი ხარჯი მომდის, კიდევ გამოვიტანო რამე, რომ მოვიდე, მიუყრებდნენ როგორც ნასწავლს და საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცსა“. შესანიშნავად არის ნათქვამი. სტუდენტი სწორედ ასე უნდა მოეკიდოს თავის საქმეს, რათა გახდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცი. რასაკვირველია, ჩვენი სტუდენტების ძირითადი მასა ასე ეპყრობა თავის საქმიანობას, ღირსეულად ემზადება საქვეყნო საქმისათვის, მაგრამ ხომ არიან ისეთი

სტუდენტები, ახალგაზრდები, რომლებიც უსაქმოდ მიყუდებული არიან საფოსტო ბოძებზე და უარყოფითად ღლე მხესუმზირას აკნტუნებენ. ასეთ ზარმაცებს დღეს თავზე დასდგომია ალექსანდრე ყაზბეგი და მოუწოდებს საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ. ამ მოწოდებას უნდა გაგონება და პრაქტიკულად განხორციელება.

ამას გარდა ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიაში არის კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი: როგორც ცნობილია, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე შვიდი წლის განმავლობაში ცხვარს მწყემსავდა. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არისტოკრატები აღშფოთებას გამოთქვამდნენ: შეძლებულმა და მაღალი წოდების კაცმა ასე უბრალო და დამამცირებელ საქმეს მოჰკიდა ხელიო, ამით შთამომავლობა და გვარი შეარცხვინაო. თვითონ ყაზბეგი კი სხვანაირად ფიქრობდა. იგი ერთ თავის ამხანაგს სწერდა: გახსოვს, როგორ გაგიკვირდა შენ და დანარჩენს ჩვენს ამხანაგებს, რომ მე ნებიერად აღზრდილმა გებატონემ, კაცმა, რომელსაც შემეძლო მოსვენებითი ცხოვრება, შინაურ კერას ვარჩიე მოუხსენრად მინდორსა და მთაში ხეტება... მაშინ ბევრს არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცხოვრებისა, ბევრი მძრაზავდა ამისათვის და მიგონებდნენ ათას ცილისწამებას. ალექსანდრემ ბოროტმძრახველ ადამიანებს ყური არ უგდო

და მაინც განაგრძო მეცხვარეობა, რომ ხალხის ცხოვრება შეესწავლა: „მე მინდოდა, — წერს იგი ამხანაგს, — მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაკვირება, რომელიც თან სდევს მეუბა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ, მივაღწიე ჩემს მიზანს, დავუახლოვდი, გავიცანი ხალხი, ვისი გაცნობა და დაახლოება ისე გულთ მსურდა“.

ეს არის მწერლის ძვირფასი სიტყვები, რომლებსაც აქვს დიდი მნიშვნელობა თანამედროვე მწერლებისა და საერთოდ საზოგადო მოღვაწეებისათვის. ეს არის შემდეგი მორალი: დაფასე ხალხი, ახლოს მიდი მასთან, შეისწავლე ხალხის ცხოვრება, გაიგე მისი ჭიკი და ლხინი, კეთილსინდისიერად ემსახურე, გახსოვდეს, რომ ხალხი არის ისტორიის შემოქმედი, იგი მარადიულია, უკვდავია და მხოლოდ ხალხი შეგინახავს. ზოგიერთი ადამიანის ტრაგედია იქიდან წარმოსდგება, რომ ივიწყებს მშრომელ ხალხს და მის ინტერესებს. ალ. ყაზბეგის მთელი შემოქმედება ეს არის ხალხის უანგარო სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი და იგი დღესაც გვეხმარება. კიდევ ამაში მდგომარეობს მისი მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის.

როგორც ცნობილია, ზოგიერთი თანამედროვე ახალგაზრდა არ კადრულობს ხალხთან მისვლას, არ სურს წავიდეს სოფლად ექიმად,

ინჟინრად, აგრონომად თუ მასწავლებლად, თავი რომ დავანებოთ მწყემსად დადგომას. დღეს ქვეყნებში ბევრი ისეთი ახალგაზრდა ცხოვრობს, რომელსაც დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ სოფელში არ მიდის სამუშაოდ. ასეთ ახალგაზრდებს ახლაც შთააგონებს ალექსანდრე ყაზბეგი: ნუ თავილობთ ხალხთან მისვლას, გვერდში ამოუდებთ მას და მისგან ისწავლეთ, მასაც ასწავლეთ, დაეხმარეთ, მოიხადეთ თქვენი ვალი ხალხის, ქვეყნის, სამშობლოს წინაშე. რაც აქამდე ვთქვით, ეს იყო ყაზბეგის ბიოგრაფიის მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის. მთავარი მაინც მისი მხატვრული შემოქმედებაა. ამ თვალსაზრისით გამოვყოფთ ცალკეულ მომენტებს, რომლებიც დღესაც აქტუალურია ალ. ყაზბეგის ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისების საქმეში.

აქ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ დიდ რუს ხალხთან ქართული ხალხის ურთიერთობის საკითხი.

როგორც ცნობილია, რუსეთთან საქართველოს შეერთებას ზოგი განიხილავდა როგორც უმციურეს ბოროტებას, ზოგს იგი მიაჩნდა სიკეთენარევე ბოროტებად, ზოგი კი ამ შეერთებას უწოდებდა ბოროტებანარევე სიკეთეს. ამჟამად აღიარებულია, რომ ეს შეერთება იყო უდიდესი პროგრესული მოვლენა, რომელმაც გადაარჩინა ქართველი ხალხი ფიზიკურ მოს-

პობას და მისცა ეკონომიური და-
წინაურებისა და კულტურული
წინსვლის საშუალება. ისიც ცნო-
ბილია, რომ ამ სიკეთეს თან ახლ-
და ბოროტებაც: რუსეთის თვითმ-
პყრობელობა ცდილობდა მოესპო
ქართული ენა და სხვა ნაციონა-
ლური თავისებურებანი. მაშინდე-
ლი ყოველი პროგრესული მოღვა-
წე, იქნებოდა იგი ქართველი თუ
რუსი, ენერგიულად იბრძოდა შე-
ერთების პროგრესული მხარის გა-
ნმტკიცებისათვის, ხოლო უარყო-
ფით მხარეებს დაუწოდებლად ამ-
ხილებდა. ერთ-ერთი ასეთი მოღ-
ვაწე იყო ალექსანდრე ყაზბეგი.
მისი მოთხოვნა „ელგუჯა“ ამის
უკნობი ესთეტიკური ფაქტია.
აქ ავტორი იძლევა რუსეთთან სა-
ქართველოს შეერთების მომხრეთა
და მოწინააღმდეგეთა სახეებს.
ესენია სიმონ ჩოფიკაშვილი და
ალექსანდრე ბატონიშვილი. ალექ-
სანდრე ბატონიშვილს, ამ ტახტის
მაძიებელს, სურს გამოიყენოს
მთიელების 1804 წლის აჯანყება
და განდევნოს საქართველოდან
რუსები, გაწყვიტოს ის პროგრე-
სული კავშირი, რაც არსებობდა ამ
ორ ხალხს შორის. სიმონ ჩოფი-
კაშვილი კი მომხრეა ამ კავშირის
განმტკიცებისა, ოღონდ 1783
წლის გიორგიევსკის ტრაქტატის
საფუძველზე, რაც ითვალისწინე-
ბდა ქართველი ერის დაცვას გა-
რეშე მტრებისაგან, ხოლო შინა-
ურ საქმეში ჩაურევლობას. ალექ-
სანდრე ყაზბეგი, როგორც მწერა-
ლი, სიმონ ჩოფიკაშვილის მხარე-

ზეა და მიაჩნია იგი ისეთ იდეა-
ლურ სახედ, რომელსაც მაგარი-
თი უნდა მიეცა რუსების ყოველმხრი-
ვად როგორ მოპყრობოდნენ ქართველ-
ხალხს. ალექსანდრე ყაზბეგს სუ-
რდა მეგობრობის განმტკიცება
ქართველ და რუს ხალხებს შო-
რის, რაც გულისხმობდა მეფის
თვითმპყრობელობის, როგორც
ქართველი ისე რუსი ხალხების.
საერთო მტრის მოსპობას.

დღეს, როგორც ვიცით, კომუ-
ნისტური პარტიის ხელმძღვანე-
ლობით ასეთი ძეგრი კავშირი გა-
ნხორციელებულია და ალ. ყაზბე-
გი თავისი ჯანსაღი შემოქმედებით
ხელს უწყობს ამ კავშირის გაღრ-
მავებასა და განმტკიცებას. ამაში
მდგომარეობს ალექსანდრე ყაზ-
ბეგის შემოქმედების მნიშვნელო-
ბა დღევანდელი დღისათვის.

ამას გარდა ყურადღებას იპყ-
რობს კიდევ ერთი მომენტი. ეს
ის არის, რომ ყაზბეგის შემოქმე-
დება გვასწავლის, დაუწოდებელი
ვიყოთ სამშობლო ქვეყნის მოლა-
ლატეებისადმი. ქვეყნის მოლალა-
ტე არ უნდა დავინდოთ, თუ გინდ
იგი საკუთარი ღვიძლი შვილიც
იყოს. ამას შთაგვაგონებს ყაზბე-
გის შემოქმედების შედეგური „ხე-
ვისბერი გოჩა“.

როგორც ნაწარმოების შინაარ-
სიდან ვიცით, გოჩა არის ხევის
თემის ბელადი, რომელიც მტრის
შემოსევის დროს ხევის ლაშქარს
ხელმძღვანელობდა. გოჩა ბრძენი
ადამიანია და ერთმანეთისაგან ან-

სხვაეებს სამართლიან და უსამართლო ომებს. უსამართლო ომად მას მიაჩნია სხვა ქვეყნის დაპყრობა, სხვა ერის დამორჩილება და დამონება. იგი ასეთი უსამართლო ომის წამოწყებად მიიჩნევს ნუგზარ ერისთავს, რომელსაც სურს მოხვედრები დაიმონოს და მათ წაართვას ის ადგილი, სადაც „მამაპაპა გაჩენილა და დაბარბუ-ლა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლუ-ლი“. „ამას გედავებთან და არ და-ანებო“, ეუბნება გოჩა თავის შვილს ონისეს (ტ. 2, გვ. 295), ხოლო შეკრებილ თემს ასე მიმარ-თავს: „ხალხნო და ჯამათო!.. რაისთვის დაგიმალეთ, ბრძოლა გაცხარებული იქნების, ბევრის დედა ჩაიცივას შავსა, ბევრი მშო-ბელი გულში ველარ ჩაიკრავს თავის ნაშობს... იმად, რომ მტერი ძლიერია და ნუგზარი კი სისხლით გაუმადლარი. იცოდეთ, სახუმარო საქმე არაა. მაგრამ რამდენადაც ბრძოლა გაცხარდების, რამდენა-დაც საქმე გაჭირდების, იმდენა-დაც გამარჯვებას მეტი ფასი ექნე-ბის.... რაი ვუყოთ, რომ ერთხელ ათი მოვა?! ასიც რომ მოვიდეს, მაინც გამარჯვება ჩვენი იქნების. იმად რომ ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი ვართ... ჩვენ გვიცვივიან სახლში, ჩვენ გვიპი-რებენ აკლებას, ჩვენს დედაკა-კაცებს გაწბილებას და ამგვარი საქმის საწინააღმდეგოდ სიკვდი-ლი, ღვთის მადლმა, სანეტაროც არის“ (ტ. 2, გვ. 293).

აქედან აშკარად ჩანს, რომ ნუგ-ზარის მიერ წამოწყებული ომი უსამართლო ომად მიაჩნათათლო მოხვედრების ომი ~~გამარჯვებული~~ ომად, რადგან მას მიზნად აქვს თავისი მიწა-წყლის დაცვა. ხევი-სბერი გოჩა სამოქალაქო საქმე-ებსაც განაგებს და რელიგიურ-საეკლესიო საქმეებსაც ხელმძღ-ვანელობს. ასე რომ, იგი აერთიანებს სამხედრო, სამოქალაქო და საეკლესიო საქმეთა ხელმძღვანე-ლის ფუნქციებს. ასეთი ბელადის ღირსეულ მემკვიდრედ ჩანს პირ-ველად მისი შვილი ონისე, რომე-ლიც გოჩამ დამოძღვრა და მოწი-ნავე სანგარში გაგზავნა. მას ევა-ლებოდა „მტერზედ თვალი დაეკი-რა და მათი მოახლოება დროზედ შეეტყობინებინა“ (ტ. 2, გვ. 296). სწორედ ამ დავალებას უღალატა ონისემ, მას გზაზე შეხვდა ძიძია, მასთან ალერსში გაერთო და და-ავიწყდა თავისი მოვალეობა. მტე-რმა ისარგებლა ამ მომენტით და მოულოდნელად ღრმა ზურგში შემოიჭრა. მართალია, მოხვედრე-მა გაიმაჯვეს, მაგრამ დიდი მსხვე-რპლის ფასად. შემდეგ დაიწყეს მოღალატეების გასამართლება და ამათ რიგში ონისეც აღმოჩნდა. გოჩამ თავისი შვილი არ დაინდო: „გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვი-ლისაკენ და შესძახა — მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის. ამ სიტყვებთან ერთად იელ-ვა ხანჯალმა და ონისემ ზოწაზედ ფართხალი დაიწყო. მოხუცის მა-ხვილს შვილისათვის ვულ: ორად გაეპო“ (ტ. 2, გვ. 313).

არავითარი დანდობა ქვეყნის მოღალატეს — ამას გვასწავლის ალ. ყაზბეგი გოჩას მოქმედებით. მართალია, ონისეს შეგნებულად არ უღალატია ქვეყნისათვის, მაგრამ გოჩამ მაინც არ აპატიო; ონისემ ისეთი რამე დაივიწყა, რომლის დავიწყების უფლება მას არ ჰქონდა. ონისეს შეიძლებოდა დავიწყებოდა სახანდიროდ წასვლა, ამხანაგთან მისვლა და სხვა ამგვარი არაარსებითი საქმეები, მაგრამ ქვეყნის დაცვის დავიწყება არ შეიძლება, ასეთი გულმავიწყობა არავის არ ეპატიება. ამ შემთხვევაში ხალხი შედეგის მიხედვით მსჯელობს. შედეგი კი მეტად მძიმე იყო.

ალექსანდრე ყაზბეგმა მოთხრობაში ერთმანეთს შეაჯიდა ორი დიდი გრძნობა: სამშობლოს ერთგულება და მამაშვილური სიყვარული. გამარჯვებული გამოიყვანა პირველი, მაგრამ ეს ისე მოხდა, რომ არ დაუშვამლებია მეორე. შვილის სიკვდილის შემდეგ გოჩა გაგიჟდა და ამით ავტორმა გვაჩვენა, რომ დიდია მამაშვილური სიყვარულის გრძნობაც. ორივე დიდი გრძნობაა, მაგრამ როცა არჩევანი დადგება, ადამიანმა ყოველთვის უპირატესობა უნდა მისცეს სამშობლოს დაცვას.

ამ გრძნობითა და სულისკვეთებით ზრდის კომუნისტური პარტია ადამიანთა ზნეობას. ამ სულისკვეთებამ უდიდესი როლი შეასრულა ფაშიზმის დაზარცების

საქმეში. და ახლაც, თანამედროვე ადამიანის მებრძოლი სულისკვეთებით აღზრდაში დიდ როლს თამაშობს ალექსანდრე ყაზბეგის გმირული შემოქმედება. და იგი ამ ფუნქციას არასდროს არ დაკარგავს.

გვსურს კიდევ მივუთითოთ ორ გარემოებაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ადამიანის სულის აღზრდისათვის.

ეს არის სიყვარულის საკითხი. ალ. ყაზბეგი უმღერის ამაღლებულ სიყვარულს, რომელიც დაკავშირებულია საქვეყნო საქმესთან.

ჩვენი კლასიკოსები მუდამ ასეთ სიყვარულს წამოსწევდნენ ხოლმე წინ და ხატავდნენ ამ მხრივ მისაბამ სახე-ტიპებს. „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანი ავალებს ტარიელს შეებრძოლოს ქვეყნის მტრებს — ხატაელებს და ამით ურთიერთ სიყვარული კიდევ უფრო განამტკიცოს.

აკაკი წერეთლის ნათელამ თეთრი ჩოხა გადმოუშვა მოდინახეს ციხიდან და ვისაც იგი ჩოხა მოერგებოდა, მას უნდა მოეკლა ქვეყნის ასოცი მტერი, მათი თავები კი უნდა მოეტანა სასახლის კარზე.

ამ გმირული, ამაღლებული სიყვარულის ჯანსაღ ტრადიციას მიჰყვება ალექსანდრე ყაზბეგი. ამის შთამაგონებელი ნიმუშია ლევან კრეჭიაშვილის სახე მოთხრობაში „ელეონორა“.

ელეონორა ხელთუბნელმა თავის მოტრფიალეებს პირობა დაუდო: ვინც ასლანგირეის მოკლავდა,

მისი ცოლი შეიქნებოდა. ელეონორა უყვარდა ლევან კრეჭიაშვილსაც, მაგრამ შეუხედავი კაცი იყო და ამიტომ თავი მორიდებულად ეჭირა. ასლანგირეიმ ელეონორას ზოტრფიალედ ჰაბუტებოდა, თაბრძოლაში გამოიწვია და თორმეტი რაყიფი მოკლა. მეცამეტედ ლევან კრეჭიაშვილი გადახტა.

— შენ რაღა გინდა? — ჰკითხა ასლანგირეიმ.

— მოძმეთა სისხლის აღება — უპასუხა კრეჭიაშვილმა.

— თუ ელეონორას თავის დასაკუთრება?

— ერთიცა და მეორეც — სიბრაზით წარმოსთქვა კრეჭიაშვილმა.

— მოძმეთა სისხლის აღება გეპატიება, ელეონორას კი არ დაგანებებო და გაიმართა. გაუგონარი ბრძოლა, რის შედეგად ასლანგირეი მოკლა კრეჭიაშვილმა.

აქ ყურადღებას იპყრობს კრეჭიაშვილის გმირული ქცევა. რომელიმე ჩვეულებრივი შეყვარებული ასლანგირეის უპასუხებდა, რომ იგი ელეონორასათვის გადამოხტა, მაგრამ კრეჭიაშვილი ანას არ ამბობს, რადგან იგი, პირველ ყოვლისა, მოძმეებს გამოესარჩლა. ეს არის ლევანის გმირული ქცევა და ანით ყაზბეგი ჩააგონებს ყოველი დროის ადამიანს, რომ უპირატესობა მიეცემა მოძმეთა საქმეს, თავი გასწირვ არა მხოლოდ პირადი,

არამედ საზოგადო საქმისათვის, ამხანაგისა და მეგობრისათვის. ეს დიდი კეთილშეგონებების გრძნობაა, რომლის დასაფუძვლებად იბრძვის ალ. ყაზბეგი თავისი გაუხუნარი პოეტური სიტყვით.

მოძმისა და მეგობრისათვის თავდადების იდეით არის შთაგონებული ალ. ყაზბეგის „მამის მკვლეელი“. ამ რომანში სანიმუშოა კობასა და იაგოს მეგობრობა. იაგო თვითმპყრობელობის მიერ დაჩაგრული პიროვნებაა. იგი უსამართლობის მსხვერპლია და სწორედ ამის გამო ესარჩლება მას კობა, მისი მეგობარი და ძმადნაფიცო. იაგოს გულისათვის მან ბევრი საგმირო საქმე გააკეთა, მათ შორის მთავარია იაგოს განთავისუფლება არშის ციხიდან, ნუნუს მოძებნა და იაგოსთან მიყვანა. და რაც მთავარია, მან მოკლა დიამბეგი და სასიკვდილოდ დასჯრა გირგოლა, რომელიც შემდეგ უზიარებლად მოკვდა.

— მე ვარ კობა, ორივე მე განაცვალებთ იაგოს. — დაიძახა კობამ და ამ სიტყვებით ის გაქრა როგორც მოჩვენება (ტ. 1, გვ. 369).

კობას სახე კიდევ იმით არის საინტერესო, რომ იგი ცოცხალი რჩება ნაწარმოებში. მან ტყეს შეაფარა თავი და გაუჩინარდა. ამის გამო მკითხველებს კობა წარმოუდგებათ, როგორც სახალხო მუროსმადიებელი, როგორც ხალხის

მტრების რისხვა. ამიტომაც, შემ-
თხვევითი არ იყო, წერს ი. გრი-
შაშვილი, რომ ახალგაზრდა სემი-
ნარიელს სოსო ჯულაშვილს „მე-
ფის აგენტებმა გაჩხრეკის დროს.
მარქსის, ჰეგელის და ჩერნიშევს-
კის წიგნებთან ერთად ალ. ყაზბე-

გის მოთხრობების წიგნიც უბრ-
ვეს. ამ მოთხრობების პერსონაჟი-
ბიდან ახალგაზრდა ჯულაშვილს
ყველაზე უფრო კობას სახე იზი-
დავდა, რაც იქიდან ჩანს, რომ სა-
ხელი კობა მან თავის ფსევდონი-
მად აირჩია“.

ადექსანდრა სამსონიძე

ერთი წერილის გამო

თეატრისა და მაყურებლის პრობლემაზე დღეს ბევრს წერენ. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი პ. ჯორბენაძის წერილიც „ეპოქა, თეატრი, მაყურებელი“, რომელიც ჟურნალ „ჭოროხის“ მე-5 ნომერში დაიბეჭდა.

ჩვენი აზრით, მთელ რიგ საინტერესო მოსაზრებებთან ერთად, წერილში ბევრი მცდარი, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებაცაა გამოთქმული.

მოკლედ ზოგიერთ მათგანზე.

ავტორს მიზნად დაუსახავს ყუარადლება გაამახვილოს „არა იმდენად თეატრის ბილწევებზე, რაზეც ბევრი ითქვა და დაიწერა, არამედ იმ ცალკეულ საჭირბოროტო, თეატრისათვის მტკივნეულ საკითხებზე, რომელთა გამოსწორებას ახალი სეზონისათვის უკვე შეუძლება თეატრი, და აგრეთვე მაყურებე-

ლთა პრეტენზიებზე თეატრის მიმართ და, პირიქით, **თეატრის პრეტენზიებზე** მაყურებელთა მიმართ“ (ხაზგასნა აქ და შემდეგაც ჩვენია. ა. ს.).

ჩვენი აზრით, უმჯობესი იყო თეატრის პრეტენზიებზე უშუალოდ თეატრის ხელმძღვანელობას ელაპარაკა, თორემ წერილის ავტორს ისედაც ბევრ საკითხზე უხდება ყურადღების გამახვილება, კერძოდ, ისეთ პრობლემებზეც, როგორიცაა თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ურთიერთდამოკიდებულება.

პ. ჯორბენაძე წერს: „რა თქმა უნდა, ხელოვნების ისეთმა პოპულარულმა დარგებმა, როგორიცაა კინემატოგრაფია, ტელედაგმები და ტელეფილმები, თეატრს წაართვა მაყურებელთა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ კინო და

ტელევიზია მექანიკური სამომხმარებლო საშუალებაა, ხოლო თეატრს აქვს ადამიანთან — მსახიობთან განუყოფელი სინქრონული კონტაქტი“.

თავი რომ დავანებოთ „მექანიკურ სამომხმარებლო საშუალებას“, როდის გამოეყო კინემატოგრაფიას ხელოვნების ცალკე დარგად ტელეფილმები ან როდის გახდა ტელედაღმეები ასევე ხელოვნების ცალკე დარგი?

რასაკვირველია, „თეატრს, კინემატოგრაფს და ტელევიზიას შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა და ურთიერთშევეცება“, მაგრამ მთლად იმნაირად არა, როგორც ამას წერილის ავტორი გვთავაზობს: „...თეატრი აწვდის კინემატოგრაფსა და ტელევიზიას რეჟისორებს, მსახიობებს, მხატვრული განსახიერების ამა თუ იმ საშუალებას, კინემატოგრაფი და ტელევიზია თავის მხრივ თეატრს უზადებს მაღალესთეტიკურ მომთხოვნ მაყურებელს“.

„...მსოფლიოს ყველა თეატრში, — წერს პ. ჯორბენაძე, — აშკარად მიმდინარეობს ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ძიება და მათი დამკვიდრება სცენაზე. რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მას ბოლო წლებში გარკვეული წარმატება აქვს...“

ძნელია იმის თქმა, რა ხდება დღეს მსოფლიოს ყველა თეატრში,

მაგრამ ჩვენ აშკარად სხვა ტიპის სტურ უხერხულობაზე ვსაუბრობთ. მკითხველის ყურადღებამდე — მსოფლიო თეატრებიდან პირდაპირ ბათუმის თეატრზე უაზრად-

ცოდ არ უნდა გადავსულიყავით.

რასაკვირველია, წერილის ავტორის არავინ წაართმევს უფლებას პოლემიკა გაუმართოს ამა თუ იმ რეცენზენტს, ეკამათოს მას (თუნდაც გვარის დაუსახელებლად), მაგრამ ისეთი აკრძალული ილეთები არ უნდა ვიხმაროთ, შემდეგ რომ უხერხულობაში ჩავვაგდოს. თუნდაც შეიძლებოდა თავი შეგვეკავებინა ასეთი სიტყვებისაგან: „კინემატოგრაფის, ტელევიზიის, თეატრალური დადგმების, პროფესიული სტატიებისა და რეცენზიების წყალობით ძალზე მომრავლდნენ „ყოველის მცოდნე“ თეატრალები, ე. წ. „ვისტუპლენცები“, რომლებიც გამოსვლებსა თუ სტატიებში ცდილობენ გვიჩვენონ თავიანთი ერუდიცია, გვაგონდნობინონ, რომ ყველაფერი იცინა“...

არა, „ვისტუპლენცების“ დაცვას ჩვენ ახლა არ შევუდგებით, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ავტორის ლოგიკის მიხედვით, დანაშაული მიუძღვით კინემატოგრაფს, ტელევიზიას, თეატრალურ დადგმებს, პროფესიულ სტატიებსა და რეცენზიებს, რომელთა წყალობით მომრავლდებულან „ვისტუპლენცები“. თურმე საკმარისია პროფესიული სტატიებისა და რეცენ-

ზიების ნაცვლად არაპროფესიული, დილეტანტური, უნიჭო სტატიები და რეცენზიები დაიბეჭდოს და „ვისტუპლენეცი“ უმაღლესე გაქრება.

როდესაც ბათუმის თეატრის სცენაზე განხორციელებულ ლ. თაბუკაშვილის „ჭრილობას“ განიხილავს, პ. ჯორბენაძე წერს: „...საერთოდ, ახალგაზრდობას საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვს თანამედროვე დრამის განვითარებაში. თუნდაც გავიხსენოთ, როგორ ჩაუყარა საფუძველი მთელს მიმართულებას 50-იანი წლების ინგლისურ ლიტერატურაში დამწყებმა დრამატურგმა ოსბორნმა. ასევე გარკვეულ კვალს ავლენენ ახალგაზრდული თეატრები ევროპის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ჩვენშიც“.

ამ მიკერებულ „ჩვენშიც“ რომ თავი დაეანებოთ, არაფერი ვთქვათ უხერხულ პარალელზეც, საკითხავია: სად, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში არ შეაქვს ახალგაზრდობას „საკმაოდ დიდი წვლილი თანამედროვე დრამის განვითარებაში“? თქვენ წარმოიდგინეთ, კომედიის განვითარებაშიც შეაქვს.

„ჭრილობასთან“ დაკავშირებით ერთ მოზრდილ ციტატას კიდევ მოვიყვანთ: „გულწრფელად, ახალგაზრდული უშუალობითა და გატაცებითაა დაწერილი ლ. თაბუკაშვილის პიესა „ჭრილობა“. მაგრამ ახალბედა დრამატურგი გა-

მოდევნებია იაფფასიან ეფექტურად უცდია გარკვეულიყო ისეთი თხში, როგორცაა მკვლელის მიზეზი და მკვლელის ფსიქოლოგია, რისთვისაც, სამწუხაროდ, თავი ვერ გაურთმევია. ამიტომაც სპექტაკლში საკმაოდ ბევრი მონაგონილი, ფსიქოლოგიურად შეუზადებელი ადგილია. ავიღოთ თუნდაც მკვლელობის ეპიზოდი: რომანტიკულად კი ყლერს, მაგრამ დაუჯერებელია, რომ დასასმარებლად გაწვდილი ხელის გამო მკვლელს შეეძლო სასიკვდილო დარტყმა ეგემებია ჭაბუკისათვის. რომელიც ცდილობდა ფათერაქს აეცდინა იგი, და ეს ხდება მაშინ. როცა კონფლიქტი თითქმის ჩამქრალია. მხატვრულობის ცნებას სცილდება თვით მკვლელის, ასევე რეჟისორ-კომენტატორის ცდა ბოროტმოქმედება გადააბრალონ მთელ საზოგადოებას, მკვლელი კი მის უდანაშაულო მსხვერპლად გამოიყვანონ. ამიტომაც მკვლელის საკმაოდ გრძელი, მხატვრულად დაუჯერებელი, ყალბი პათეტიკური მონოლოგი საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს მაყურებლებში, იქ, სადაც ტრაგიკული, დაძაბული მომენტი უნდა იქმნებოდეს, დარბაზში სიცილი გაისმის — მაყურებელს არ სჯერა. ეს კი ყველაზე საშინელი რამ არის, როგორც დრამატურგის, რეჟისორის, ისე მსახიობისათვის“.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. თუ კი პიესას, წერილის ავტორის მტკი-

ცებით, ამდენი ხარვეზი აქვს, განა შეიძლება იგი „გულწრფელად, ახალგაზრდული უშუალობითა და გატაცებით“ დაწერილი იყოს და „მეტად საგულისხმო მოვლენად“ მივიჩნიოთ? ან როგორ უნდა გავიგოთ ყოველივე ამის შემდეგ ასეთი დასკვნა: „...ახალგაზრდებმა იგრძნეს, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი მხრებით აიტანონ (სად აიტანონ? ა. ს.) მაღალიდებული და მაღალმხატვრული სპექტაკლი, თუ ამის საშუალებას მისცემს კარგად დაწერილი პიესა“.

პ. ჯორბენაძე სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ „...სპექტაკლის ლიტერატურული ნაწილი, ე. ი. დრამატიული ტექსტი სპექტაკლის ძარღვს წარმოადგენს, განაპირობებს მის აკვარგინობას. მაყურებელზე ზემოქმედება თვით ტექსტში უნდა იყოს ჩაქსოვილი. თეატრში ყველაფერი დრამატურგიით იწყება. ამიტომაც ამ ხელოვნებას დრამატიულ ხელოვნებას უწოდებენ“.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ აი, რა წერია იქვე, მომდევნო აბზაცში: „რაც შეეხება ა. გეწაძის პიესას „გზა, ყარამანს ცოლი მოჰყავს!“ უფრო გასართობი კომედიია, ვიდრე პიესა, სადაც დასმული იქნებოდა სოციალური ჟღერადობის სერიოზული თემა. მაგრამ მხიარული მიუზიკლის ფორმით გადაწყვეტილი ეს სპექტაკლი... კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაყურებელმაც გულთბილად მიიღო იგი...“

არა, ყველაფერი, რასაკვირვე-

ლია, რიგზე ვერაა ამ ციტატის მაგრამ თქვენ აწი ნახეთ რა მოხდება. იქვე, ორიოდ სტრუქტურულ შემდეგ პ. ჯორბენაძე აცხადებს: „...მაგრამ ასეთი სპექტაკლით მაყურებელთა ესთეტიკურ დონეს ვერ ავამაღლებთ“... და კიდევ სხვა ადგილას: „თეატრი მხოლოდ გასართობი ადგილი კი არ არის, როგორცაა სხვა მასობრივი სანახაობანი — ცირკი, ფეხბურთი და სხვა“.

განა შეიძლება იმის შემდეგ, როდესაც იტყვი: „სპექტაკლი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაყურებელმა გულთბილად მიიღო იგი“, ესეც დაუმატო: „მაგრამ ასეთი სპექტაკლით მაყურებელთა ესთეტიკურ დონეს ვერ ავამაღლებთ“.

შეიძლება შემოგვედაონ, ის, ვინც ეს სპექტაკლი გულთბილად მიიღო, ავტორის სიტყვები რომ ვიხზართ, „დაბალი ესთეტიკური დონის მაყურებელია“ და მას ანგარიში კი არ უნდა გავუწიოთ, არამედ გავაკრიტიკოთ. მაგრამ რა ვუყოთ წინადადებას — „სპექტაკლი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს“ — ის ხომ მაყურებლის პოზიცია არაა, ავტორისეული დასკვნაა. ესე იგი, კარგი შთაბეჭდილება შეიძლება ცუდი შთაბეჭდილებაც იყოს?

იქნებ არც ღირდეს იმაზე ლაპარაკი, რომ სპექტაკლი „ნატურის თვალი“ ბათუმის თეატრში არ დადგმულა (ალბათ, ლაპარაკია „თვალი პატიოსანზე“), მაგრამ უშენიშვნოდ ვერ დავტოვებთ

ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თეატრი „მაყურებელს განმუხტავს ემოციური სტრესისაგან“. როგორც უცხო სიტყვათა ლექსიკონი განმარტავს, ინგლისური სიტყვა სტრესი ქართულად ძაბვას, დაძაბვას ნიშნავს და არის „ცხოველური ორგანიზმის სპეციფიკური ფიზიოლოგიური რეაქცია („დაძაბვა“), რომელიც წარმოიშობება სხვადასხვა არახელსაყრელი ფაქტორის (სიცივის, შიმშილის, ტრავმის და მისთ.) საპასუხოდ“. ჩვენ გვჯერა, კონტექსტში ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ემოციურ დაძაბვას გულისხმობს, მაგრამ მაშინ საკითხავია, თეატრმა ემოციური დაძაბვისაგან მაყურებელი უნდა განმუხტოს თუ პირიქით, დამუხტოს?

როგორც პ. ჯორბენაძე გვაუწყებს, „...თვით თეატრის ხელმძღვანელობა იძულებულია აღიაროს, რომ თეატრის რეპერტუარი გავსებულია გარეშე თუ ადგილობრივი დრამატურგების იდეურად და მხატვრულად არასრულყოფილი პიესებით“. „გარეშე“ ავტორებს, ალბათ, გარეშე დამცველი გამოუჩნდება, ხოლო რაც შეეხება „ადგილობრივ“ დრამატურგებს, მათი მისამართით სიტყვა „გავსებულია“ და ძრავლობითი რიცხვი არ გამოდგება, რადგან წინასწარ გამოცხადებული „წმენდის“ შედეგად ამაჟამად ბათუმის თეატრის რეპერტუარში ფაქტიურად ერთადერთი ადგილობრივი ავტორის პიესაა (რასაკვირველია, არასრულყოფილი! იდეურად და

მხატვრულად სრულყოფილ პიესებს, როგორც დავინახეთ, ადგილობრივი კი არა, გარეშე ავტორებიც ვეღარ წერენ). ეს ცნობები, თორემ **განა შეიძლება დრამატურგების დაყოფა გარეშე და ადგილობრივ ავტორებად?** ჩვენი აზრით, არიან მხოლოდ კარგი და ცუდი დრამატურგები, ისევე როგორც არიან კარგი და ცუდი რეჟისორები, კარგი და ცუდი რეცენზენტებიც.

სამართლიანია წერილის ავტორის გულისწყრომა ზოგიერთი უპასუხისმგებლო, უნიჭო მსახიობის მიმართ, მაგრამ უსამართლოდ გვეჩვენება ბრალდება თეატრალური ინსტიტუტისადმი, რომელიც, თურმე, „იძულებულია“ გასცეს დიპლომები. აქვე ასეთ მსჯელობასაც მოისმენთ: „...თეატრალური ინსტიტუტის დამთავრება, ამ ინსტიტუტის დიპლომი თავისთავად ბევრს არაფერს ამბობს... ჩვენ ხომ საქმე გვაქვს შეზოქმედებასთან, ქმნადობასთან, ახლის შექმნასთან, რასაც ვერავითარი ინსტიტუტი ვერ დაასწავლის ადამიანს“. ავტორი უფრო შორს მიდის და ასეთ „გაბედულ“ კითხვასაც სვამს: „**საჭიროა კი საერთოდ თეატრალური ინსტიტუტი?**“ და მის სანაცვლოდ თეატრებთან სტუდიების შექმნას გვთავაზობს.

დასასრულ კიდევ ერთი ციტატა.

„...ხშირად ლაპარაკობენ პოლონეთში ინტენსიური თეატრალური ცხოვრების შესახებ, სადაც მაყურებლის პრობლემა თითქმის

არც კი დგას. საქმე იმაშია, რომიგი, ჩვეულებრივი დრამატურგიის, სწავლება? პოლონურ თეატრს მაყურებელი ბავშვობიდანვე ეზრდება... სკოლებში შემოღებულია თეატრალური დრამატურგიის სავალდებულო სწავლება“.

ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვედევნებთ სტატიის ავტორის კომპენტენტურობას პოლონური თეატრის შეფასებაში, მაგრამ რა საჭირო იყო აქ მაინცადამაინც პოლონეთის დამოწმება? განა რომელ თეატრს არ ეზრდება ბავშვობიდან მაყურებელი, განა რომელ სკოლაში არაა შემოღებული „თეატრალური დრამატურგიის“, ესე

ზემოთ აღნიშნული შენიშვნების მიუხედავად, როგორც უკვე ვთქვით, პ. ჭორბენაძის წერილში „ეპოქა, თეატრი, მაყურებელი“ ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული და ამიტომ უმართებულო იქნებოდა ავტორისეული სიტყვების განმეორება „ყოვლის მცოდნე“ თეატრალების, ე. წ. „ვისტუპლენცების“ მისამართით, „ვისტუპლენცებისა“, რომლებიც გამოსვლებში თუ სტატიებში ცდილობენ გვიჩვენონ თავიანთი ერუდიცია, გვაგმნობინონ, რომ ყველაფერი იციან...

რ ე ლ ა მ ც ი ი ს ა პ ა ნ

რამდენად ობიექტური და მართებულია აღ. სამსონიას შენიშვნები, მკითხველმა განსაჯოს. ჟურნალში ახალი განყოფილება „პოლემიკა“ იმიტომ შემოვიღეთ, რომ სადავო საკითხებზე თავისუფლად გამოითქვას აზრი და მკითხველი უფრო დავაინტერესოთ ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალური პრობლემებით.

ქართული თეატრის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის ავ-კარგზე, შემოქმედებით გზებზე პ. ჭორბენაძის წერილში დაწყებულ სჯა-ბაას ვაგრძელებთ. იმედი გვაქვს, რომ თეატრის მოღვაწეები, მწერლები, მაყურებლები არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე წამოაყენებენ პოზიტიურ მოსაზრებებს და თეატრს ხელს შეუწყობენ მის წინაშე დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში.



იოსებ ბაქიჩიშვილი

სხალთის ტაძარი — ჩვენი სიამაყე

სხალთა არაერთმა მოგზაურმა, ისტორიკოსმა და არქიტექტორმა ნახა. მას გაეცნო ქრისტიანული ძეგლების ცნობილი მკვლევარი, ისტორიკოსი პრასკოვია უვაროვაც და საინტერესო ცნობები შემოგვინახა. მნიშვნელოვანია აგრეთვე გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაძის, ც. გაბაშვილის, რ. მეფისაშვილისა და სხვათა ცნობები.

1874 წელს გ. ყაზბეგს აქ ორი ვალავანი უნახავს.¹ 1888 წელს პ. უვაროვას კი — ერთი. ვალავანის კონტრფორმები ისეთივე ტიპის ყოფილა, როგორც კალდახვარას ეკლესიისა (აფხაზეთი).² ტაძრიდან მდინარეში ქვის კიბე

ჩადიოდა, რომლის კვალი დღესაც შეიმჩნევა.

უვაროვას უნახავს წაგრძელებული ფორმის დიდი შენობის ნანგრევები, მათ შორის ბრტყელი, თლილი ფილები, კარ-ფანჯრების ლილვები, ნიშები და სხვა არქიტექტურული დეტალები, რომელთა დახვეწილობაზე იგი საგანგებოდ მიუთითებდა. ამ დანგრეული ნაგებობის გარდა სხალთაში სხვა მოშლილი შენობებიც ყოფილა. ერთ-ერთი ოთხკუთხა შენობის შუაგულში ისტორიკოსს რამდენიმე ქვევრი უნახავს. ალბათ, ამიტომაც მას იგი სარდაფად მიუჩნევია.³

უვაროვა სპეციალურად ჩერდება მთავარი ტაძრის დასავლე-

1 გ. ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960 წ. გვ. 93.

2 Материалы по археологии Кавказа, М., 1894 г. Вып. 4, стр. 41.

3 იქვე, გვ. 41.

თის კარიბჭესთან მიშენებულ ნაგებობაზეც, რომლის მხოლოდ ფუნდამენტი დახვედრია. მას მკვლევარი აკლამად მიიჩნევდა, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ ამ ნაგებობას სხვა დანიშნულების ოთახიც უნდა ჰქონოდაო.⁴ ეს დასკვნა იქიდან გამოაქვს, რომ ნაგებობის შუაში კედელი აღემაართათ, რომელიც ორ ნაწილად ჰყოფდა მას, ხოლო კარები აქედან პირდაპირ აკლამაში გადიოდა. შესაძლოა, შენობის ამ ნაწილში სამრეკლო იყო და მოსახლეობას რომ იგი თავშეყრისათვის არ გამოეყენებინა, თურქებმა დაანგრეს.

საყურადღებოა გ. ყაზბეგის ცნობაც. „გალავანს გარეთ ძველ შენობათა ნანგრევები ჩანს. ერთი ასეთი ნანგრევი ორსართულიანია. დაბლა, მიწისქვეშა სართულში შემონახულია მიწაში ჩაფლული ოთხი დიდი ქვევრი. ადვილი მისახვედრია, რომ აქ მარანი ყოფილა“, წერს იგი.⁵ არქიტექტორი ც. გაბაშვილი კი მიუთითებს: „მონასტრის ნაგებობათა შორის შედარებით კარგადაა შემონახული დიდი დარბაზული ეკლესია“, რომელიც მშვენივრად თლილი ნაცრისფერი ანდეზიტითაა მოპირკეთებული⁶ (ხაზი ჩვენია. — ი. ბ.). ცხადი ხდება, რომ სხალთა ნა-

გებობათა კომპლექსს წარმოადგენდა და დიდი საკულტო, თან გამაგრებული სამხედრო ნიშნულების ცენტრი იყო, რომლისაგან ჩვენამდე მხოლოდ მთავარმა ტაძარმა მოაღწია.

მას უფაროვა არასრული ბაზილიკის (წაგრძელებული, სწორკუთხა ნაგებობა, რომელიც სამ ნაწილად იყოფა) ტიპს აკუთვნებს. შენობას ორფერდა კრამიტის სახურავი ჰქონდა, აღმოსავლეთით შეიდწახნაგოვანი საკურთხეველი წამოზიდულიყო. ტაძრის სიგრძე 24,5, ხოლო განი 14 არშინია, ვკითხულობთ პ. უეაროვას ნაშრომში. მას გარედან, სახურავს ქვევით პროფილირებული კარნიზი უვლიდა. კარიბჭე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან გაეკეთებინათ. მეცნიერს მხედველობიდან არ გამორჩენია მათი მდიდრული არქიტექტურული გაფორმება, მშვენიერი მოჩუქურთმება, ფართო თალისებური ფორმა და პილასტრების სიდაბლე. სამხრეთის კარიბჭეს, რომელიც დღემდე შემოინახა, იგი ლიხნის (აფხაზეთი) ეკლესიისას ამსგავსებს. ტაძარს საჭირო რაოდენობის სარკმელები და სინათლის შემოსასვლელი სპეციალური ნახვრეტები აქვს, მათ შორის ერთი ისრისებური, ანუ მავრიული ტიპისა.

ტაძარი შიგნიდან ჩვენს წინაპრებს ნაცრისფერი და რუხი თლილი ქვის ფილებით მოუპირკეთე-

4 იქვე, გვ. 44

5 გ. ყაზბეგი აქარის შესახებ, ბათუმი, 1960 წ. 93-94.

6 ც. გაბაშვილი, პორტალები ქართულ არქიტექტურაში, თბილისი, 1955 წ. გვ. 33.

ბიათ. როგორც თალი, ისე კედლები, კარები, სარკმელები და მათ შუა სივრცეები თვალის მომპრე-ლი ფერებითა და ჩუქურთმებით დაემშვენებინათ. სხვათა შორის, მეცნიერს ტაძრის ბათქაშის ქვეშ ბევრ ადგილას აღმოუჩენია პირ-ველი მოხატულობის კვალი ამოკ-ვეთილი ქვაზე, რაც მეტად საყუ-რადლებოა. კამარა სამი ნაწილისა-გან შედგება, ამბობს პ. უვაროვა. კედლები სამშვერილიანი პილას-ტრებითაა დამშვენებული, რომ-ლებსაც ფართო და ღრმა ნიშები აქვთ. პილასტრები კედლებიდან საგრძნობლად გამოწეულია და ისინი კამარის საბჯენ თალებს იკა-ვებენ. იატაკი მას არ დახვედრია.

პ. უვაროვა ბევრი დიდებული ქრისტიანული ტაძრის მნახველი და აღმწერია. სხალთას იგი თით-ქოს აღტაცებაში არ უნდა მოეყ-ვანა, მაგრამ პირიქით მოხდა: ში-გნითა მოხატულობა გამოარჩია მაღალი ოსტატობით, დახვეწი-ლობით, გემოვნებით, მრავალფე-როვნებითა და სწორი კომპოზი-ციური განლაგებით.

სხვათა შორის, ფრანგ ორიენ-ტალისტ ჟან მურიესაც არ გამორ-ჩა ყოველივე ეს. იგი 1884 წელს ეწვია სხალთას. „კარ-ფანჯრების ჩარჩოები, — წერს მურიე, — სვეტები და ჩუქურთმები გასაო-ცარი ოსტატობით არის შესრუ-ლებული. შიგნით ეკლესია მხატვ-

რობითა და ხუცური წარწერე-ბით არის დაფარული“.

პ. უვაროვას გადმოცემით საკურთხეველის თაღს ტახტზე მჯდო-მი მაცხოვრის სურათი ამშვენებ-და, რომელსაც ხელში სახარება ეჭირა, ტანთ კი ლურჯწითელი ფერის კვართი ეცვა. ირგვლივ ზე-ციური მსახურნი, ქერუბინები მო-ჩანდნენ.

ქრისტეს ფიგურა უზარმაზარი დაეხატათ.

გ. ყაზბეგის ცნობით მას ხელში ხუცურად დაწერილი წიგნი ეჭი-რა. ამ სურათს ხელოვანის ნიჭი, გემოვნება და მონდომება არ აკლ-და და უფლის განდიდების ყველა ნიშანი ესვა. ამას კი გამომეტყვე-ლების საუცხოვო გამოსახვით მი-აღწიესო, შენიშნავს პ. უვაროვა. ქრისტეს ამგვარი წესით დახატვას იგი უძველესად და საუკეთესოდ მიიჩნევს.

საკურთხეველის სარკმელს შუა ნაწილი წმინდანების ფიგურებით შეემკოთ. მათ უკან ნათლად მო-ჩანდა იერუსალიმის კედლები და მახასიათებელი კოშკებით, ალა-ყაფის კარებითა და სხვა. ქვევით იდგნენ წმინდანები თეთრი ჯვრე-ბით ხელში. ეს გასაკვირი არაა, რადგან ძველად იერუსალიმის გა-მოსახვა ყველა ქრისტიანული სა-კულტო დაწესებულებისათვის სა-ვალდებულო იყო.

შემდეგ უვაროვა ტაძრის კამა-

7 ე. მურიე, ბათუმი და ქოროხის აუ-ზი, ბათუმი, 1962 წ., გვ. 41.

რის ცენტრალური ნაწილის მოხატულობას ეხება. პირველ მონაკვეთში ფერისცვალება აღებეჭდათ. მაცხოვარი თეთრ ტანსაცმელში გამოეწყოთ, ამასთან ახლოს მოსე იდგა გადახრილი თავითა და გაწვდილი ხელებით.

სამხრეთით პირველი ფრესკის ქვემოთ ლურჯ ფონზე აესახათ იერუსალიმს შესვლა. ეს სცენა ისეთივე საინტერესო და მდიდრული ორნამენტებითა და მოტივებით იყო დამშვენებული, როგორც რუსეთში იციანო. მას მისდევდა სამი სცენა: მარცხნივ — იუდას ამბორი, შუაში — გოლგოთა ჯვრით, რომელზეც ქრისტე აწამეს, მარჯვნივ — კი ჯვარცმა. აქ იდგნენ დედალვთისა მარიამ მაგდალინელი და იოანე. ქრისტეს წელზე თეთრი ნაჭერი ერტყა, ფეხებით ფიცარს ეყრდნობოდა. მას გამომეტყველება მეტად მშვიდი ჰქონდა და ტანჯვა-წამების არავითარი კვალი არ ესვა. ამ კომპლექსს ისეთივე ფონი ამშვენებდა, როგორიც უკვე განხილულ იერუსალიმის კედლების ამსახველ სურათებს. აქაც ფუნჯის ოსტატებს ქართული წარწერა გაეკეთებინათ.

ტაძრის კამარის მეორე მონაკვეთს ამკობდა ფრესკები ანუ სცენები: ფეხთბანა, მეძავი ქალი ქრისტეს წინაშე და საიდუმლო სერიოზა. ქვემოთ აღებეჭდათ ქრისტეს სასწაულთა ამსახველი სურათები, კერძოდ, განკურნვა. წარწერა აქაც ქართული იყო, რაც ერთხელ კი-

დედ ადასტურებს იმას, რომ ფერწერის ოსტატები ქართველები იყვნენ.

ტაძრის მესამე თაღზე „სულიწმინდის მოვას უნახავს“ სულიწმინდის მოფენა“. აქვე იყო სცენები: ხარება, მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა, ლაზარეს აღდგინება, ჯვრის ზიდვა, მირქმა, ნათლისღება და ქრისტეს შობა, მწყემსთა თაყვანისცემა და მოგვთა სვლა.

ჩვენს სახელოვან წინაპრებს ბვალისმომჭრელი ტილოებით დამშვენებინათ ტაძრის სხვა ადგილებიც. დასავლეთის შესასვლელის თავზე ეხატა „ვედრება“, აქვე იყო მაკურთხებელი, ხოლო ღვთისმშობელი და იოანე ნათლიმცემელი — თაღში. შავ ფონზე მოყვითალო ფოთლები მოჩანდა. ამ ნამუშევარს მკვლევარი ტბეთის (თურქეთის ფარგლებშია, სხალთის მოპირდაპირე მხარეზე) ტაძრისას ამსგავსებს, ცალკეული მოტივები კი რუსული ეკლესიების ორნამენტს წააგავსო.⁸ ასე, მაგალითად, საკურთხევლის ნიშის ქვევითა ნაწილი სარტყელებითა და ვარსკვლავებით მოეხატათ, ფონი კი თეთრი მანდილისა ჰქონდა, რაც რუს ფერმწერთა საყვარელი ფორმააო. საერთოდ, სხალთისა და ტბეთის ტაძრების სკულპტურული, არქიტექტურული მსგავსება უფრო ნათლად შეიძინევა, ვიდრე ფრესკული ფერწერა, ამასთან სამცხის ეკლესია-ტა-

8. Материалы по археологии Кавказа, В. 4, стр. 46.

ძრების ორნამენტირება ისეთივეა, როგორიც სხალთაში. მოხატულობაში კი დიდი სხვაობა იგრძნობოდა. ზარზმის ტაძრის სურათები და ყვავილთა კომბინაციები უფრო უხეში ყოფილა, ვინემ სხალთისა.

საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის ცნობებიც. სხალთის ტაძარი პარხალისას (თურქეთშია) წაგავს, ცოტათი — თბილისის ანჩის ხატისას, სამივე შესავალ კარს გუმბათები მცხეთის ტაძრის მსგავსი აქვსო.

ტაძარი „მთლად მოხატულია შესანიშნავი მხატვრობით“, რომლის დიდი ნაწილი დავარაყებულია ოქროსფრად. ამშვენებს ხუცური წარწერებიც. „ასეთი მშვენიერი მხატვრობა არ მინახავს“, თბილისის სიონის ტაძრის მხატვრობის შედარება ამასთან არ შეიძლება. ესაა ძვირფასი განძი ჩვენი წარსულისა, ძვირფასი საკუთრება ჩვენის მამა-პაპის ხელოვნებისა, რაც ცხადად მეტყველებს ქართველთა ჩინებულ წარსულზეო,⁹ ამბობს ზ. ჭიჭინაძე.

კანკელი, ჯვრები, ხატები და სხვა რამ უფაროვას სხალთაში არ დახვედრია. ცხადია გაიტაცეს ან გადამალეს. აკი სხალთელებს გ. ყაზბეგისათვის უთქვამთ, რომ მათი წინაპრები უკანასკნელ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმე-

რეთში გადასახლდნენ და თან წაიღეს ხატები და სხვა ნივთებიო.¹⁰

ცნობილი ეთნოგრაფი მ. წულუაძეც ხაზს უსვამს ამ გარემოებას. „აჭარა-ქობულეთის გამაჰმადიანების დროს აკეთს მრავალი გამოქცეული შემოხიზნია და თან თავიანთი ეკლესიებიდან ხატები და სხვა ნივთებიც მოუტანიათ. ამ ნივთებში მეტად ძვირფასი ყოფილა მაცხოვრის ხატი. ლუგა ოქრო იყო, ამბობდნენ მოხუცებულები, კიდევ თეთროსნის ღვთისმშობელი, თეთრი ოქრო-მარგალიტებით გაქედილი. ბევრ ხიმშიაშვილს უთქვამს: ის ხატები ჩემი სალოცავები იყო, თავდგირიძეებმა წაიღეს და უკან უნდა დაგვიბრუნონო“.¹¹

მკვლევარი ქრ. შარაშიძე შენიშნავს, რომ მე-16 საუკუნიდან და უფრო ადრეც, თურქეთის ექსპანსიის საფრთხის გაძლიერებასთან დაკავშირებით მესხეთიდან, რომელშიც აჭარა შედიოდა, გურიისაკენ მიედინებოდა მატერიალური კულტურის ძეგლებისა და ადამიანების განუწყვეტელი ნაკადი“.¹²

ახლა გავცნოთ იმას, თუ რას ამბობენ მეცნიერები ტაძრის აგების თარიღის შესახებ. 1878 წელს სხალთას ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ეწვია. იგი ჯერ ტაძარს

10 გ. ყაზბეგი აჭარის შესახებ, გვ. 92.

11 ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურიი, თბ., 1971 წ., გვ. 238.

12 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 15-16, ს. თბ., 1961 წ., გვ. 71.

9 ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ., 1913 წ. გვ. 173.

გაეცნო, შემდეგ კი მასზე არსებულ მასალებს და განაცხადა, რომ ტაძარი „ქართული ხუროთმოძღვრების აყვავების ხანას მე-10-12 საუკუნეებს“ განეკუთვნებაო.¹³ ეს აზრი გაიზიარა გერმანელმა მეცლევარმა ტ. კლიუგემ, რომლის ნაშრომი საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლებზე 1918 წელს გამოიცა ბერლინში.

საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების კარგი მცოდნის, აკადემიკოს ნ. სევეროვის მიერ 1947 წელს მოსკოვში გამოცემულ ქართულ ხუროთმოძღვრების ალბომში სხალთის ტაძარი მე-11 საუკუნის ძეგლადაა მიჩნეული,¹⁴ ხოლო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. დიასამიძე და გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. ნიჟარაძე მე-12 საუკუნეს მიუთითებენ,¹⁵ ხელოვნებათმცოდნე რ. მეფისაშვილი კი წერს, რომ ტაძრის მშენებლობა მე-13 ს. შუა წლებს უნდა განეკუთვნებოდესო, რაც მხოლოდ არქიტექტურული მოსაზრებიდან გამოაქვს. იგი პ. უვაროვას ცნობებს არ გასცნობია, რომელთა გარეშე ძნელია ძეგლის აგების თარიღის სწორი განსაზღვრა.

13. Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Абхазии. СПб. 1878 г. стр. 57.


14. Памятники грузинского зодчества, М. 1947 г. стр. 192 и таблица № 92.

15 დ. დიასამიძე, ნ. ნიჟარაძე, აჭარის ასსრ, თბ., 1967 წ., გვ. 48.

საერთოდ, მეფისაშვილი, აქაიკ თვითონვე უარყოფს თავისივე ნათქვამს. „ფასადების დეკორაციული მორთულობის ის სისტატუარული რომელიც სხალთას ახასიათებს, მე-11-12 საუკუნეებიდანაა ცნობილი... ჩვენთვის საინტერესოა ჩრდილოეთი ფსადის კედელში ჩატანებული ქვა, რომლის ჩუქურთმების მოტივი მე-10 მე-11 საუკუნეთა მიჯნით თარიღდება... ამ ავე საუკუნეების ძეგლებში (მე-10-11 ს. — ი. ბ.) ვხვდებით ჰორიზონტალური სარტყლის გავლებას კამარისა და კონქის ქუსლის ქვეშ“, რაც სხალთასაც აქვს. ან კიდევ — „სხალთის ტაძრის თაღები თავისი ზოგადი ფორმებით მე-9-10 საუკუნეების ძეგლების თაღებს უახლოვდება... სხალთის ტაძრის დარბაზული ეკლესიის ფორმა — შვერილი მეხუთე საუკუნიდან გვხვდებაო“,¹⁶ რაც, ცხადია, ტაძრის სიძველეზე მიგვითითებს.

ჩვენ ეს ნარკვევი სარეცენზიოდ ცნობილ ხელოვნებათმცოდნეს, აკადემიკოს ვ. ბერიძეს გადავეცით. მეცნიერი არა თუ გაეცნო მას, ტექსტიც გაგვიმართა და თავისი მოსაზრებაც გამოთქვა: — რადგან პირდაპირი წერილობითი საბუთი ხელთ არა გვაქვს, უნდა დავეყრდნოთ თვით ძეგლის ანალიზს. მისი არქიტექტურული ფორ-

16 რ. მეფისაშვილი, სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955 წ., გვ. 86.



რმები, პროპორციები, ჩუქურთ-
მა — ყველაფერი ეს ტაძარს აკავ-
შირებს სწორედ მე-13 საუკუნეს-
თან და უფრო ამ საუკუნის შუა
წლებთან, წერს პატივცემული
მეცნიერი.

გამოდის, ამგვარი არქიტექტუ-
რული ფორმები, პროპორციები
და ჩუქურთმა საქართველოში მე-
13 საუკუნემდე არ არსებულა,
რაც, ჩვენი აზრით, უფრო სავა-
რაუდო, საორიენტაციო უნდა
იყოს. ბევრი ისტორიული გარე-
მოება, არგუმენტი ადასტურებს,
რომ ტაძარი ადრე მე-12 ს. შინც
უნდა იყოს აგებული.

„ცნობილია, რომ სამხრეთ სა-
ქართველო ჯერ კიდევ 8-9 ს. დაი-
ფარა შესანიშნავი ეკლესია-მონას-
ტრების ქსელით. მძლავრი სამონას-
ტრო მეურნეობის აღორძინებას-
თან ერთად სწორედ ამ კუთხეში
მოიმაგრა ფეხი სრულიად საქართ-
ველოს მეფის ხელისუფლებამ“,
წერს ქრ. შარაშიძე.¹⁷

ამასვე შენიშნავს პ. ინგოროყ-
ვა. აშოტ I-ის დროს, რომელიც
896-918 წლებში მეფობდა, დასა-
ვლეთ მესხეთის თანდათან გაშე-
ნებასთან და „მსოფლიო ერისკაც-
თა დასახლებასთან ერთად ძველს
გავერანებულ სოფლებში გაგრძე-
ლდა წინათ დაწყებული (ხაზი
ჩვენია. — ი. ბ.) კოლონიზა-
ცია.“¹⁸ დასავლეთ საქართველო-

ში, მით უფრო დასავლეთ მესხე-
თში, რა თქმა უნდა, აჭარაში —
დიოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ
აშოტი განაგებდა შავშეთ-არტა-
ანს, სამცხესა და აჭარას, რომლე-
ბიც ერთმანეთს არა თუ ესაზღვ-
რებოდნენ, არამედ ერთი სამთავ-
როს, სამეფოს შემადგენელ ნა-
წილს წარმოადგენდნენ. ამიტომაც
აშოტის დროს თუ არა, მომდევნო
საუკუნეებში რომ აჭარასაც ფარ-
თოდ მოედებოდა „სამონასტრო
კოლონიზაცია“, საერთოდ მშენე-
ბლობა, მტკიცებას არ საჭიროებს.

მემათიანე სუმბატ დავითის ძის
ცნობით აშოტმა აღაშენა გუმბა-
თიანი დიდმშვენიერი ტბეთის ტა-
ძარი და პირველ ეპისკოპოსად
სტეფანე დასვა.¹⁹ აღსანიშნავია,
რომ უკვე მე-9 ს. აჭარის რელიგი-
ური დაწესებულებანი ამ საეპის-
კოპოსოს ემორჩილებოდნენ. ისიც
ცნობილია, რომ ტბეთში რეზიდენ-
ცია ჰქონდათ აჭარის ერისთა-
ვებს, საქართველოს ცენტრალუ-
რი მეფეებისადმი ერთგულებით
განთქმულ აბუსერიძე ტბელებს,
რომელთა წინაპრები ისტორიულ
წყაროებში 1028-1030 წელს უკ-
ვე მოიხსენიებიან.²⁰

ამ დინასტიამ არაერთი გამო-
ჩენილი პიროვნება მისცა საქართ-
ველოს, მათ შორის მწერალი და
ასტრონომი აბუსერიძე ტბელი,

17 სამხრეთ საქართველოს ისტორიის
მასალები, 15-16 ს., გვ. 85.

18 პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, თბ.,
1954 წ., გვ. 47-48.

19 იქვე, გვ. 12.

20 ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბე-
ლი, თბ., 1941 წ. გვ. 17, 24.

რომელმაც 1233 წელს დაწერა „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე“, აგრეთვე ასტრონომიული ტრაქტატი „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელთა და განგებითა“ და საგალობლები. მ. ჯანაშვილი მას „ხვარაზმელთა ისტორიასაც“ მიაწერს.²¹

ამ ნაშრომებით მტკიცდება, რომ იმხანად აჭარაში მრავლად იყვნენ მშენებელი ოსტატები, რომლებიც არა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოღვაწეობდნენ, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ორი ცხმოჩენილი (ქედის რ-ნი) ხელოსანი შორეულ და უცხო სპარსეთშიც კი წასულა. აღსანიშნავია, რომ თვით ცნობილი ხუროთმოძღვარი ბოლოკ ბასილი აჭარის მკვიდრი იყო. მან შუასაბრტყალის ტაძარი 1155-1160 წლებში ააგო. ისიც ცნობილია, რომ ზარზმის ეკლესიის ასაგებად ხელოსნები აჭარიდან მიიწვიეს. ვახუშტი არაერთხელ შენიშნავდა, რომ აჭარის მკვიდრნი განთქმული არიან ხურობითა და სხვა ხელოსნობით.²² აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილიც მიუთითებდა, რომ „თანამედროვე მკვლევარი ამ პატარა თხზულებაშიაც (აბუსერიძე ტბელის — ი. ბ.) ძვირფას ცნობებს იზოგის მრეწველობისა და ხელოვნების შესახებ საქართველოში,

მრავალს სააღმშენებლო ხელობისა და იარაღების ტერმინებს სხვა“.²³

ეროვნული
მემკვიდრეობა

აჭარას, განსაკუთრებით ზემო ნაწილს რომ მართლაც ოდითგანვე ჰქონდა რელიგიურ, სამხედრო და სამოქალაქო ნაგებობათა კომპლექსი, ამას არაერთი სხვა ძეგლიც მეტყველებს. სხალიდან 20 კმ. დაშორებით მდებარეობს ხიხანის ციხესიმაგრე, სადაც აბუსერიძე ტბელმა თავისი უკვდავი ნაწარმოებები შექმნა, ააგო ეკლესია.²⁴ 1045 წელს ხიხანს მისი ბაბუა აბუსერი განაგებდა.²⁵

ამ რაიონში იყო აგარის ტაძარი, რომელიც 1888 წელს პ. უვაროვამ თაღამონგრეული ნახა, გაასუფთავა და კიდევაც აღწერა. აქ აღმოჩენილ კანკელს, ქრისტესა და წმინდა გიორგის ბრინჯაოს ხატებს იგი მაღალ შეფასებას აძლევს. აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა ისინი მე-11-12 საუკუნეებით დაათარიღა.²⁶

ამ რაიონში ბევრია სხვა ციხესიმაგრეების, ეკლესიების, ქვის ხიდებისა და სხვათა ნანგრევები, ხშირად ნახულობენ მნიშვნელოვან ქრისტიანულ საგნებს, რომე-

23 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945 წ., გვ. 243.

24 ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელი, გვ. 5, 6, 67.

25 ქაროლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955 წ., გვ. 300.

26 ა. ჩაუღიშვილი, ი. ბეჭირიშვილი, აგარის ტაძრის საუნჯე, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1971 წ., № 11, გვ. 33.

21. Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, т. 35, стр. 125, 143. Тиф. 1905 г.

22 ვახუშტი, გეოგრაფია, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, გვ. 225.

ლთა ნაწილი ამშვენებს აჭარის სახელმწიფო მუზეუმს. მაგალითად, ს. ვერნების ქვა, რომელზეც მოხსენებულია ტბელის ახლო ნათესავები.²⁷

სხალთის სიძველეზე ისიც მიუთითებს, რომ იგი მდებარეობს ისეთ საკვანძო ადგილას, სადაც ერთმანეთს ზედებოდნენ არა მარტო აჭარა-სამცხის, შავშეთის, კოლა-არტაანისა და ჯავახეთის, არამედ მთელი ქართული, სომხური და ბიზანტიური რელიგიური, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. ამას ისიც განაპირობებდა, რომ აქ საზღვარი და საერთაშორისო საქარავენე გზები გადიოდა. ასე რომ, სხალთა ადგილობრივი მოსახლეობის, ვაჭრებისა და ჯარის თავშეყრის ცენტრი იყო. მართლაც მათ სადღაც ხომ უნდა გაეთიათ ღამე, მიეღოთ საკვები, შეესრულებინათ რელიგიური რიტუალი. ამასთან ეს ხეობა ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და სტრატეგიული თვალსაზრისითაც გამოირჩეოდა. ამიტომ იყო, რომ, როგორც ვთქვით, თავისი რეზიდენცია აქ აბუსერიძე ტბელებსა და ხიმშიაშვილებსაც ჰქონდათ. მკიდროდ მცხოვრები მოსახლეობა ახლაც მისდევს მესაქონლეობას, მევენახეობას, მეხილეობას, მემინდვრეობას, აქვთ საზაფხულო საძოვრები, ქვის საშენი მასალა, მდიდარი ტყე.

27 ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელი, გვ. 23.

აღსანიშნავია, რომ ქართული უნიკალური ხელნაწერის სულთა მატრიანე“ სწორედ ამ დროს, სახელდობრ მე-11-12 საუკუნეებში შეადგინეს აჭარაში. ეს დოკუმენტიც მეტყველებს, რომ იმხანად კულტურა და ხელოვნება მართლაც ყვაოდა ჩვენს მხარეში.

კიდევ ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ტაძარი მე-13 საუკუნემდეა აგებული. თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს, კერძოდ, აჭარის სამინაო თუ საგარეო მდგომარეობა ხვარაზმელთა, მონგოლთა და თურქთა თარეშის შედეგად საგრძნობლად შეირყა. აბუსერიძეც კი შენიშნავს, აჭარელთა გახიზვნა მასობრივი გახდა.²⁸

ხვარაზმელთა თარეშმა აჭარის ერისთავები აბუსერიძეებიც დააქვეითა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, საკუთარი მიწებიც კი დაკარგეს და აბა ტაძრის აშენებისა თუ თუნდაც მოხატვისათვის ვინ მოიცილიდა. ახლა ყველაფერი საზღვრების დასაცავად ან ხარკის გადასახდელად იყო საჭირო. ცხადია, ასეთ ვითარებაში ყველა აბჯარასხმული იქნებოდა. სამშობლოს დაცვის სამზადისი კი ოდნავადაც არ იგრძნობოდა ტაძრის შიგნით მოხატულობაში, რადგან იგი არა საომარ განწყობილებაში, მშვიდობიან დროს გა-

28 ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელი, გვ. 15-16.

აკეთეს. ამას ისიც უნდა ადარებდეს, რომ მე-13 საუკუნეში ვითარება საქართველოსა და ბიზანტიას შორისაც დაიძაბა და ამა ქართველები თავიანთ ტაძარში ბერძნულ წარწერებს. ამასთან ასე უხვად რატომ ვააკეთებდნენ.

სხალთას აბუსერიძე ტბელი თავის ნაშრომებში არ მოიხსენიებს. ცხადია, მის დროს, ე. ი. მე-13 ს. პირველ ნახევარში არ შენდებოდა. ასე რომ არ ყოფილიყო იგი, რა თქმა უნდა, უთუოდ იტყოდა „შენდებოა“. შეუძლებელია აბუსერიძეს არაფერი ეთქვას ტაძარზე, რომელსაც მის თვალწინ, ამასთან საგვარეულო მამულში აგებდნენ. ასე რომ ყოფილიყო, მშენებლობის წამომწყები ან ხელმძღვანელი, ცხადია, თვითონ იქნებოდა და ამ მნიშვნელოვან ფაქტს იგი გვერდს არ აუვლიდა. აკი შენიშნავს, რომ ძმების დავალებით მან ააშენა წმ. გიორგის ეკლესია ხიხანში, „სალოცველად გარდასრულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა“, ²⁹ ხოლო მისი დის დაკვეთით მეზობელ სოფელში მახარობლის ეკლესია შენდებოდა.

ამ ყურადსაღები მასალებიდან გამომდინარე შემონახული ტაძარი შეიძლება მე-12 საუკუნეს მივაკუთვნოთ და მის აღმშენებლებად აჭარის ერისთავ აბუსერიძე ტბე-

ლის წინაპრები მივიჩნიოთ. ამასთან ვლინდება, რომ სხალთაში მძლავრი ქრისტიანული საკულტო ტუ სხვა დანიშნულების კენტი მანამდეც არსებობდა. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ პ. უვაროვას, გ. ყაზბეგის, ც. გაბაშვილის ცნობები იმის შესახებ, რომ სხალთაში რამდენიმე ნაგებობა არსებობდა, მათ შორის ისეთი, როგორიც დღემდე შემოინახა, ორ ერთნაირ შენობას ერთ და იმავე დროს ერთ ადგილას, ცხადია, არ ააგებდნენ. ეტყობა, ძველი ტაძარი დაინგრა, ან დაანგრის, რის გამო მის მეზობლად ახალი ააგეს, რომელმაც დღემდე მოაღწია.

სხალთა რომ ძველი და ცნობილი ცენტრი იყო, ამაზე წყაროებიც მეტყველებენ. 1392 წლის დეკემბერს მეფე გიორგი მეშვიდეს მიერ შედგენილი სიგელით მცხეთის სვეტიცხოველის სამფლობელოები და ეკლესია-ტაძრები ყველა გადასახადისაგან გაუთავისუფლებიან, მათ შორის „თათრების ულუფიდან“ და „მუღმივი ულუფიდან“. გათავისუფლებულებს შორის მოხსენებულია სხალთის ტაძარი, ³⁰ რომელიც მაშინ არტაანის ოლქში შედიოდა. სხალთა მოხსენიებულია აგრეთვე მეფე ალექსანდრეს სიგელშიც. იგი 1412-1442 წლებში განაგებდა ქვეყანას.

²⁹ იქვე, გვ. 67.

გ. ბერიძე, ძველი ქართული ოსტატები, თბ., 1967 წ., გვ. 12.

³⁰ С. Какабадзе, Грузинские документы института народов Азии, М. 1967 г. стр. 146-147.

სხალთის დაქვემდებარება მცხეთის კათედრისადმი, მისი ხსენება ცნობილი ეკლესია-ტაძრების გვერდით და გადასახადებისაგან განთავისუფლება ბევრის მოქმელი ფაქტია. ეს მის დამოუკიდებლობასა და სიძლიერეს მეტყველებს.

გ. ყაზბეგის ცნობით სხალთა ეპისკოპოსის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა. აკადემიკოსი კ. კეკელიძე და ლ. მუსხელიშვილი

აბუსერიძეს ტბეთის ეპისკოპოსად მიიჩნევდნენ, რის გამო „ტბევერად“ უნდა იწოდებოდნენ. მუსხელიშვილი „ტბელის“ სახელითაც მოიხსენიებთან სხვებში.³¹

დაგვრჩენია გამოვთქვათ სინა-ნული იმის გამო, რომ ეს ტაძარი მნიშვნელოვანი ეროვნული ძეგლი სათანადოდ არ არის მოვლილი. ის უდავოდ იმსახურებს მეტ ყურადღებას.

31 ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელი, გვ. 24.

შოთა თორაძე

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში მომზადებული კადრები

სკკპ ოცდამეოთხე ყრილობამ
შაჰიროდ სცნო მეცხრე ხუთწლე-
დში პროფესიულ-ტექნიკური გა-
ნათლების სისტემის მეშვეობით
ცხრა მილიონი კვალიფიციური
მუშის მომზადება. საქმე მხოლოდ
რაოდენობრივ მხარეს როდი ეხე-
ბა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური
განვითარების თანამედროვე ეტა-
პზე განსაკუთრებული ყურადღე-
ბა ეთმობა მუშათა კლასის თვი-
სობრივი შემადგენლობის სრულ-
ყოფას. სწორედ ამიტომ სწრაფი
ტემპით იზრდება იმ პროფესიულ-
ტექნიკურ სასწავლებელთა ქსე-
ლი, რომლებიც ახალგაზრდობას
პროფესიასთან ერთად სრულ სა-
შუალო განათლებას აძლევენ.

ამჟამად, როცა პარტია უდიდეს
ყურადღებას უთმობს სახალხო
მეურნეობის ეფექტუალურობის
მკვეთრ ამაღლებას მეცნიერულ-
ტექნიკური პროგრესის დაჩქარე-

ბის საფუძველზე, მუშათა კლასის
ზოგადსაგანმანათლებლო და ტექ-
ნიკური დონის ზრდა განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობის ამოცანად
ისახება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
გენერალურმა მდივანმა ლ. ი.
ბრეჟნევმა კომკავშირის მეჩვიდ-
მეტე ყრილობაზე თქვა: „ჩვენ სა-
ჰიროდ ჩავთვალეთ მნიშვნელოვ-
ნად გაგვეფართოებინა ქსელი ის-
ეთი პროფესიულ-ტექნიკური სას-
წავლებლებისა, რომელთა კურს-
დამთავრებულნი, პროფესიასთან
ერთად იღებენ ზოგად საშუალო
განათლებას. უკვე ამ ხუთწლედის
დამლევისათვის ჩვენს ქვეყანაში
ერთიორად გაიზრდება ასეთ სას-
წავლებელთა რიცხვი“.¹

სოციალისტურ საზოგადოებაში
მშრომელი კაცი განსაკუთრებული

1 გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1974 წ., № 80.

ყურადღებითა და ზრუნვით არის მოსილი. ამის შესახებ ამხანაგი ბრეჟნევი ამბობს: „ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე ხალხს ყველაზე საპატიოდ მიაჩნია ოსტატის, ხელმარჯვის წოდება. ჩვენ კიდევ უფრო უნდა ავამაღლოთ პატივისცემა ამ წოდებისადმი“. და შემდეგ: „დადგება დრო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბევრი ახლანდელი აღსაზრდელი გახდება მოწინავე მუშა, წარმოების ნოვატორი, შრომის გმირი, საწარმოების, სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების ხელმძღვანელი“...²

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო სისტემის აღზრდილი მრავალი ათასი მუშა სპეციალისტი უკვე იქცა წარმოების ნოვატორად, ინჟინრად, ხელმძღვანელ მუშაკად. ისინი წარმატებით შრომობენ და ხელმძღვანელობენ სახალხო მეურნეობის დარგებს.

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების აღზრდილთა შორის არაერთმა გაითქვა სახელი რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. მათ ყველა საწარმოში შეხვდებით, მაგრამ პირველ რიგში — სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ დარგებში.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი მჭიდ-

როდ არიან დაკავშირებული თან-ვიანთ ყოფილ აღსაზრდულებთან. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პირველ-სიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1965 წლის 26 იანვრის დადგენილებით კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ თბილისის № 31 და 38 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ყოფილი აღსაზრდელები — 38 კაცი, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შრომაში სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. მათ შორის არიან თბილგაზის მთავარი ინჟინერი შ. მ. კობალეიშვილი, ქარხანა „მიკროძრავას“ ტექნიკური განყოფილების უფროსი ვ. პ. გელაშვილი, თბილისის ელექტროდების მექანიკალე გ. ი. ლიკაძე და სხვები.

სსრ კავშირში ომის წლებში შრომითი რეზერვების სასწავლებლების მიერ მომზადებული 2 მილიონ 480 ათასი მუშა სპეციალისტიდან 600 ათასი გაიგზავნა სამხედრო ქარხნებში, 310 ათასი ტრანსპორტზე, 180 ათასი ქვანახშირის მრეწველობაში, დანარჩენები კი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

შრომითი რეზერვების სახელმწიფო სისტემამ საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასს კარგი შევსება მოუშადა. მრავალმა მათგანმა მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ისტორიას. სახელმწიფო პრემიის პირველ ლაურეატებს.

შორის 34 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღზრდილი იყო. სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის 25 წლისთავზე, 1965 წლის ოქტომბერში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღზრდილთაგან 109 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მრავალი სახელოვანი ადამიანი გამოზარდეს საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმაც. მათ შორისაა თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბოგვერაძე. მან 1945 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებელი ელმავლის მემანქანის თანამემწის სპეციალობით და მალე დაწინაურდა როგორც მძიმე-წონიანი მატარებლების ტარების ოსტატი, ნოვატორი. იგი დიდი მონდომებით გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდა მემანქანეებს. სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა მის ღვაწლს. 1959 წელს გ. ბოგვერაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

რესპუბლიკაში ფართოდ გაითქვა სახელი თბილისის აბრეშუმსა-ქსოვი კომბინატის მოწინავე მქსოველმა ეთერ ბეგლარის ასულმა სოლომონიამ. მან 1955 წელს დაამთავრა თბილისის № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და მალე პირადი მაგალითით აღატრთოვანა ფაბრიკის მუშა-ახ-

ალგაზრდობა. მისი მოწოდებით გაიშალა მოძრაობა მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქტების მოშვებისათვის, მოწყობილობის უკეთ გამოყენებისა და წარმოების მაღალი კულტურისათვის. ეთერ სოლომონია არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1960 წელს კი მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამჟამად ივა მუშაობს თბილისის ერთ-ერთი პროფ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორად.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბევრმა კურსდამთავრებულმა ასახელა სამშობლო ახალი პატრიოტული წამოწყებებით. მათ რიცხვში უნდა დავასახელოთ შოთა აკაკის ძე ფირცხალავა, რომელმაც 1946 წელს დაამთავრა თბილისის № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო თბილისის ჩარხსაშენ ქარხანაში ზეინკლად. 1966 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი, ამწყობი იოსებ გრიგოლის ძე ხაზარაძე, რომელმაც თავისი რაციონალიზატორული წინადადებებით ქარხანას დაუზოგა რამდენიმე მილიონი მანეთი. ი. გ. ხაზარაძემ 1949 წელს დაამთავრა ქუთაისის № 4 სახელოსნო სასწავლებელი და პირველი შრომითი ნათლობაც იქვე მიიღო. იგი ერთ-

ერთი პირველი გამოვიდა ქუთაისის ავტოქარხანაში წარმოების ეკონომიის ხარჯზე შეიდწლედის ფონდის შექმნის ინიციატორად. ამ ღონისძიებამ საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და დაეხმარა კოლექტივს ქარხნის რენტაბელობის ამალღებაში.

პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა რესპუბლიკას მრავალი სასახელო ქალიშვილი აღუზარდა. მათ შორის არის ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის მქსოველი ალექსანდრა ილარიონის ასული გამყრელიძე. უნდა შევნიშნოთ ერთი ფრიად საინტერესო მომენტი: პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი დროის მცირე მონაკვეთში კარგად ეუფლებიან პროფესიას და იმსახურებენ კოლექტივის პატივისცემას. ამის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ა. ი. გამყრელიძის მაგალითი. მან 1959 წელს დაამთავრა ქუთაისის № 37 პროფტექნიკური სასწავლებელი, ხოლო 1966 წელს მოიპოვა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბევრმა კურსდამთავრებულმა ასახელა სამშობლო იმის მძიმე წლებში. მაგრამ მათი ძირითადი სარბიელი მაინც შრომის ფრონტი იყო და არის. ამ ფრონტის არმიის მებრძოლთა რაზმების მომზადებას ემსახურება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სი-

სტემა და ყოფილმა აღსაზრდელებმაც სწორედ აქ გამოიჩინეს თავიანთი უნარი.

ამ პლეადის ერთ-ერთი წევრია ჩინო წარმომადგენელი პავლე ალექსანდრეს ძე წერეთელი. მან 1943 წელს დაამთავრა ზესტაფონის № 9 სახელოსნო სასწავლებელი და მიიღო ხარატის პროფესია. შემდგომ მისი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ქართველ მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქ რუსთავს. აქ მილსაგლინავ საამქროში რიგითი მუშიდან იგი დაწინაურებულ იქნა საამქროს ოსტატად, საამქროს უფროსის მოადგილედ, შემდგომ კი ვეებერთელა საამქროს უფროსად.

პ. ა. წერეთელი თავიდანვე გამოირჩეოდა საზრიანობითა და საქმის სიყვარულით. გამუდმებით ეძიებდა, აყენებდა რაციონალიზატორულ წინადადებებს. მან მონაწილეობა მიიღო იმ ჯგუფის მუშაობაში, რომელმაც მილსაგლინავი „დგან-400“-ის ავტომატიზაციისათვის ლენინური პრემია დაიმსახურა 1962 წელს. ამ გამოგონებამ ქარხანას დიდძალი მოგება მოუტანა.

ფართოდ არის ცნობილი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც თბილისის № 31 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის აღზრდილი გურამ შალვას ძე ჩადუნელი ხელმძღვანელობს. მან 1954 წელს დაამთავრა

სასწავლებელი. ბეჭითი შრომითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით კოლექტივის სიყვარული და ნდობა დაიმსახურა, 1966 წელს აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების არაერთმა აღზრდილმა დიდი და სახელოვანი გზა გაიარა რიგითი მუშიდან წარმოების ხელმძღვანელამდე. მაგალითად, თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორად დაწინაურებულ იქნა გიორგი კლიმენტის ძე ჭოლაძე, რომელმაც ადრე თბილისის № 5 ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის წარმოების უფროსად დაინიშნა მგებელი ვახტანგ იოსების ძე მენთეშაშვილი, რომელმაც ადრე თბილისის № 4 ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა.³

გფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ გავიხსენებთ ერთ ფაქტს ჩვენი ქალაქის წარსულიდან. ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა და იგი 1891 წელს დაამთავრა გამოჩენილმა მოქანდაკემ. ქართველი ერის სასიქადულო შვილმა აკოზ ნიკოლაძემ. ასე რომ, პროფტექნიკურ სწავლებას ქ. ბათუმში კარგა ხნის ისტორია აქვს.

დღეს ბათუმის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ერთი მსხვილი საბაზო საწარმოო ბათუმის მანქანათსაშენი ამ საწარმოში სასწავლებლის ასობით ყოფილი აღსაზრდელი შრომობს. საკმარისია ითქვას, რომ 1962 წლიდან დღემდე სასწავლებელმა ქარხანას მისცა 452 სხვადასხვა პროფესიის მუშა.

დღეს ამ სახელმოხვეცილი ქარხნის კოლექტივის მოწინავეთა შორის ბევრია ჩვენი ყოფილი მოსწავლე.

მიხეილ სამსონის ძე დუნდუა ქარხანაში მუშაობს 1945 წლიდან, ითვლება საუკეთესო ზეინკალ-ამწყობად, დააწინაურეს საწარმოო სწავლების უფროს ოსტატად. 1958 წელს არჩეულ იქნა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. წარმოებისაგან მოუწყვებლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე დოლიძე ქარხანაში მოვიდა 1955 წელს. არის მეექვსე თანრიგის წამყვანი ხარატი, მუშაობს პირადი დამღით, არის კომუნისტური შრომის დამკვერი. ქარხანაში უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. შეტანილი აქვს 8 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც ქარხანას მისცა თვალსაჩინო ეკონომია.

დამსახურებული სახელითა და

3 М. Чихладзе. Е. Ткебучава, Молодое поколение рабочего класса Грузии, Тб., 1968 г., ст. 89.

ავტორიტეტით სარგებლობენ ბათუმის პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი ბათუმის გემთსაშენი ქარხნის დიდ, მეგობრულ, მრავალეროვან კოლექტივშიც. დავასახელებთ მხოლოდ ერთს — ავთანდილ ალექსანდრეს ძე მამეიშვილს. იგი მუშაობდა ხარატად. 1962 წელს ქარხანამ თავისი ხარჯით გაგზავნა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1967 წელს და დაინიშნა ქარხანა-

ში ინჟინრად, სულ მალე წინაურეს ექსპერიმენტული ნის უფროსად.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში აღზრდილთა შრომით მამაცობაზე უამრავი მაგალითი მოტანა შეიძლებოდა. მაგრამ ჩამოთვლილი ფაქტებიც ნათლად მოწმობენ პროფტექნიკური სასწავლებლების პედაგოგთა და ოსტატთა კოლექტივების წარმატებას კვალიფიციური მუშათა კადრების აღზრდის საქმეში.



მამია კომახიძე

კადრების მომზადების შესანიშნავი კერა

ღვაწლმოსილი პედაგოგის ალექსანდრე ჭირაქაძის წიგნს „სასოფლო-სამეურნეო განათლების კერა აჭარაში“, რომელიც შარშან დაისტამბა ბათუმში, მოწონებით შეხვდნენ მკითხველები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მომავალი თაობის ფორმირებაში, მის ესთეტიკურ აღზრდასა და ჩამოყალიბებაში უაღრესად დიდი როლი ენიჭება სკოლას, საერთოდ, და განსაკუთრებით საშუალო სპეციალურ სასწავლებელს. სწორედ ასეთი სასწავლებელი იყო აჭარაში რიგით მესამე (პედაგოგიური და ინდუსტრიული ტექნიკუმების შემდეგ) აგრონომიული ტექნიკუმი, რომელიც დაარსდა 1925 წელს. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთ გვეამაყება, რომ სწორედ აქ მივიღეთ ცხოვრებაში

გამოსადეგი განათლებაცა და პირველი პრაქტიკული წრთობაც.¹

როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს ტექნიკუმი იმ პერიოდში დაარს-

1 ამ წერილის ავტორმა მამია ხაბიტონის ძე კომახიძემ 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი, იყო ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ამჟამად იგი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი და ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია, მიწებზელი აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება, არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ოცზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორი, არჩეულია იუსტიციის სამინისტროს პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარედ და პარტბიუროს წევრად, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

და, როდესაც პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გადაუდებელ ამოცანად იყო დასახული ახალი თაობის აღზრდა სოციალიზმის სულისკვეთებით, სოფლად მუშაობის ისეთი საკითხების მოგვარება, როგორიც არის კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციის ფორმები, შრომის ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობასთან დაკავშირებით და სხვა, რათა უზრუნველგვეყო სოციალისტური სექტორის გამარჯვება.

იმ პერიოდში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ აჭარაში, განსაკუთრებით შეიმჩნეოდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების სამცირე, ახლად დაარსებული აგრონომიული ტექნიკუმის წინაშე დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა იდგა—მას ღირსეული კადრები უნდა აღეზარდა დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის.

თუ ტექნიკუმი თავიდანვე მოწოდების სიმაღლეზე იდგა როგორც აკადემიური წარმატებით, ისე შეგნებული დისციპლინით, ეს იმის შედეგი იყო, რომ ის დაკომპლექტდა საუკეთესო პედაგოგებით, რომლებიც თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას დაუხარებლად ახმარდნენ მოსწავლეთა განათლების სრულყოფას. სწორედ ასეთი პედაგოგები იყვნენ ალ. მიქელაძე, ალ. ჭირაქაძე, ი. ნინიძე, ა. სიხარულიძე, ს. და მ. ლოლბერიძეები, ნ. გეგელია, ა. კო-

ბიძე, დ. ნადარაია. ე. თოფჩიძე, ი. რატიშვილი, მ. ტაბლიაშვილი, კ. აბაშიძე და სხვები. ეროვნული
განათლების

ტექნიკუმის პირველი წლების მოსწავლეებს არასოდეს დაავიწყდებოდათ აღმზრდელ-მასწავლებელ ალ. მიქელაძის მამაშვილური ყურადღება, მისი დაუღალავი ზრუნვა: იგი, როგორც წესი, ყოველლამე ამოწმებდა მოსწავლეებს საერთო საცხოვრებლებში, მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი შენობები ერთმანეთისაგან დაშორებული იყო 200-300-500-1000 მეტრით.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სხვადასხვა წრეები, მაგრამ მათ შორის გამოირჩეოდა ლიტერატურის წრე, რომელსაც მასწავლებელი ალ. ჭირაქაძე ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკუმი სოფლის მეურნეობის საშუალო განათლების სპეციალისტებს ამზადებდა, საერთოდ სწავლება, განსაკუთრებით კი ქართული ენისა და ლიტერატურისა, ისეთ მაღალ დონეზე იყო დაყენებული, რომ პედაგოგიურ სასწავლებელს არ ჩამორჩებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი მუშაობდნენ პედაგოგებად, პრესის მუშაკებად და ა. შ. ქობულეთის რაიონში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ტექნიკუმში აღზრდილები: დ. მჟავანაძე, ა. გოგიტიძე, ს. ჭანკურიძე და სხვები. აკ. ხვინგია, რომელიც ამ ტექნიკუმის პირველ გამოშვებას ეკუთვნოდა.

მუშაობდა კომკავშირის აჭარის
საოლქო კომიტეტის ორგანოს გა-
ზეთ „ახალგაზრდა ლენინელის“
რედაქტორად, ხოლო შემდეგ ბა-
თუმის რაიონის გაზეთ „კოლმეუ-
რნეობის გზის“ რედაქტორად.

შრომის ავტორი სამართლიანად
აღნიშნავს, რომ ტექნიკუმმა და-
კისრებული ამოცანა წარმატებით
შეასრულა, სამშობლოს აღუზარ-
და 1.800-ზე მეტი საშუალო კვა-
ლიფიკაციის სპეციალისტი.

ამ ტექნიკუმში სწავლობდნენ
სხვადასხვა ეროვნების წარმომად-
გენლები — ქართველები, რუსები,
სომხები, აფხაზები, ბერძნები და
სხვები, საქართველოს სსრ თით-
ქმის ყველა კუთხიდან. ამდენად
მკითხველისათვის დიდად საინტე-
რესო იქნებოდა თუნდაც მარტო
სტატისტიკური მონაცემებით გაე-
გო ეს 1.800-ზე მეტი კაცი სად
მოღვაწეობს, მით უმეტეს, რო-
გორც ავტორი აღნიშნავს, ტექნი-
კუმს კურსდამთავრებულებთან
ჰქონია, როგორც წერილობითი,
ისე ცოცხალი კავშირი. ეს შენიშ-
ვნა იმიტომ გავაკეთეთ, რომ სა-
რეცენზიო შრომაში ლაპარაკია იმ
კურსდამთავრებულებზე, რომ-
ლებიც ახლო-მახლო რაიონებში
იღვწიან, ძირითადად — აჭარაში,
განსაკუთრებით კი ქობულეთში.

ტექნიკუმში სასწავლო-აღმზრ-
დელობითი მუშაობა, ახალგაზრ-
დობის კომუნისტურად აღზრდის
საქმე მაღალ დონეზე იყო დაყე-
ნებული და შემთხვევითი არ არ-
ის, რომ აქ აღზრდილთაგან ბევრს

გზედებით ხელმძღვანელ პარტი-
ულ, საბჭოთა, კომკავშირულ სა-
მუშაოზე, სახელმწიფო მუშაო-
ლობის, კულტურისა და ხელოვნ-
ების სხვადასხვა დარგში.

საქართველოში კვ აჭარის საოლ-
ქო კომიტეტის პირველ მდივნად
წლების განმავლობაში მუშაობს
ალ. თხილაიშვილი, აჭარის ასსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე — დ. თებიძე.

აწ განსვენებულნი მ. ყურშუბა-
ძე და დ. გირკელიძე მუშაობდნენ
აჭარის ასსრ სოფლის მეურნეო-
ბისა და ტექნიკური კულტურების
მინისტრებად.

ალ. გოგიტიძე ჯერ მუშაობდა
აჭარის ასსრ სოფლის მეურნეო-
ბის მინისტრად, შემდეგ კი საქარ-
თველოს კვ ქობულეთის რაიკომის
პირველ მდივნად. იგი ამჟამადაც
წარმატებით განაგრძობს მუშაო-
ბას ქ. ბათუმში.

ეს ტექნიკუმი აქვთ დამთავრე-
ბული რესპუბლიკის დამსახურე-
ბულ მხატვარს დ. ინაიშვილს,
ცნობილ პოეტს მ. ვარშანიძეს, ქ.
ბათუმის № 1 საშუალო სკოლის
დირექტორს დ. მახარაძეს, ლანჩ-
ხუთის რაიონის საშუალო სკოლის
ისტორიის მასწავლებელს ვ. კუ-
კულავას. ეს ტექნიკუმი ჰქონდა
დამთავრებული აწ განსვენებულ
რესპუბლიკის დამსახურებულ არ-
ტისტს ს. კაიკაციშვილს. ტექნი-
კუმის კურსდამთავრებულებმა წა-
რმატებით დაიცვეს მეცნიერება-
თა კანდიდატის სამეცნიერო ხა-
რისხი და განაგრძობენ სამეცნიერ-

რო მოღვაწეობას. ასეთებია: თ. დემეტრაძე, თ. ახვლედიანი, ალ. ბაუჟაძე, რ. ბერიძე და სხვები. თ. ახვლედიანი და ა. ბაუჟაძე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტებია და რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორები. აწ განსვენებული დოცენტი შ. სირაძე საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორი იყო, ჰქონდა რამდენიმე მეცნიერული შრომა და სტუდენტთა დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა.

ამ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სოფლის მეურნეობაში ცნობილი ადამიანები გახდნენ და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ ქობულეთის რაიონის დაგვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ანდრიადის და აწ. განსვენებულ ს. ჭანკუჩიძეს. ამ ტექნიკუმის აღზრდილია ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ბაჯელიძე, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი იყო.

სად არ შეხვდებით ამ ტექნიკუმის კურსდამთავრებულებს. ორ ათეულ წელზე მეტია ახალციხის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად მუშაობს ვ. გოგიბერიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგე მეურნეობის სამმართველოს აგრონომ-დეკორატორად — შ. თაყაიშვილი. წლე-

ბის მანძილზე მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის სისტემაში ენერგიულად იღვწიან ვ. ზაქარაიძე, ენერგიულად იღვწიან ვ. ბაღათურია, ვ. ბოცვაძე, ე. მეკვია და სხვები.

დიდი ხანია ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს ი. ხაბაზი, ხოლო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ რ. მემარნე. მათ სოფლის მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვთ დამსახურებული.

ამ ტექნიკუმმა შთაუნერგა სამშობლოს სიყვარული მის კურსდამთავრებულებს ა. გოგმაჩაძეს, რ. სანიკიძეს, შ. სირაძეს, მ. გოლიაძეს, რ. ცეცხლაძეს, ი. ხაბაზს, ს. გოგიბერიძეს, გ. ქიმაძეს, ი. ბაღათურიას და სხვებს, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში სამშობლოს დიქსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სამშობლო არასოდეს დაივიწყებს ამ ტექნიკუმში აღზრდილების მურად სანიკიძის, თემურ ბეჟანიძის, მემიშ ინაიშვილის, აბიღინ ხარაზის, თევრათ და მემედ ცეცხლაძეების, ვ. შავიძისა და სხვების სახელებს, რომლებმაც თავი შესწირეს დიდ სამამულო ომში სამშობლოს გამარჯვების საქმეს.

ავტორი ძალიან დაწვრილებით ეხება ტექნიკუმის სასწავლო პროგრამებს, ხოლო სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობისა და ახალგაზრდობის კომუნისტურად

აღზრდის საქმეში პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას ნაკლებ ადგილს უთმობს.

პარტიის წევრების სიმცირის გამო ზოგჯერ ტექნიკუმში პარტორგანიზაცია არც კი არსებობდა, მაგრამ სამაგიეროდ კომკავშირის ორგანიზაცია აჭარაში, და კერძოდ ბათუმის რაიონში, ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია იყო. ტექნიკუმის ალკ კომიტეტის მდივნებად სხვადასხვა დროს არჩეულ იყვნენ დ. მჟავანაძე, ა. ოთიაშვილი, ბ. ჯიბლაძე, მ. ვერულიძე, ს. არზიანი და სხვები. ძლიერი იყო აგრეთვე პროფორგანიზაცია, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა მოსწავლეებს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში. პროფკომის თავმჯდომარეებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ა. გოგმაჩაძე, მ. ყურშუბაძე, ი. კონცელიძე, რ. ცეცხლაძე და სხვები. ეს ორგანიზაციები ტექნიკუმის დირექციასთან ერთად ყველაფერს აკეთებდნენ, რომ სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის, აკადემიური წარმატების და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმე.

საკმარისია ითქვას, რომ ტექნიკუმის პირველი ნაკადის ვადაზე ადრე გამოშვებისა და სამუშაოდ გაგზავნის ინიციატორი იყო კომკავშირის ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ. მჟავანაძე.

შემდგომში დ. მჟავანაძე კავშირის ქედის რაიკომის პირველი მდივანი იყო.

როგორც შრომაშია აღნიშნული, ტექნიკუმის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქ დირექტორებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მისივე აღზრდილები: ა. მამულაშვილი, დ. გირკელიძე და რ. სანიკიძე. ტექნიკუმს ხელმძღვანელობდნენ და დიდ მზრუნველობას იჩენდნენ აგრეთვე ზ. ხარაზი, ა. სურმანიძე, მ. ჯინჭარაძე, მ. ოქროპირიძე, მ. გოგიტიძე, ი. კარტოზია. მაგრამ ტექნიკუმში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა კიდევ უფრო ამაღლდა, სასწავლებელი კიდევ უფრო დამშვენდა და კეთილმოწყობილი გახდა ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, რაც ტექნიკუმს (1952 წლიდან) სათავეში უდგას საქართველოს სსრ დამსახურებული მოსწავლეების ნიკოლოზ ნიჭარაძე. ულამაზეს ადგილას, მწვანე კონცხზე, ტექნიკუმის ტერიტორიაზე აშენდა მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსები, შეიქმნა მდიდარი სამეურნეო, სასწავლო პრაქტიკის ბაზა. თუ ოდესმე დაისმება აჭარაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების საკითხი, საამისო საფუძველი უკვე მომზადებულია.

შრომა მიძღვნილია ტექნიკუმის დაარსების 50 წლისთავისადმი და ამდენად კარგი იქნებოდა, ავტორს აღენიშნა, რომ ამ სასწავლებელში 42 წელია დირექტორის მოადგი-

ლელ და სამნეო ნაწილის გამგედ
მუშაობს 1929 წლიდან პარტიის
წევრი თეოფილე ლორია. იგი 15
წლის განმავლობაში ტექნიკუმის
პარტორგანიზაციის მდივანი იყო
და დღესაც მაღალი კომუნისტუ-
რი შეგნებულობითა და სიყვარუ-
ლით ემსახურება ახალგაზრდობის
აღზრდას.

შრომაში არის ზოგიერთი უზუსტობანი; გამოტოვებულია, რომ ამ ტექნიკის დირექტორის მოადგილედ, სასწავლო ნაწილის გა-

მგელ 1938-1940 წლებში მუშაობდა აწ განსვენებული ომერ აბაშიძის შიძღ.

ზოგიერთი ხარვეზის მიუხე-
დავად, ღვაწლმოსილი პედაგო-
გის ალექსანდრე რაყდენის ძე ჭი-
რაქაძის შრომა „სასოფლო-სამე-
ურნეო განათლების კერა აჭარა-
ში“ მოწონებას იმსახურებს და
ტექნიკუმი მთელს კოლექტივს
აძლევს ახალ-ახალი წარმატებე-
ბის მოპოვების სტიმულს.

უშრნალ „ჰოროზის“ 1974 წლის ნომრების შინაარსი

პოეზია

- ართილაყვა რევაზ — ლექსები, № 1, № 6.
გამზათოვი რასულ — ლექსები, თარგმანი გ. სალუქვაძის, № 2.
გორგილაძე ზურაბ — ლექსები, № 4.
დავითაძე ემენ — მე ისევ მოვალ (ლექსი), № 2; ლექსები, № 4.
ვარშანიძე მამია — ჩემი ხომალდი (ლექსი), № 3; მე მიყვარს ჩემი პლანეტა (ლექსი), № 4; საამწუთისოფლო (ლექსი), № 6.
ზოიძე შოთა — ლექსები, № 1, № 4.
თედორაძე დავით — ლექსები, № 5.
მალაზონია ნესტორ — ლექსები, № 3, № 6.
მუავია ქსენია — ლექსები, № 2.
როყვა შოთა — ლექსები, № 1.
სალუქვაძე გიორგი — პატოსნება (ლექსი), № 4.
ქათამაძე ჭემალ — ლექსები, № 2, № 5.
ხალვაში ფრიდონ — ლექსები, № 4.
ჩაყელი ჭემალ — ლექსები, № 4.

პროზა

- გორგილაძე მიხეილ — გუბაზეულის წყალდიდობა (მოთხრობა), № 1, № 2.
კლდიაშვილი სერგო — ახირებულო კაცი (ნოველა), № 4.
ლორია პარმენ — ახლობლები (მოთხრობა), № 2; იქ სადაც შრომის ცეცხლი ანთია (ნარკვევი), № 6.
მოდებაძე ნოდარ — ორი ფერი ერთ ვერში (მოთხრობა), № 3.

რომანაძე შაქრო — იმ არყის ხესთან (მოთხრობა), № 6.

როყვა შოთა — ოქრო მწვანე ფოთლებში (ნარკვევი), № 3.

სურმანიძე რამაზ — პაპაჩეშის ხანჯალი (დოკუმენტური მოთხრობა), № 6.

შერვაშიძე ამირან — მატარებელში (მოთხრობა), № 4.

ჩხაიძე ალექსანდრე — ათი დღე ბულგარეთში (ნარკვევი), № 1; ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი (ნარკვევი), № 5.

ხალვაში ფრიდონ — დაღლილი არწივი (ნოველა), № 6; „გიორგი ლეონიძე“ სამ ოკეანეში (ნარკვევი), № 2; ყველაზე ახლიდან ყველაზე ძველი კონტინენტი-საყენ (რეპორტაჟი თბომაველ „გიორგი ლეონიძედან“), № 3.

ხოფერია ჭემალ — ჩემი უნებლიე არდადეგები (მოთხრობა), № 4, № 5.

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვერძაძე ნური — ზოგიერთი მოსაზრება დიალექტური ლექსიკონის შედგენის თაობაზე, № 4.

ჭურბუძე შოთა — ანტონ ფვრცელაძე და დიმიტრი პისარევი, № 2; ეკითხოს! ანუ გოგია უიშვილი როგორც ხასიათი, № 4.

შონია აკაკი — გამოსარჩლება, № 5.

ჩავლეიშვილი ალექსანდრე — ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება და თანამედროვეობა, № 6.

ცისკარიძე ვიოლეტა — გატეხილი ყამირი, № 1.

ი 35/24

წერილები

ბეჭირიშვილი იოსებ — სხალთის ტაძარი — ჩვენი სიამაყე, № 6.

გორდენიანი ნოდარ — მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ამალგების ფაქტორი, № 5.

ვარშანიძე შალვა — აჭარის წარსულის კვლევის ისტორიდან, № 1.

თოღაძე შოთა — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში მომზადებული კადრები, № 6.

ნოღაიდელი ნანული — ერთი დარგის ლექსიკა აჭარაში, № 4.

სამსონია ივო — აჭარული ჩაცმულობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, № 4.

სორდია უორა — სიტყვათა მყარი შენაერთის სტრუქტურის ძირითადი საკითხები, № 2.

სურგულაძე აბელ — ახალი მასალები ბათუმში ალ. წულუკიძის მოღვაწეობის შესახებ, № 1.

ტოტოჩავა კონსტანტინე — ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარება საბჭოთა აჭარაში, № 1.

ჯორბენაძე პავლე — შემოქმედი პიროვნება, № 3.

ხელოვნება

სამსონია ალექსანდრე — ერთი წერის გამო, № 6.

შარაშიძე ლადო — ერთი პერსონალური გამოფენის დარბაზიდან, № 3; „ჯოკონდა“ ჩვენთან, № 5.

ჯორბენაძე პავლე — ეპოქა. თეატრი, მაცურებელი, № 5.

ეროვნული
მხატვრობა

ჩვენი პუბლიკაცია

ლადო ასათიანის ყმაწვილკაცობის ფურცლები, № 4.

სატირა და იუმორი

ბილოუსი გრიგორი — ღორის კუდი (იუმორესკა-მოგონება), თარგმანი გ. სიხარულიძის, № 5.

ნესინი აზიზ — ქალბატონი მაიმუნი (მოთხრობა), თარგმანი ნ. ჩიჯავაძის, № 1.

როყვა შოთა — დავადადოთ ვლასას პენსიაზე გასვლა? (ლექსი), № 5.

წიგნის თარო

ახვლედიანი გივი — ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, № 5.

კომახიძე მამია — კადრების მომზადების შესანიშნავი კერა, № 6.

ფუტყარაძე ა. — ამ წერილებს ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა, № 2.

შანიძე კ. — სახელოვანი წარსული დღევანდლობის სამსახურში, № 1; კეთილი სიტყვა სიკეთის მთესველზე, № 2.

ცინცაძე მ. — მრავალმხრივ საინტერესო კრებული, № 1.

სამეცნიერო-პოპულარული გამოკვლევები ისლამის გადმონაშთების შესახებ, № 3.

Контрольный

экземпляр

16.11.1974 г.

№ 38

ფასი 40 ჯბ.

17053



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118